ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№259 (318) 4-11 მარტი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულში განვლილი 15 წელი

სამეგრელო საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მხარეა და დღეს არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ლაზ-მეგრელები ძირძველი კოლხების უშუალო მემკვიდრენი არიან. კოლხების ისტორიის შესახებ, ქართველი მეცნიერებისგან განსხვავებით, საკმაო და მეტად საინტერესო ცნობები მოეპოვებათ ბერძნებსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მკვლევარებს. კოლხების შთამომავლებმა ქრისტიანობის შემდგომაც შეინარჩუნეს სახელმწიფოებრიობა და მას **„ქართლის ცხოვრებაში“** ვხვდებით ეგრისის სამეფოს სახით.

ისტორიკოსები ამტკიცებენ (მათ შორის ქართველი ისტორიკოსებიც), რომ დღევანდელი ქართლის ტერიტორიას ერქვა იბერია, იბერები მეგრულ ენაზე მეტყველებდნენ და სწორედ იბერები მიიჩნევიან საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გამავრცელებლად. ქართული ენა, რომლის ძირები ზანურის წიაღში დევს, ქართიზაციის შემდეგ აღიარებულ იქნა რელიგიურ ენად და ის დანარჩენ საქართველოში ვრცელდებოდა ეკლესიის მიერ. დღევანდელი ქართული, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა, კრებითია და უხვად აქვს ათვისებული უცხოური სიტყვები, რაც სრულიად ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ხდებოდა, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე საქარავნო გზებით თუ სხვა მიზეზთა გამო ბევრი უცხოტომელი შემოდიოდა და მკვიდრდებოდა. სწორედ ამ მოვლენაზე წერს **„ქართლის ცხოვრებაში“** მემატიანე, რომელიც ამბობს: ექვსი ენა იზრახებოდაო ქართლსა შინა. მოგვიანებით კი, ეკლესიის გააქტიურებისა და იბერთა დაკნინების შედეგად, იმავე **„ქართლის ცხოვრებაში“** ვკითხულობთ: **“არა იზრახებოდა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისაო. მეგრული (იბერიული) ენა უკანა პლანზე გადავიდა და თანდათან იქცა შიდა მოხმარების ენად. ხოლო ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, „კულტურული მემკვიდრეობა, რაც იბერთა ენაზე იყო შექმნილი, ითარგმნა ქართულად“** (**„მნათობი“**, 1948 წ. №8). სწორია გამოთქმა, როცა ამბობენ, სამეგრელო საქართველოს ხერხემალიაო, მაგრამ სრულიად გაუგებარია ის ქმედებები ისევ ქართველთაგან, რომელიც ამ ხერხემლის გადასამტვრევად არის მიმართული. სამეგრელოსადმი (ფარული თუ აშკარა) მტრული განწყობილებანი ძველია და არახალი. თავკერძა, დათითოებული და ვიწრო პირადი ინტერესით შეპყრობილი ფეოდალები, საუკუნეების მანძილზე ანაწევრებდნენ ქვეყანას და თესავდნენ შუღლს ძირძველი ტომების წინააღმდეგ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო არმენთა გავლენა. ისინი ეწეოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი საფუძვლების მოშლას, მისი ისტორიული წარსულის ნიველირებას. ადვილი მისახვედრია, რომ, თუ კოლხეთის ისტორია იქნა იგნორირებული, ქართლი ვერაფერს დაუპირისპირებს არმენებს და ეს უკანასკნელი მთელს კავკასიაში წარმოჩინდება, როგორც უძველესი აბორიგენი ერი, თავისი კულტურითა და ისტორიული მემკვიდრეობით. ასე იყო წარსულში და გრძელდება დღესაც. მეგრელთა მიმართ მტრობამ და შუღლმა დაგვაკარგვინა კოლხეთის ძირძველი მხარე, რომელიც გვიანდელი ეპოქიდან აფხაზეთის სახელწოდებით შევიდა საქართველოს ისტორიაში. შინაურ თუ გარეშე მტრებს აქვთ კარგად შემუშავებული სამოქმედო გეგმა. მათი გამოგონილია მითი მეგრული სეპარატიზმის შესახებ. ამ ხერხით და მეთოდით ისინი ცდილობდნენ, რომ მეგრელები მუდმივად თავის მართლების რეჟიმში ამყოფონ. მეგრული სეპარატიზმი არ არსებობს, ვინაიდან მეგრელი თავიდან არაფრის დაწყებას არ აპირებს და არც ფიქრობს წაშალოს თავისი ისტორიული კვალი, თუნდაც დღევანდელი საქართველოს ფარგლებში. სამეგრელოს სატკივარი ერთიანი ქვეყნის სატკივარია.

15 წელი შესრულდა სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს“** დაფუძნებიდან. ამ ხნის განმავლობაში სახალხო მოძრაობის ოთხი ყრილობა ჩატარდა. საზოგადოებას გვინდა შევახსენოთ, თუ რა საკითხები განიხილებოდა აღნიშნულ ყრილობებზე და რა მიზნებსა და გეგმებს ისახავდა ეს მასშტაბური ღონისძიებები. მანამდე კი მოკლედ შევეხებით იმ მიზეზებსა და გარემოებებს, რამაც გახადა აუცილებელი დაფუძნებულიყო სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”** საკუთარი მიზნებისა საერთო სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” 15 წლისაა! გილოცავთ!

სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”** იმ ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის საპირწონედ შეიქმნა, რომელსაც შევარდნაძის რეჟიმი მიზანმიმართულად ახორციელებდა ძირძველი ქართული კუთხის წინააღმდეგ.

სწორედ შევარდნაძის რეჟიმის მიზანმიმართული მავნებლობის შედეგად მოექცა ერთ დროს ძლიერი აგრარული და სამრეწველო ინფრასტრუქტურის მქონე ამაყი კუთხე გეოეკონომიკურ ჩიხში. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ 2003 წელს სამეგრელოს მოსახლეობამ, დაინახა რა შევარდნაძის რეჟიმის დამხობის რეალური შანსი, მხარში ამოუდგა ოპოზიციას – **“ოღონდ შევარდნაძე არა და სხვა, ვინც უნდა, იყოს”** პრინციპით და, ლომის წილი შეიტანა **“ვარდების რევოლუციის”** გამარჯვების საქმეში.

სამეგრელოს მოსახლეობა ფიქრობდა, რომ ის დრო, როდესაც ხელისუფლებას კუთხის მიმართ ერთადერთი ინტერესი – ამომრჩეველთა ხმები ამოძრავებდა, წარსულს ჩაბარდებოდა, რომ ფარისევლური წინასაარჩევნო დაპირებების, არაფრისმომტანი დემოკრატიული ცვლილებების ეტაპი დასრულდებოდა, რომ დაიწყებოდა ქვეყნის, მათ შორის მათი მშობლიური კუთხის, ჩიხიდან გამოყვანისა და აღმშენებლობის ხანა. იმედოვნებდა, რომ ეყოლებოდა ხელისუფლება, რომლისთვისაც ხალხი იქნებოდა მიზანი და არა საშუალება. ამ იმედითა და ოცნებებით, როგორც ყოველთვის საუკუნეების მანძილზე, უკვე მერამდენედ გადაეშვნენ სამშობლოს გადარჩენისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში. გაუმართლდათ თუ არა იმედები, ეს სხვა თემაა და ამაზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ.

დიახ, 1999 წლის მარტიდან, როცა ქ. ფოთში ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივით დაარსდა სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”,** 15 წელი გავიდა. ეს ერთი შეხედვით და რეალურადაც მშვიდი, წყნარი, რეგიონისთვის სასიკეთო აქტი პირველივე დღიდან მტრულ გარემოცვაში მოექცა. მმართველმა ძალებმა მაშინვე შეუტიეს **“სამეგრელოს”.** ამ დაპირისპირებაში განსაკუთრებით აქტიურობდა **“მოქკავშირი”** და მისი ახალგაზრდული ფრთა. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი სახელწოდების მქონე, თუნდაც არაპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა შეაშფოთებდა ქართული საზოგადოების ნაწილს, მაგრამ ისტერიამ, შეთითხნილი ბრალდებების ნიაღვარმა ყველანაირ ზღვარს გადააჭარბა. სახალხო მოძრაობის ლიდერს დააბრალეს **“სეპარატიზმი”,** ქვეჟინის გახლეჩის სურვილი, ქართველი ერის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, უარყოფა და ბევრი სხვა სისულელე, თუმცა უკვე იყო დაფუძნებული საზოგადოებები **“რაჭა”, “ლემი”, “თბილისელი”,** რომლებიც გარკვეული წარმატებითაც კი ფუნქციონირებდნენ, სეპარატიზმთან ყოველგვარი ასოციაციის გარეშე.

ბრალდებები მოდიოდა იმ ძალებიდან, იმ პიროვნებებიდან, ხელისუფლების იმ წარმომადგენლებიდან, იმ ეგრეთ წოდებული ოპოზიციის თავკაცებიდან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით თითქმის ათი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ანგრევდნენ ჩვენს სამშობლოს, შლიდნენ ქვეყანას, ყიდდნენ ისტორიულ ტერიტორიებს. ხელისუფლების დავალებით, მათთან დაახლოებულმა მეგრელებმა ჩამოაყალიბეს სხვადასხვა სახის ორგანიზაციები სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** საპირისპიროდ. თანდათანობით აშკარად გამოიკვეთა **“მოქალაქეთა კავშირისა”** და მისი ამფსონების უაღრესად რეაქციული დამოკიდებულება **“სამეგრელოს”** შექმნისა და მისი ორგანიზატორებისადმი. ალექსანდრე ჭაჭიას დაუწვეს მანქანა და აეროპორტში კინაღამ დააპატიმრეს.

არსებობს სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, მოქკავშირელი კინორეჟისორი ელდარ შენგელაია ხმის ჩახლეჩამდე როგორ ყვიროდა აეროპორტში, რომ დაეკავებიათ ბატონი ალექსანდრე. ძირითადი ბრალდება იყო სეპარატიზმი და ნაციონალიზმი, რაც თითქოს გამოსჭვიოდა **“სამეგრელოს”** დამფუძნებელთა გამოსვლებში. აბსურდული ბრალდებები იფრქვეოდა გაზეთებიდან, რადიოდან, ტელევიზიიდან, ჭაჭიას აბრალებდნენ რუსეთის აგენტობას და ამას აკეთებდნენ **“მოქკავშირის”** ის აქტივისტები, რომლებიც თავად ფინანსდებოდნენ და იმართებოდნენ რუსეთის აგრესიული წრეების მიერ. ალბათ, ბევრს დღესაც ახსოვს ზურაბ ჟვანიას მიერ ჩამოტანილი მილიონები არჩევნებისთვის (რუსეთის რკინიგზის მინისტრისგან).

ძნელი იყო ასეთ პირობებში საზოგადოება **“სამეგრელოს”** გაძლიერებაზე ფიქრი, მაგრამ ალექსანდრე ჭაჭიას ძალისხმევამ, მისი გუნდის მონდომებამ და საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მხარდაჭერამ განაპირობა **“სამეგრელოს”** შემდგომი არსებობა და საქმიანობა დღემდე და ასე იქნება მომავალშიც.

ხელისუფლების მიერ ჩვენ წინააღმდეგ მაშინ შექმნილი ორგანიზაციების დასახელებებიც კი არ ახსოვს დღეს სამეგრელოს მოსახლეობას.

1999 წელსვე დაარსდა სახალხო მოძრაობის გაზეთი **“ილორი”,** რომლის უცვლელი რედაქტორია ბატონი როლანდ ჯალაღანია და რომელიც რეგულარულად გამოდის ყოველ სამშაბათობით.

2001 წლის 12 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში გაიმართა სახალხო მოძრაობის მეორე ყრილობა. ყრილობამ დაამტკიცა მოძრაობის ხელმძღვანელობის სტრატეგიისა და ტაქტიკის აბსოლუტური სისწორე – დადასტურდა, რომ **“სამეგრელო”** არის რეალური ძალა, რომელიც უყვარს სამეგრელოს მოსახლეობას, და მას ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის თითქმის ყველა მიმდინარეობა სცემს პატივს.

ყრილობაზე ძირითადი მოხსენებით გამოვიდა **“სამეგრელოს”** დაფუძნების ინიციატორი, პოლიტოლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჭაჭია. მოხსენებაში თავიდანვე სათანადო ყურადღება დაეთმო პასუხს კითხვაზე, თუ რა სახის მოძრაობა, რა სახის ძალა არის **“სამეგრელო”.** მოხსენებაში ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენ არ ვქმნიდით მორიგ პოლიტიკურ პარტიას, არამედ ჩვენ ვქმნიდით საზოგადოებრივ ძალას, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, სამეგრელოს საზოგადოების რეალურ ძალად გადაქცევა.

მოძრაობის როლისა და ფუნქციების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს მისი წევრი.

“...მე მიმაჩნია, რომ ჩვენი კარი უნდა იყოს ღია ნებისმიერი პიროვნებისთვის, რომელსაც სამეგრელოს განვითარება, მისი ჩიხიდან გამოყვანა სურს, რომლისთვისაც მეგრული კულტურა, ენა, ტრადიციები, თვითმყოფადობა, სპეციფიკა ძვირფას და სანუკვარ განძს წარმოადგენს და ყველაფერ ამას ზოგადქართული მნიშვნელობის ფასეულობად მიიჩნევს. ჩვენთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი პარტიის წევრია ესა თუ ის პიროვნება, რა პარტიული თუ იდეოლოგიური დოქტრინის მატარებელია იგი. სამშობლოს სიყვარულში წარსულისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა ყველამ უნდა ავიღოთ. თუ ჩვენ ამ პრინციპს დავიცავთ, მაშინ შესაბამისად დაცული იქნება ერის არსებობისა და განვითარების მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპიც – მემკვიდრეობითობა...

ახლანდელ პერიოდშიც, როდესაც ქართველებისთვის ყველაზე ამაზრზენი, მიუღებელი, ანტიქართული ხელისუფლება გვყავს, უნდა გვახსოვდეს, რომ იმავე “მოქალაქეთა კავშირში” გაერთიანებულია ბევრი ნორმალური, წესიერი, შეიძლება მიამიტი, შეიძლება რაღაცით დაინტერესებული პიროვნება, მაგრამ ისიც ჩვენი ერის ნაწილია. მათი უარყოფა დაუშვებელია.

ვიმეორებ, რა პოლიტიკური მრწამსი, რა მსოფლმხედველობითი პრინციპის მქონეც არ უნდა იყოს ესა თუ ის პიროვნება, თუ

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულში განვლილი 15 წელი

გაგრძელება 1 გვერდიდან

იგი პატრიოტია, თუ მას სამშობლო უყვარს, თუ მას ერის ნათელი მომავალი სურს, მაშინ იგი ჩვენი თანამოაზრე, პარტნიორი, ჩვენი თანამებრძოლია".

ძნელია, დაასაბუთო, საქართველოს ისტორიამ დაავალა თუ თავად სამეგრელომ გამოკვეთა თავისი ადგილი და როლი ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ "საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე სამეგრელოს მხოლოდ და მხოლოდ გამაერთიანებელი ფუნქცია ეკისრა. მეტიც, ისტორიაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ საქართველოს დაქუცმაცების პერიოდში (არადა, ეს პერიოდი თითქმის მთელ ისტორიას მოიცავს, 200-250 წლის გამოკლებით) არსებობდა კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები, მაგრამ, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად, დადიანებს არასოდეს უცდიათ სამეგრელოს სამეფოდ გამოცხადება, იმდენად ძლიერი იყო ყოველთვის მეგრულ საზოგადოებაში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისკენ ლტოლვა.

დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი განვითარებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელს. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს, მათ შორის, თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისთვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიამ გააკეთა. დამისახელოს ვინმემ პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი გაერთიანებისთვის, ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისთვის, ქართული სულის ამაღლებისთვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ეს ზვიად გამსახურდიამ გააკეთა. ნუთუ არ რცხვენია ვიღაც პოეტსა თუ მსახიობს, ამის შემდეგ, სამეგრელოსთვის სეპარატიზმის დაბრალება?.."

ქართულ სახელმწიფოში პირველად ქ. ზუგდიდში 2001 წლის 12 ოქტომბერს, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ყრილობაზე, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა, რომ დედა-ქართულთან ერთად სახელმწიფოებრივი ზრუნვა, მოვლა, გაფრთხილება სჭირდება ქართული კულტურისა და სულიერების ორ ისეთ უმშვენიერეს და უბრწყინვალეს ძეგლს, როგორებიც მეგრული და სვანური ენებია.

ზრუნვასა და მოვლა-პატრონობას ვინ ჩივის, ლამის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვასთან გააიგივეს ჭკვიანი მტრისგან შემოგდებული დემაგოგია, რომლის მიხედვითაც სამეგრელოს კუთხისშვილების ნებისმიერი გააქტიურება, გნებავთ, მეგრული ენისადმი ხაზგასმული პატივისცემის გამოხატვა, მყისვე სეპარატიზმად ინათლებოდა, რითაც მოხერხებულად ხდებოდა სამეგრელოს რეგიონში ოდითგანვე ჭარბად არსებული საერთო-სახელმწიფოებრივი ენერგიის ჩახშობა და დათრგუნვა. ამ დემაგოგიური კომპლექსის დამნერგავებს, ანტიეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკოსებს, ფსევდოინტელიგენტებსა და ცრუ მეცნიერებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ სამეგრელო ქართული სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და აკვნის დამრწევია, მეგრელებისგან შორს დგას სეპარატიზმი.

"ისტორიის მამად" წოდებული ჰეროდოტე ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნეში წერდა: **"კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონდათო"**, რომელზეც აპოლონიოს როდოსელი IV საუკუნეში მიუთითებდა: **"კოლხებს შენახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზეც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი".**

იოანე ანტიოქიელი, ძვ.წელთაღრიცხვით VII საუკუნეში წერდა: **"იაზონმა და მისმა მხლებლებმა, პონტოს ზღვით კოლხეთს მიღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ეგრეთ წოდებული ოქროს საწმისი. ეს ის კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემენ, არამედ იყო წიგნი ტყავზე ნაწერი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მიეღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით".**

"ჩვენ, ქართველებს, კიდევაც შეგვიძლია ვიამაყოთ სხვა ხალხთა პირისპირ, რომელთაც ასეთი შესხეულება ერისა და ტომისა იშვიათად მოეპოვებათ. საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურებაშია, მე იმის მომხრეც ვიქნებოდი, მწერლობა აყვავებულიყო მეგრულად, რასაკვირველია, არა "მაფალუს" ხაზით. არსებობს ხომ პროვანსალური მწერლობა გვერდით ფრანგული ენისა. მთლიან რკალში საფრანგეთისა. ქართული მწერლობა ამით არას დაჰკარგავს რა – პირიქით: კიდევაც მოიგებს. მეგრულში მრავალი სიტყვაა ზედგამოჭრილი და მრავალი თქმა მოხდენილი. ეს, შესაძლოა, საზრდოდ იქცეს ქართულისათვის. სვანურზეც ესევე ითქმის". (გრიგოლ რობაქიძე).

"...გეკითხებით თქვენ და ვეკითხებით ქართულ ინტელიგენციას, ფილოლოგებს, ისტორიკოსებს: რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებშია ამ უმდიდრესი საუნჯის დაკარგვა? დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობის ინტერესებში ეს დანაშაულებრივი ქმედებანი არ შეიძლება შედიოდეს... ამიხსენით, რატომ არ უნდა იყოს ეს სფერო საქართველოს ხელისუფლების, ქართული ინტელიგენციის ზრუნვის საგანი? კატალონიურ ენაზე წერენ მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები – ესპინასი, ტორესი, პორსელი, მაგრამ ისინი გამოჩენილ ესპანელ მწერლებად ითვლებიან. იმავე ესპანეთში არსებობს და წარმატებით ვითარდება გალისიური ლიტერატურა – ვარელა, კასარესი, მაგრამ ეს ესპანური კულტურის განუყოფელი ნაწილია. რატომ არ შეიძლება მეგრულ ენაზე შექმნილი ლექსი თუ რომანი იყოს ქართული ლიტერატურის ღირსეული ნაწილი?

ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთ ამოცანად მიმაჩნია მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარება, მათ შორის, შესაბამისი ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება. სწორედ ეს მიდგომა უნდა იყოს მისაღები იმ ხალხისთვის, იმ ცენტრალური ხელისუფლებისთვის, იმ ცალკეული პირებისთვის, ვისაც ნამდვილად სურს ქართველი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთობის, შენარჩუნება, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და ქვეყნის ტერიტორიული და სულიერი მთლიანობის აღდგენა. ყველამ უნდა გაიგოს, რომ სამეგრელოს, მეგრელების, მეგრული ენის, კულტურის, ტრადიციული თვითმყოფადობის, სპეციფიკური თავისებურებების დაცინვა, აუგად ხსენება, შეურაცხყოფა, ქართველობის მტრობას ნიშნავს, ქვეყნის დაშლას, ერთიანი ქართული ეროვნული სხეულის დანაწევრებას ნიშნავს. ეს "მოღვაწეები" – ერის მტრებად უნდა გამოცხადდნენ". (ალექსანდრე ჭაჭია).

ბატონი ალექსანდრე ჭაჭია II ყრილობაზე შეეხო კიდევ ერთ მთავარ თემას, რომელიც დღესაც ძალზე აქტუალურია და გარკვეულ ახსნას მოითხოვდა, ეს იყო აფხაზეთის თემა:

"თქვენ იცით, რომ მე აფხაზეთის მკვიდრი ვარ. მართალია, იქ აღარაფერი დამრჩა, ყველაფერი გადაწვეს და გადაბუგეს, მაგრამ მამაჩემისა და ბაბუაჩემის საფლავები იქ არის, ისევე, როგორც ჩემი ნათესავების დიდი ნაწილისა. და იმ წმინდა მიწის დაბრუნება ჩემი არა მხოლოდ ოცნებაა, არამედ მტკიცე გადაწყვეტილება. როცა ეს მოხდება, მე ჩავთვლი, რომ ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი მიღწეულია. მეტიც, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩემი ჩართვა სწორედ ამ მიზნითაა განპირობებული.

მე არ შემიძლია იმ კაცის კეთილი ზრახვების დავიჯერო, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზეთი დაკარგულიყო, რომელმაც ყველა პირობა შექმნა, რომ ჩემი ხალხი გაუბედურებულიყო, რომელმაც არა მარტო აფხაზეთში მცხოვრები ქართველები გაყიდა, არამედ თვით სამეგრელო არაერთხელ, არა ორჯერ, არამედ ხუთჯერ ზედიზედ გადაბუგა, დაამცირა და შეურაცხყო, რომელსაც ტელეფონით ურეკავდნენ და სამეგრელოს მშიერი მოსახლეობისთვის ფქვილის გამოჯოფას სთხოვდნენ, პასუხად ესმოდათ: დაიხოცონ შიმშილითო! ამ კაცს აფხაზეთის დაბრუნება და სამეგრელოს აყვავება შეიძლება უნდოდეს? მე არ შემიძლია, აგრეთვე, იმ ჩეჩნის კეთილი ზრახვების დავიჯერო, რომელიც აფხაზეთში ჩემს ძმებს თავებს კვეთდა, სისხლით ჭიქას ავსებდა და ჩემი თანამოძმის სისხლს სვამდა, ხოლო დღეს აფხაზეთის დამბრუნებლად და მხსნელად გვევლინება.

კარგად მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კიდევ ერთი, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობა ჰქვია.

ალბათ, ბევრჯერ გსმენიათ, რომ მე რუსული ორიენტაცია მახასიათებს, რომ კრემლის აგენტი ვარ და ა. შ. აქ ჩვენ საერთოდ საოცარ პარადოქსთან გვაქვს საქმე. როგორც კი ვიწყებ ლაპარაკს ქართველი ერის შენარჩუნებაზე, საქართველოს რეალურ ეკონომიკურ განვითარებაზე, მაშინვე "კრემლის აგენტობას" მაბრალებენ. მაბრალებენ ისინი, ვინც წლების განმავლობაში მიზანმიმართულად, დაუმალავად სპობენ ქართველობას, ღიად უპირისპირდებიან ქართულ მართლმადიდებლობას თუ ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას, უარყოფენ ქართულ ეროვნებას, ანადგურებენ ქართულ კულტურას და ცვლიან მას ამერიკული კულტურის სუროგატით.

რაც შეეხება ჩემს "პრორუსულობას", მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მტერს შეუძლია ისურვოს რუსეთთან ჩვენი მტრული ურთიერთობა. მხოლოდ და მხოლოდ იდიოტს შეუძლია იმ ქვეყანასთან ურთიერთობის გაფუჭება, რომლის ბაზარს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, სადაც ჩვენი ერის ერთი მესამედი ნაწილი იძულებითაა გადასახლებული, იქ მუშაობს და იქ ნაშოვნი ფულით კიდევ ერთ მესამედს სამშობლოში ინახავს.

რა არის ჩვენი ხელისუფლების რუსეთთან მიმართებაში პოლიტიკის არსი?

ლანძღვა და გინება, შეურიგებლობა, ხოლო კრიტიკულ მომენტში აბსოლუტურად ყველაფრის დათმობა და ქვეყნის ჩაგდება კიდევ უფრო დიდ გასაჭირში. შეიძლება ეს პოლიტიკად ჩაითვალოს? დამისახელეთ ერთი ფაქტი მაინც, როდესაც შევარდნაძემ და მისმა გაუნათლებელმა მოლაყბე გუნდმა რამეში რუსეთს მოუგო ან მცირე ზარალი მაინც მიაყენა, მიუხედავად იმ სისტემატიური მუქარისა, ლანძღვა-გინებისა, სასაცილო და სამარცხვინო ულტიმატუმებისა, რომლებიც მუდმივად ისმის მათი მხრიდან.

ჩვენ უნდა გაგვაერთიანოს არა ვიწროპარტიულმა ინტერესებმა, არა პარტიულმა მსოფლმხედველობამ, არა რომელიღაც უცხო იდეოლოგიურმა დოქტრინამ, არამედ ქართულმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა პოზიციამ, რომელიც ორი სიტყვით გამოიხატება – "სამშობლოს გადარჩენა". ყველაზე ავტორიტეტული, ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა სამეგრელოში სწორედ სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" უნდა იყოს. ეს ისეთი ძალა უნდა იყოს, რომელიც მთელ მოსახლეობას გააერთიანებს, მთელი სამეგრელოს ინტერესების გამომხატველი იქნება. ეს უნდა იყოს ისეთი ძალა, რომელიც თვითონ, დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ პარტიას უნდა დაუჭიროს მხარი საპარლამენტო არჩევნების დროს, ანუ, ეს უნდა იყოს ძალა, რომლის გადაწყვეტილება მთელი სამეგრელოს მხარდაჭერას ნიშნავს და იმ პარტიამ, იმ საარჩევნო ბლოკმა, პრეზიდენტობის იმ კანდიდატმა, რომელსაც სამეგრელოს მოსახლეობის სრული მხარდაჭერა დასჭირდება, სწორედ ამ სახალხო მოძრაობასთან უნდა დაამყაროს ურთიერთობა და სწორედ მას უნდა მისცეს შესაბამისი გარანტიები, იქნება ეს საარჩევნო სიაში ადგილების რაოდენობა თუ სამეგრელოში კონკრეტული ეკონომიკური პროექტების რეალიზება. ყველა სხვა შემთხვევაში, სამეგრელოს ხმებით ისარგებლებენ და შემდეგ არჩევნებამდე ისევ დაივიწყებენ ჩვენს გასაჭირს, რაც უკვე არაერთხელ მომხდარა..."

თუ შევეცდებით, შევაჯამოთ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მიერ განვლილი გზა დაფუძნებიდან (1999 წლის მარტი) მეორე ყრილობამდე (2001 წლის ოქტომბერი), რომელიც მოიცავს 2 წელსა და 7 თვეს და თვით მეორე ყრილობის შედეგებს, გაწეულმა მუშაობამ თვალნათლივ დაადასტურა მისი დაფუძნების ისტორიული აუცილებლობა, მისი როლის თანდათანობითი გაფართოება და ზრდა, მისი ავტორიტეტის უწყვეტი ამაღლება.

მოძრაობის მეორე ყრილობაზე ყოველივე აღნიშნულს მიეცა თეორიული გამართლება, თეორიული დასაბუთება და ნათელი გახდა, რომ დროის შემდეგი სვლა მხოლოდ დაასაბუთებდა ყოველივე ამას და ამავე დროს **"სამეგრელო"** ახალ-ახალ ნაბიჯებს გადადგამდა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მეორე ყრილობამ სათავე დაუდო სამეგრელოს მოსახლეობის გამოფხიზლებას, მეტიც, ხალხმა განსაზღვრა, თუ ვინ მიიყვანა ქვეყანა დაღუპვის პირას და ვის ძალუძდა ჯერ კიდევ მისი გადარჩენა.

ხალხმა საბოლოოდ გამოუცხადა ალექსანდრე ჭაჭიას და მის გუნდს ნდობა.

ძირითად ხაზად აირჩა ალექსანდრე ჭაჭიას მიერ შემუშავებული **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიისა და ეროვნული იდეის"** მიერ დასმული ამოცანები, ნაშრომისა, რომელიც ღრმა ეროვნული შინაარსისაა და ქვეყნის წინსვლის პროგრამას წარმოადგენს.

სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მესამე ყრილობა გაიმართა 2003 წლის 18 ივლისს ნოქალაქევის (ქ. სენაკის რაიონი) ისტორიულ-არქეოლოგიური კომპლექსის ტერიტორიაზე, რომელიც ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ააგო (მაშინ ციხე-გოჯი ერქვა). ყრილობის მუშაობა არ იყო მომწყვდეული თუნდაც ძალიან დიდი დარბაზის არტახებში. ის ჩატარდა დია ცის ქვეშ, ისტორიული ნანგრევების გვერდით და სახალხო ზეიმის ვითარებაში, შესაშურ სიწყნარესა და სოლიდური მუშაობის ატმოსფეროში. თითქმის ათი წელი გავიდა მესამე ყრილობის შემდეგ და დღესაც ახსოვს სამეგრელოს მოსახლეობას ეს მასშტაბური ღონისძიება.

"ის ენთუზიაზმი, რომლითაც სამეგრელოს მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში, ის მზადყოფნა, რომელიც ხალხმა გამოხატა ჩვენი რეგიონის პრობლემების, მოსახლეობის გაერთიანების საკითხების გადასაჭრელად მოწმობს იმას, რომ ათწლიანმა სიღუხჭირემ, ომმა, უბედურებამ, შეურაცხყოფამ, ათასნაირმა ბრალდებამ ვერ მოსპო მეგრელ კაცში სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი, სამშობლოს სიყვარული, ქვეყნის მომავალზე ზრუნვა, ისტორიისა და წინაპართა წინაშე პასუხისმგებლობა"... (ალექსანდრე ჭაჭია).

"სამეგრელოს" მესამე ყრილობის შესახებ ბევრი დაიწერა. მისი შინაარსი დიდხანს იყო მსჯელობის, ანალიზის, დასკვნების ობიექტი. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მას ხომ 8000 დელეგატი და 1000 მოწვეული სტუმარი ესწრებოდა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს იმ უფლებებით შექმნის შესახებ, რომელიც ყოველწლიურად მოიწვევს სახალხო კრებას და რომელიც მოაწესრიგებს ყოველდღიურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებს, დაგმობს ყოველგვარი სახის დანაშაულს. საბჭოსა და კრების გადაწყვეტილებები აუცილებლად შესასრულებელი უნდა იყოს თითოეული ადამიანისათვის.

ამ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობა უნდა იწვევდეს საზოგადოებრივი აზრის საჭირო რეაქციას. იმედია, რომ მსგავსი ნაბიჯები გაზრდის თითოეული ოჯახის, გვარის, ქალაქის პასუხისმგებლობას რეგიონის წინაშე. ასევე, შეიქმნა **"კოლხურ-ლაზური კულტურის აღორძინების ასოციაცია"**, რომლის მიზნებისა და ამოცანების სწორად განზრახვა და რეალიზება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

ჩვენ განვაცხადეთ: ყველა მეგრელის ვალია სამეგრელოსა და მის მოსახლეობაზე ფიქრი და ზრუნვა, მისი გაჭირვების გაზიარება, მისთვის მხარდაჭერისა და დახმარების გაწევა. მეგრელს, რომელსაც სამეგრელოს ბედი არ აწუხებს, მას არც საქართველო უყვარს და არც ქართველობისა სწამს. ამ მოწოდებით ჩვენ იმ თანამემამულეებს მივმართავთ, რომელთაც საკუთარი წარმოშობა მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა დედაქალაქში თბილი სავარძლიდან ამოაგდებენ ან როდესაც დეპუტატის სტატუსი მოესურვებათ.

გასულ პერიოდში მოძრაობა **"სამეგრელოს"** საქმიანობა ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციით შე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულში განვლილი 15 წელი

გაგრძელება მე-2 გვერდიდან

მოიფარგლებოდა. გამოცემულია რამდენიმე მეგრული ლექსიკონი, რამდენიმე წიგნი სამეგრელოს ისტორიასა და კულტურაზე.

ჩატარებულია ცნობილი პოეტების, მწერლების, მეცნიერების ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენციები. პერიოდულად გამოდის ჟურნალი **"აია"**, მოძრაობა **"სამეგრელოს"** გაზეთები **"ილორი"** და **"ფარტაზის სამრეკლო"**. უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმაჩნია მოძრაობა **"სამეგრელოს"** ინიციატივითა და სახსრებით ქ. ზუგდიდში ერთიანი საქართველოს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ძეგლის აღმართვა. ეს ძეგლი არ არის უბრალოდ ქანდაკება და არც უბრალოდ ხსოვნის სიმბოლო, ეს არის სიმბოლო ქართველი ერის სულიერი სიძლიერისა და მადლიერებისა, ქართული სულის უკვდავებისა, ეროვნული ღირსებისა, ეს არის სიმბოლო ქართველთა პატივისცემისა იმ პიროვნების მიმართ, რომელმაც შეძლო ქართული სულის აღორძინება და ამაღლება, რომელმაც სცადა, წაეყვანა ჩვენი ერი განვითარების იმ გზით, რომელიც ეფუძნებოდა ქართულ ზნეობრივ, მორალურ, ისტორიულ ღირებულებებს, ტრადიციულ თვითმყოფადობას, ეროვნულ შეგნებას და მისწრაფებებს.

ასრულებს თუ არა მოძრაობა **"სამეგრელო"** მასზე დაკისრებულ მოვალეობას?

ჯერჯერობით ვერ ასრულებს, ვინაიდან დღემდე არ არის მიღწეული მოძრაობის ძირითადი მიზანი – სამეგრელოს მოსახლეობის საერთო იდეის გარშემო გაერთიანება. სწორედ ამ ისტორიული მნიშვნელობის იდეა-მიზნის რეალიზაციას უნდა ჩაეყაროს საფუძველი დღევანდელ მესამე ყრილობაზე. მე ვთავაზობ ყრილობას, მოძრაობა **"სამეგრელოს"** ბაზაზე დავაწესოთ და რეგულარულად, წელიწადში ერთხელ მაინც, ჩავატაროთ სამეგრელოს სახალხო კრება. ასევე უნდა შეიქმნას სამეგრელოს უხუცესთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევა სამეგრელოს ამა თუ იმ რაიონისა და ქალაქის 10-10 ყველაზე ავტორიტეტული, გამოცდილი პიროვნება, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცეს სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება. ნუთუ სამეგრელოს არ უნდა ჰქონდეს კონსოლიდირებული აზრი აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით? ხომ ყველასათვის გასაგებია, რომ სწორედ სამეგრელომ უნდა შეასრულოს ამ კონფლიქტის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი! ჩვენი მონაწილეობის, ჩვენი კეთილ ნების, ჩვენი მზადყოფნის გარეშე, ვერც ერთი ძალა მსოფლიოში ვერ გადაწყვეტს აფხაზეთის კონფლიქტს.

სამეგრელოში ადრე რომ ყოფილიყო სახალხო კრების, უხუცესთა საბჭოს ან სხვა სახით საყოველთაოდ აღიარებული, ავტორიტეტული სტრუქტურები, მაშინ ვერ გაგვიბედავდნენ ჩვენი მხარის აგდებას, ჩვენი ხალხის დაცინვას და შეურაცხყოფას.

ვერ გაგვიბედავდნენ პრივატიზაციის ისეთი ფორმით ჩატარებას, როგორითაც ფოთის გემშენებელი ქარხანა, სადაც 8 ათასი კაცი მუშაობდა, მთელი მისი მრავალმილიონიანი ღირებულების მქონე დანადგარებითა და მზა პროდუქციით, ერთი "ჯიპის" ფასად გაიყიდა. ვერ გაგვიბედავდნენ ფოთის პორტის, ფაქტობრივად, წართმევას, რის გამოც დღეს ფოთის პორტის სიკეთით არა თუ სამეგრელო, თვით ქალაქიც კი ვერ სარგებლობს.

დავუბრუნოთ ნოქალაქევს ის სიმბოლური მნიშვნელობა, რომლის ღირსიცაა ეს წმინდა ადგილი. ნოქალაქევი არის საქართველოს გაერთიანების, ქართველთა თავდადების სიმბოლო, რომელიც ნებისმიერ ქართველს შეახსენებს იმ ისტორიულ ვალს, რომელიც ქართველებს ეკისრება ჩვენი ერის მთელი არსებობის განმავლობაში და რომელმაც დღემდე მოიყვანა საქართველო. ეს ვალი არის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება საქართველოს შენარჩუნება-განვითარებისთვის, მისი მთლიანობისთვის, ქართველთა მომავლისთვის.

ნოქალაქევი უნდა იყოს ადგილი, რომლიდანაც ჩვენ ერთად მივმართავთ ქართველ პოლიტიკოსებს, საქართველოს თავკაცებს, გაიხსენონ ქართველთა ის დიდებული წარსული, ის ისტორიული გამოცდილება, რომლითაც ამაყობს ყოველი ქართველი. სწორედ ნოქალაქევს აქვს **უფლება, შეახსენოს ყველას ფარნავაზისა და ქუჯის უკვდავი მაგალითი. სწორედ აქედან უნდა გაისმას მკაცრი მოწოდება – მიბაძეთ ამ ისტორიულ გმირებს, გიყვარდეთ საქართველო"** (ალექსანდრე ჭაჭია, 2003 წლის 18 ივლისი, ნოქალაქევი).

"ვარდების რევოლუციის" მეორე წლისთავზე – 2005 წლის 29 ნოემბერს – ჩატარდა სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მეოთხე ყრილობა. მასზე განხილულ იქნა ხელისუფლების ორწლიანი მუშაობის შედეგები და დაისახა სამეგრელოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების გზები. მიუხედავად იმისა, რომ ყრილობა კონსტრუქციული კრიტიკის გარემოში ჩატარდა, რიგ საკითხებს უკიდურესად მწვავე რეაქცია მოჰყვა როგორც მედიაში, ასევე სახელისუფლო წრეებში.

ყრილობაზე წაკითხულ იქნა ლაზური ენისა და კულტურის დაცვის საზოგადოება **"ლაზებურას"** მიმართვა ყრილობის დელეგატებისადმი, რომელსაც **"ლაზებურას"** თავმჯდომარე მუსტაფა ჯიბარიში აწერდა ხელს, ლიტერატორ თემურ ქორიძის მისალმება ყრილობისადმი, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა ყრილობას.

მოხსენებით გამოვიდა სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარე, ბატონი ალექსანდრე ჭაჭია. სიტყვით გამოვიდნენ: ენათმეცნიერი, მეგრული ენის მკვლევარი მამანტი ძაძამია, პოეტი ვახტანგ ხარჩილავა, ვეტერანი ხუტა ხუფენია, გაზეთ **"ილორის"** რედაქტორი როლანდ ჯალადანია.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია:

– შემუშავდეს და საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილ იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კანონპროექტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება საქართველოს რეგიონების კონსტიტუციური სტატუსი;

– შეიქმნას სამეგრელოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების პროგრამა, ამ გზით შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობის მითითებით;

– შემუშავდეს და განხორციელდეს სამეგრელოს ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის პროექტი, გაიმართოს მოლაპარაკება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში გალის რაიონის ჩართვის შესახებ;

– ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკური ჩიხიდან გამოსაყვანად სასწრაფოდ მომზადდეს კანონი ინვესტიციების შესახებ, სათანადოდ, საშეღავათო პირობების დაწესებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისკენ მიმართული როგორც უცხოური, ისე სამამულო კაპიტალისთვის;

– განისაზღვროს მყარი პროცენტი ფოთის პორტის შემოსავლიდან საკუთრივ ფოთისა და სამეგრელოს საჭიროებისთვის წარსამართავად;

– დაჩქარდეს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიება და აღნიშნული საქმის დეტალების საზოგადოებისთვის გაცნობა, მომზადდეს ზვიად გამსახურდიას ძეგლის პროექტი საქართველოს დედაქალაქში აღსამართავად;

– მომზადდეს და განათლების ეროვნულ პროგრამაში ჩაიდოს საშუალო სკოლებში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გაცნობითი კურსი;

– შესაბამისი საზოგადოებრივი შეფასება მიეცეს ედუარდ შევარდნაძის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, მათ შორის, სამეგრელოს მრავალგზის ეგზეკუციას;

– გადაისინჯოს ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო ნოვაციები, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმისთვის არის დამახასიათებელი, ანტიდემოკრატიულია და საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას აფერხებს;

– უმოკლეს ვადაში მოხდეს რეგიონების გუბერნატორების, ქალაქებისა და რაიონული ადმინისტრაციების პირველ პირთა პირდაპირი არჩევითობის უზრუნველყოფა;

– შეწყდეს მართლმადიდებლური ეკლესიის როლის დაკნინების, ქართული ეროვნული ტრადიციების, თვითმყოფადობის, სპეციფიკური ადათ-წესების უგულებელყოფის, დაცინვის, დამცირების მავნე პრაქტიკა;

– შემუშავდეს სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამეგრელოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე შეუფერხებლად გატანას.

კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, ამ რეზოლუციის მიღების თარიღი – 2005 წლის ნოემბერი. მხოლოდ ორი წელი იყო გასული საკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან, როცა სახალხო მოძრაობა **„სამეგრელომ"** ყრილობის რეზოლუციაში ჩაწერა, რომ უნდა გადაისინჯოს მიღებული კანონები, რომლებიც ტოტალიტარული რეჟიმის შექმნას უწყობს ხელს, ანტიდემოკრატიულია და საზოგადოების განვითარებას აფერხებს. ბატონ ბიძინა ივანიშვილს 9 წელი დასჭირდა ყოველივე ამის გათვითცნობიერებაში, დიდი წვლილი შეიტანა მათ გაძლიერებაში. საბედნიეროდ გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა, ვისთან ჰქონდა ქართველ ერს საქმე. ამის შემდეგ მან დაამარცხა ნაცბანდა, რაც აუცილებლად უნდა დაუფასდეს.

* * *

29 ნოემბერს გამართული ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას, მოძრაობის ლიდერის – ალექსანდრე ჭაჭიას მოხსენებას, თანამომხსენებლების, ბატონების – მამანტი ძაძამიასა და ვახტანგ ხარჩილავას გამოსვლას მოჰყვა პროფესორების: ანანია ჯაფარიძის, გონელი არახამიას, ნომადი ბართაიას, თეიმურაზ გვანცელაძის, რეზო შეროზიას, მერაბ ნაჭყებიას, მანანა ტაბიძის და ტარიელ ფუტკარაძის კოლექტიური წერილი პრეზიდენტისადმი, იყო სხვა გამოხმაურებებიც როგორც დადებითი, ისე კრიტიკული.

აქვე გთავაზობთ ამ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარს, რომელიც გააკეთა სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარემ, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ:

" – ყრილობის შედეგებით კმაყოფილი ვარ. განხილული საკითხები აქტუალურია არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ სრულიად საქართველოსთვის, თუმცა საზოგადოების ერთი ნაწილი ზოგიერთი ტელეარხის პროვოკაციის შედეგად საკმაოდ შეშფოთდა. საქმე ისაა, რომ ყრილობამ ქართულ სკოლებში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გასაცნობი კურსის შემოტანა მოითხოვა, მეორე დღეს კი პრესაში გამოქვეყნდა მეცნიერთა ერთი ჯგუფის ხელისუფლებისადმი მიმართვა, რომელშიც ამ ენებს კუთხურ კილოკავებს უწოდებდა და მათ შესწავლას ქვეყნის დანგრევასთან აიგივებდა.

მე არა ვარ ფილოლოგი, მეგრულს ან სვანურს რაიმე კვალიფიკაცია რომ მივანიჭო, მაგრამ მინდა შეგახსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები: "მეგრული დღეს სალარია ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები. მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულს სწყინს. მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტად ეს ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი".

ეს არის დიდი აკაკის რჩევა, რომელიც მეგრულს ენად და ქართული ენობრივი კულტურის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

ასევე ჩანს, თუ ვის შეიძლება "ეწყინოს" და "ყურში ცუდად გაეჩხიროს" მეგრულ ენაზე ზრუნვა. ჩემის აზრით, ნებისმიერი ქართველი უნდა ამაყობდეს იმით, რომ არსებობს უდიდესი ფენომენი – ქართველური ენობრივი კულტურა, რომელიც მოიცავს თვით ქართულ, მეგრულ და სვანურ ენობრივ კულტურებს. საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა უმდიდრესი მეგრული და სვანური ფოლკლორი, იწერებოდა და დღესაც იწერება მშვენიერი ლექსები, პატრიოტი და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები მეგრულს მეცნიერულად იკვლევენ, როგორც უმდიდრესი ლექსიკური მარაგის მქონე ენას.

მინდა ვკითხო დღევანდელ მეცნიერებს: რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებში შედის ამ საუნჯის იგნორირება და აბუჩად აგდება? დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობის ინტერესებში ეს არ შეიძლება შედიოდეს.

რაც შეეხება სკოლებში მეგრული და სვანური ენების გასაცნობი კურსის შემოღებას, მითხარით, რა არის ცუდი იმაში, თუკი ქართველი ბავშვი ქვეყნის ნებისმიერი კუთხიდან სამეგრელოს ან სვანეთის სოფლებში მოხვედრისას, ან ქუჩაში მეგრულს თუ სვანურს რომ მოჰკრავს ყურს, უცხო საუბრად არ აღიქვამს და იფიქრებს: ეს ჩემი ძირძველი ენაა, ეს ქართულია, მშობლიურია. შეუწყობს თუ არა ეს ხელს ქართველი ერის გამთლიანებას?

ბატონი გიორგი სიჭინავა მის მიერვე შედგენილ მეგრული ენის თვითმასწავლებელში წერს: "ჩემო პატარა მკითხველო, უნდა იცოდე, რომ მეგრული და სვანური ქართველური ენებია და ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართველო კოლხიბერთა ქვეყანაა. კოლხებს და იბერებს ერთი წინაპარი ჰყავდათ, დღესაც სხვადასხვა კუთხედ გატოტვილი, ისე, როგორც ხეთა შტოები, ერთი ფესვიდან იკვებებიან.

ქართველი ერის აკვანი შორეულ აიაში დაირწა და დღესაც შორეული წარსულიდან ისმის საყვარელი მელოდია: "იავნანა, მარდუნანა, იავნანინა". თავდაპირველად იქნებ გეუცხოოთ მეგრული სიტყვები, მაგრამ უცხო არ არის, ის ძველისძველია, თქვენი სისხლით ნათესავების, თქვენი აიელი წინაპრების ხმებია".

ჩემის აზრით, სწორედ ეს მიდგომა უნდა იყოს მისაღები იმ ხალხისთვის, იმ ხელისუფლებისთვის, იმ ცალკეული პირებისთვის, რომელთაც ნამდვილად სურთ ქართველი ერის, როგორც ისტორიულ-კულტურული ერთიანობის შენარჩუნება, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და ქვეყნის ტერიტორიული, სულიერი მთლიანობის აღდგენა. მე არ მიკვირს, როცა ასეთ მიდგომას გმობს პრეზიდენტის აპარატში მოკალათებული ვიღაც კარაპეტა, მაგრამ ქართველ მეცნიერთაგან იმავეს მოსმენა, მართლაც, გასაკვირია.

ჩემის აზრით, არა მარტო მეგრული და სვანური, არამედ აფხაზური ენის გასაცნობი კურსიც შემოსაღებია ქართულ სკოლებში, რადგანაც ეს ენა ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარა, სახელმწიფო ენას კი ყველა მოქალაქე უნდა იცნობდეს.

ზოგიერთი პროვოკატორის გარდა, ყველამ ჩინებულად იცის, ჩვენ ვითხოვთ მთელ საქართველოში მეგრული და სვანური ენების ერთსემესტრიანი გაცნობითი კურსის შემოღებას და არა სამეგრელოში მეგრულად სწავლებას. ყველა, ვინც ცდილობს, ასეთი კუთხით წარმოაჩინოს ჩვენი მოთხოვნა, ეწევა შეგნებულ პროვოკაციას შორსმიმავალი მიზნებით.

იმ პროფესორებს კი, რომლებიც მეგრულისა და სვანურის ლამის აკრძალვას მოითხოვენ, ასევე მინდა შევახსენო, რომ დამთავრდა კომუნისტური რეჟიმის პერიოდი, როდესაც შეიძლებოდა მეგრულ ენაზე დაწერილი ლექსის ავტორის დახვრეტა, გადასახლება ან თუნდაც პარტიულ ორგანოებში გამოძახება და მეგრულად ლექსის დაწერის აკრძალვა.

არ ვაპირებ პოლემიკას იმ მეცნიერებთან, რომლებმაც ხელისუფლების სახელზე სასწრაფოდ აფრინეს უსტარი და ლამის ჩემი დაჭერა მოითხოვეს, მით უფრო, რომ დღეს ქვეყნის წინაშე გაცილებით მძიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები დგას. უბრალოდ, მინდა ვკითხო მათ: როგორ აპირებთ, ვთქვათ, ბატონებს – გიორგი სიჭინავას, ვახტანგ ხარჩილავას, რინოს კვარაცხელიას და სხვებს აუკრძალოთ მეგრული ლექსების წერა: პარტიულ ორგანოში დაიბარებთ, გადაასახლებთ თუ სულაც ჩეკას სამეულივით სასამართლოს გარეშე დახვრეტთ?

როგორ გინდათ, დაარწმუნოთ მეგრელები და სვანები, რომ ენა, რომელზეც ისინი საუბრობენ, არ არსებობს?

ვინ იქნება იმავე მეგრელებისთვის მისაღები – ცნობილი ენათმეცნიერი, აფხაზების სიძე ჰიუიტი, რომელიც მეგრულს ერთ-ერთ უმდიდრეს ენად მიიჩნევს და მთელს ევროპაში უწევს მას პოპულარიზაციას, თუ ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც ამ ენის არსებობას უარყოფენ და კნინობით, შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენიებენ?

ნუთუ გგონიათ, რომ რომელიმე ლაზში (ასეთი ორ მილიონამდეა და მათთან ნათესაური კავშირების აღდგენა თუნდაც იმიტომ შედის სახელმწიფოს ინტერესებში, რომ ისინი თურქეთში პოლიტიკურ ამინდს ქმნიან) სიმპათიას გამოიწვევთ, თუკი მათ ენას კუთხურ კილოკავს უწოდებთ? ხომ

გაგრძელება მე-7 გვერდზე

უმბერტო ეკო – პირველქმნილი ენის ძიება ევროპის ისტორიაში

საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ამ ეპოქაში, რომელიც ადრეული შუასაუკუნეების სახელითაა ცნობილი, ევროპაში სახეზეა ბაბილონის გოდოლის კატასტროფის განმეორების სურათი: ოფიციალური კულტურისათვის უცნობი ბარბაროსები – მიწის მუშაკნი, ხელოსნები, უწიგნური ევროპელები ამეტყველდებიან სხვა და სხვა ხალხურ ენებზე, რომელთა შესახებ ოფიციალურმა კულტურამ თითქმის არაფერი იცის. ევროპული კულტურა მოიცვა რეფლექსიამ ენათა აღრევის **(confusio lingvarium)** თაობაზე.

მაგრამ ამ რეფლექსიამდე არც იყო ევროპული კულტურა, თავად ევროპა. რა არის ევროპა? – კონტინენტის ნაწილი, რომელიც საკმაოდ ძნელად გამოცალკევებადია აზიისგან და იგი არსებობს მას შემდეგ, რაც თავდაპირველმა პანგეამ ფრაგმენტაცია განიცადა გეოტექტონიკური რყევების შედეგად, რომლებიც დღემდე გრძელდება. მაგრამ ევროპაზე, როგორც ცალკე ფენომენზე საუბარი იმ გაგებით (რა გაგებითაც თანამედროვე სამყარო ტერმინ ევროპას აღიქვამს და აცნობიერებს), შესაძლებელია მხოლოდ რომის იმპერიის დაშლისა და ამ რომაულ ნიადაგზე ბარბაროსული სამეფოების წარმოქმნის შემდეგ. რომის იმპერიასთან შედარებით (რომელიც აზიასა და აფრიკის ნაწილსაც მოიცავდა) ევროპა იმთავითვე წარმოგვიდგება როგორც ენათა ახალი ბაბილონი და სხვადასხვა ერთა მოზაიკა.

ევროპას საფუძველი ეყრება ხალხურ ენათა წარმოშობის შედეგად. ევროპული კულტურა ჩასახვისთანავე აღმოჩნდა ენათა ფრაგმენტაციის დრამის წინაშე და იმთავითვე იწყებს რეფლექსიას საკუთარ, როგორც მრავალენოვანი, მრავალეთნიკური ცივილიზაციის ბედზე. გრძნობს და განიცდის რა ამ პრობლემას, ევროპა უკან, წარსულში იმედოვნებს, ჰპოვოს ამ პრობლემის თუ სენის უნივერსალური ელექსირი ისეთი ენის მოძიებით, რომელზეც, სავარაუდოდ, თავად ადამი მეტყველებდა, ან კიდევ, სამომავლოდ ისეთი საზრიანი ენობრივი კონსტრუქციის შექმნით, რომელიც არ უნდა ჩამოვარდნოდა ადამის დაკარგულ ენას.

პირველქმნილი ენის მოკვლევა-ძიების ისტორია ევროპაში იწყება ებრაული კაბბალისადმი ინტენსიური ინტერესის გაღვივებით.

კაბბალა (qabbalah – მიახლოებითი თარგმანი – ტრადიცია – გადმოცემა. (ლათინური ენის გრაფიკით იდენტურად დაიწერებოდა **ყაბალახ**-იც – მთარგმნელის შენიშვნა) ემყარება თორას (ძველი აღთქმის ხუთწიგნეული ებრაულად – მთარგმნ. შენიშვნა) გადმოთარგმანებისა და თალმუდში განზოგადებულ რავინისტულ ტრადიციას და წარმოადგენს ებრაული საღვთო წერილებისა და წმიდა ტექსტების კითხვისა-დათარგმანება-გაგების საკმაოდ მაღალგანვითარებულ ტექნიკას. მაგრამ თორას ტექსტი, რომელზეც კაბალისტი მუშაობს, განიხილება როგორც მხოლოდ ათვლის წერტილი, საწყისი პუნქტი: წერილობით თორაში მისი პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, მის მიღმა კაბალისტმა უნდა მოიძიოს და მიაგნოს მარადიულ, ზეპირ თორას, რომელიც ჯერ კიდევ შესაქმემდე არსებობდა და რომელიც უფალმა ანგელოზებს მიაბარა.

კაბალისტთა ნაწილის აზრით, თორა, რომელიც მურივით მუქი ფერის ცეცხლის ენებად გამოისახა თეთრი, კაშკაშა ალის ნათელზე, შესაქმის დაწყებისას უფლის წინაშე იმყოფებოდა უამრავი ასო-ნიშნის სახით, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ სიტყვებად შეკავშირებულნი. რომ არა ცოდვა ადამისი, ეს ასო-ნიშნები სხვაგვარად დალაგდებოდნენ და სულ სხვა ისტორიას მისცემდნენ დასაბამს. ამიტომაც, თორას გრაგნილი არ შეიცავს ხმოვნებს, სასვენ ნიშნებს. მესიის განსხეულების შემდეგ უფალი წაშლის ასო-ნიშნების დღეს არსებულ კომბინაციას და გვასწავლის არსებული ტექსტის სხვა წეს-რიგით წაკითხვას.

ამგვარად, თორას ტექსტი კაბალისტისათვის წარმოადგენს სიმბოლურ აპარატს, რომელშიც აღწერილი მოვლენებისა და კანონების პირდაპირი მნიშვნელობით გაგების გარდა, აღმოჩენილ უნდა იქნას მისტიკური და მეტაფიზიკური რეალიები. ამიტომაც, თორა უნდა იკითხებოდეს იმგვარად, რომ წარმოჩინდეს ოთხი მნიშვნელობა – პირდაპირი, ალეგორიულ-ფილოსოფიური, ჰერმენევტული და მისტიკური, რაც ახლოსაა ქრისტიანული ეგზეგეზის თეორიასთან წმიდა წერილების ოთხგვარ საზრისზე. თუმცა, ანალოგია აქ მთავრდება, რადგანაც სხვა ასპექტით საქმე გვაქვს ძირეულ განსხვავებასთან.

ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ, მართალია, ქრისტიანული ეგზეგეზა ტექსტის საკრალური მნიშვნელობის ინტერპრეტაციისას უშვებს დამატებითი რაკურსების მოშველიებას, მაგრამ თავად ტექსტის მატერია არ ექვემდებარება პრეპარაციას, იგი უცვლელი სახით უნდა დარჩეს და მაქსიმალურად იქნას დაცული სიტყვათა თანმიმდევრობა და მათ შორის კავშირი. კაბალისტიკაში კი დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციასთან გვაქვს საქმე, რადგან აქ დაშვებულია ტექსტის ანატომიური პრეპარირება სამი ძირითადი მეთოდის მეშვეობით: 1) ნოტარიკონი; 2) გემატრია; 3) თემურა.

ნოტარიკონი ნიშნავს აკროსტიხის (სიტყვათა საწყისი ასოებისაგან ახალი სიტყვის შექმნა) მეთოდს, რომელიც გამოიყენება, როგორც ხერხი ტექსტის ჯერ დაშიფვრისა და შემდგომი გაშიფვრისათვის. ეს მეთოდი ფრიად გავრცელებული იყო გვიანანტიკური და შუა საუკუნეების პოეზიასა და ლიტერატურაში. შუა საუკუნეებში მის საფუძველზე შეიქმნა ე.წ. ARS NOTORIA (მონიშვნის ხელოვნება).

გემატრიის შესაძლებლობა ჩნდება იმის საფუძველზე, რომ ანბანის ასო-ნიშნებს შეესაბამება რიცხვითი მნიშვნელობა და თუ ჩვენ შევადარებთ ერთმანეთს მნიშვნელობით სხვადასხვა სიტყვებს, რომელთა გემატრიული ჯამი ერთმანეთს ემთხვევა, შესაძლებელია, დადგენილ იქნას ანალოგია და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იმ იდეებსა და არსებით მნიშვნელობებს შორის, რომელთაც ეს გემატრიულად თანხვდომილი სიტყვები გამოხატავენ.

დაბოლოს, თემურა გახლავთ ანაგრამის – ასონიშანთა გადაადგილების ხელოვნება, რომელიც გაცილებით დიდ შესაძლებლობებს იძლევა იმ ენაში, სადაც ტექსტში ხმოვნები, როგორც ასეთი, ცალკე არ იწერება. მაგალითად, შუა საუკუნეებში მოშე კორდოვერო სვამს კითხვას, რატომაა აკრძალული ისეთი სამოსის ტარება, რომელიც მოქსოვილია ერთდროულად შალისა და სელის გამოყენებით და ასკვნის, რომ ამ აკრძალვის პირვანდელ ვერსიაში იგივე ტექსტის იგივე ასო-ნიშნებს სხვა მნიშვნელობაც აქვს და აღნიშნავს უფლის მიერ გაფრთხილებას ადამის მიმართ, რომ მას არ გაეცვალა ნათლის **«სამოსელი პირველი»** გველის პერანგისაგან შეკერილზე, რომელიც დემონურ ძალაუფლებას იძლეოდა.

უნდა აღინიშნოს, კაბალისტთა ნაშრომებში იკვეთება საერთო პოზიცია, რომ შესაძლებელია დადგინდეს ერთგვარი ანბანი, რომელსაც შეუძლია წარმოშვას ასონიშანთა კომბინაციების თავბრუდამხვევი რაოდენობა (რაც უკვე ფაქტიურად განახორციელა ქართველმა მეცნიერმა ბატონმა მამანტი ძაძამიამ – მთარგმნელის შენიშვნა) – *(2) და ამ კომბინატორიკის ხელოვნებაში მე-13 ს. საკმაოდ გაიწაფა აბრაჰამ აბულათია (აბლოთია!?!...) – მთარგმნელის ხაზგასმა), რასაც მოწმობს მისი ნაშრომი **„სახელდებათა კაბალა“.** თეოსოფიური კაბალისაგან განსხვავებით, რომელიც აკროსტიხებისა და ანაგრამების გამოყენების მიუხედავად მაინც საკმაო მოწიწებით ეპყრობოდა წმიდა წერილთა ტექსტებს, სახელდებათა კაბალა პირიქით, არღვევს, პრეპარირებას უქვემდებარება, შეიძლება ითქვას, ერთგვარად ხრწნის კიდეც და შემდგომში სხვა წეს-რიგით ალაგებს და აღადგენს ტექსტის სინტაგმურ სტრუქტურას თვით უმცირეს ლინგვისტურ ელემენტებამდე, ალფაბეტის ცალკეულ ლიტერებამდე. და ეს შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ აბულათიასათვის ასო-ნიშნებს ცალკე აღებულთაც კი საკუთარი საზრისი და მნიშვნელობა აქვთ (კოლხურში სწორედ ამ სურათთან გვაქვს საქმე ერთი ერთში – ცალკე აღებული თანხმოვანი უკვე ქმედებას აღნიშნავს – მთარგმნელის შენიშვნა). მაგალითად, პიკო დელა მირანდოლას მეგობრისა და იდეური ინსპირატორის – იოჰანან ალემანოსათვის (მე-15 ს.) ენის სიმბოლური დატვირთვა თითქმის მათემატიკურ ფუნქციებამდე დაიყვანებოდა. მოგვიანებით იგივე აზრს იზიარებს რამონ ლული, როჯერ ბეკონი, კორნელი აგრიპა და ა.შ. შუა საუკუნეების ენციკლოპედიურად განათლებულ მოაზროვნეთა მთელი პლეადა.

სახელდებითი ანუ ექსტატიური კაბალისათვის ენა თავად არის ცოცხალი სამყარო, რომლის სტრუქტურა შეესაბამება რეალური სამყაროს სტუქტურას. თავის დროზე ფილონ ალექსანდრიელი ცდილობდა თორას საკრალური არსი მიესადაგებინა ლოგოსისათვის, იდეათა სამყაროსათვის. ხოლო პლატონის კონცეფციებმა ასახვა ჰპოვეს მიდრაშ-აგადას წიგნებში, სადაც მარადიული, ზეპირი თორა განიხილება როგორც უფლის მიერ სამყაროს მოწყობის გეგმა (ე.წ. დიადი არქიტექტორის იდეა). ამდენად, მარადიული თორა შესაბამისობაში იყო უდიდეს საკრალურ სიბრძნესთან და სამყაროს არქეტიპულ ფორმა-ყალიბებთან. სავარაუდოდ, ავეროესის გავლენით მე-13 საუკუნეში აბულათია იგივეობის ნიშანს სვამს მარადიულ თორასა და აქტიურ ინტელექტს შორის.

სათქმელს თუ უფრო დავაკონკრეტებთ, ამ და მსგავს ტრაქტატებში მკაფიოდ იკვეთება კონტურები იდეისა ერთგვარი პირველქმნილი ენის შესახებ, რომელიც ზუსტად ემთხვევა სამყაროს სტრუქტურას, როგორც ბეჭედი ყალიბს. ეს ენა, აბულათიას სიტყვებით დედა-ენა, თავისი შინაარსითა და ფუნქციებით წმინდა ენა გახლავთ, რამეთუ ადამის მიერ უფლის შემოთავაზებით დარქმეული სახელები შემთხვევით არ იყო არჩეული. ამ კუთხით საინტერესოა აბულათიას ერთ-ერთი მოწაფის აზრი: **“დასაბამიდან არსებობდა 2 ტიპის ენა: პირველი წარმოიშვა ღმერთსა და ადამს შორის საურთიერთობოდ, მეორე – ადამს, ევასა და მათ შთამომავლობას შორის ურთიერთობისთვის. პირველი ენა ადამმა მხოლოდ სეთს გაანდო და მოაღწია ნოემდე. ენათა კონფუზი მას არ შეხებია, იგი შეეხო მეორე ენას”.** (სავარაუდოდ, ამ ენის მემკვიდრე უნდა გამხდარიყო შემდგომ თარგა-მოსი – მთარგმნ. შენიშვნა) – *(3). ეს პროტო ენა, წინარე ენა აუცილებელი გახლდათ სხვა ენების შექმნისათვის, როგორც მატრიცა და თარგი, რამეთუ, რომ არ ყოფილიყო ეს პროტო ენა, წინარე ენა, პრიმა ენა (შდრ. PRIMA-VERA- იტ-ალი-ურ ენაზე გაზაფხული, გაზაფხული, როგორც საწყისის იდეა – ძველ დროში ახალ წელს 1 მარტს – ბუნების გამოცოცხლება-რეგენარაციის ჟამს აღნიშნავდნენ. RIMAVERA – პირველი რწმ-ENA, პირველქმნილი ენა ემთხვეოდა რწმ-ენას, პირველად იყო სიტყვა და სიტყვაი იგი იყო ღმერთთან-მთარგმნ. შენიშვნა) **„не возникло бы обоюдного согласия, чтобы дать предмету имя, отличающееся от того, какое он имел прежде, ибо второй человек не понял бы второго имени, если бы не знал имени первоначального, так, чтобы можно было договориться о перемене («Сефер ор ха-цеель»,** см. Idel 1989, ص. 13-14).

აღსანიშნავია, რომ ეს პროტო ენა, პირველქმნილი ენა, ერთგვარი მატრიცა, თარგი ყველა სხვათათვის *(3), რომელიც იდენტურია მარადიული და არა წერილობითი თორისა (ცნობილია, რომ პირველი წერილობითი თორა ვერ გადაურჩა ხანძარს სოლომონის ტაძარში – მთარგმნელის შენიშვნა) აბულათიასთვის არ ემთხვევა ივრითს. იგი სინანულით აღნიშნავს, რომ მისმა ერმა განთესვის პროცესში დაივიწყა თავისი პირველი ენა და თვლის, რომ კაბალისტის დანიშნულებაა, მიაგნოს 72 ენის მატრიცას. მაგრამ მხოლოდ მესია საბოლოოდ მოჰფენს ნათელს ყოველივე დაფარულს და **„различие между языками исчезнет в конце времен, когда все существующие языки будут поглощены языком священным (стр42)**

პირველქმნილი ენა დანტესთან

პირველი ტრაქტატი, რომელშიც შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყარო გვთავაზობს სრულქმნილი ენის ორგანულ პროექტს, გახლავთ დანტეს **DE VULGARI ELOQUENTI** (ხალხური მჭევრმეტყველება). იგი იწყება იმ უდავო და მნიშვნელოვანი ფაქტის კონსტატაციით, რომ არსებობს მრავალი ხალხური ენა. ისინი თავისი ბუნებრივი ხასიათით უპირისპირდებიან ლათინურს, რომელიც გახლავთ მაგალითი უნივერსალური, მაგრამ ხელოვნური გრამატიკისა.

დანტე აღნიშნავს, რომ ბაბილონის გოდოლის კატასტროფამდე **(CONFUSIO LINGUARIUM)** არსებობდა პირველქმნილი ენა (საინტერესოა საიდან აიღო დანტემ თავად ასეთი ენის არსებობის შესაძლებლობა), რომელზეც ადამი მიმართავდა უფალს და რომელზეც საუბრობდა მისი შთამომავლობა. ტრაქტატში დანტე, რომელიც ავლენს იმ დროისათვის ბრწყინვალე ლინგვისტურ ცოდნას, წარმოაჩენს, რომ ენების შემდგომი დაყოფა თავიდანვე ექვემდებარებოდა სამწევროვანი დაყოფის პრინციპს ედემიწის სხვადასხვა გეოგრაფიულ სარტყელში. რომანიაშიც წარმოიქმნება ასევე სამწევროვანი ენა **OC**(ოქ), **OIL**(ოლ) და **SI**(სი).

დანტეს აზრით, თუ ჩვენი მიზანია ღირსებითა და ბრწყინვალებით შემკული პირველქმნილი ენის მოძიება, აუცილებელია მკაცრ და გამოწვლილვით ანალიზს დავუქვემდებაროთ სხვადასხვა ხალხური ენა იმ უდავო ფაქტის გათვალისწინებით, რომ საუკეთესო პოეტები სწორედ ამ ხალხურ ენათა წიაღში წარმოიშვნენ. სწორედ ეს რთული ძიების პროცესი მოგვცემს შესაძლებლობას, გავიკვლიოთ გზა **к языку блистательному (распространяющему блеск), осевому (который служил бы осью, образцом), придворному (достойному занять место при королевском дворе** – ანუ ეზო-თერული, განსხვავებით ე-გზო-თერულის ანუ ეზოს გარეთ გატანილის, გზას შეყენებულისაგან – მთარგმნ. შენიშვნა) **и правильному (языку правительства, суда, разума).** საინტერესოა, რომ დანტე ენათა აღრევას უპირიპირებს პოეზიის ენას, როგორც ადამის ენასთან უფრო მონათესავეს (შდრ. რუსთველის **“შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი”** – მთარგმნ. შენიშვნა).

დანტეს ტრაქტატი ხალხურ ენას თვლის იმ ბუნებრივ ენად, რომელსაც სიყრმიდანვე ეზიარებიან, როცა ბავშვი იწყებს პირველი ბგერების წარმოთქმას საკუთარი გამზრდელის მიბაძვით და ამ ენას უპირისპირებს LOCUTIO SECUNDARIO-ს, მეორად ენას, რომელსაც ლათინები უწოდებდნენ გრამატიკას და მას ეუფლებოდნენ ხანგრძლივი მეცადინეობით გარკვეული წესების შემეცნების პროცესში. ასხვავებს რა პირველ და მეორად მეტყველებას, დანტე კატეგორიულად ამტკიცებს ხალხური ენის უპირატესობას მისი ბუნებრივობის გამო, რადგან **она первая входит в употребление у рода человеческого и потому, что таковою пользуется весь мир при всём её различии по выговорам и словам,** მაშინ როცა მეორადი მეტყველება უკვე ხელოვნურობის ნიშნებს ატარებს. ამასთანავე პოეტი ხაზს უსვამს იმ ფაქტის მნიშვნელობას, რომ მეტყველების ნიჭი ცოცხალ არსებათაგან უფალმა მხოლოდ ადამიანს უბოძა საჩუქრად, რაც მას განასხვავებს არა მხოლოდ პირუტყვთაგან, არამედ დემონთა და ანგელოსთა (ანგელოსებს ენა არ სჭირდებათ...) იერარქიისაგან. ამიტომაც, როცა საუბარია ადამიანზე, ჩვენ ვერსად გავექცევით ენისა და მეტყველების ღვთისგან ბოძებული ნიჭის მნიშვნელობას.

მსჯელობის კვალდკვალ დანტეს შემოაქვს უძველესი ენის მცნება და მოიხსენიებს მას როგორც ANTIQUISSIMA LOCUTIONE. მისი აზრით, სწორედ ამ ენაზე მეტყველებდა ადამი და მისი მოდგმა ბაბილონის ენათა აღრევამდე. ღვთაებრივ კომედიაში იგი ასე ათქმევინებს ადამს: **ЯЗЫК, КОТОРЫЙ СОЗДАЛ Я, УГАС ЗАДОЛГО ДО НЕМЫСЛИМОГО ДЕЛА ТЕХ, КТО НИМВРОДОВ ИСПОЛНЯЛ ПРИКАЗ.** (РАЙ, XXVI, 124-126).

თარგმანი და კომენტარები
თორნიკე შამათავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

“ვეკითხები სამველ კარაპეტიანს, – როდის წარმოადგენდა თბილისი სომხეთის კარიბჭეს?!”

მრუდე სარკეში

ახლახან ხელში ჩამივარდა სომეხი ისტორიკოსის, სამველ კარაპეტიანის 2003 წელს ერევანში გამოცემული წიგნი **Мэры Тифлиса (Тбилиси).** ყურადღება მიიქცია წიგნის სახელწოდებამ. საინტერესოა, ახლა ვინ წერს რუსული ენის გავლენით გადაკეთებულ თბილისის სახელწოდებას – ტიფლისს. ეს იგივეა, ერევნის ისტორია დავწერო და ერევანი ირივონ, ერივონად მოვიხსენიო, როგორც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში წერდნენ ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოცემული ჟურნალ-გაზეთები.

პირველივე გვერდზე ავტორი აცხადებს, – XIX საუკუნის ბოლოს თბილისს კავკასიის პარიზს ეძახდნენო და იქვე დასძენს: **“Тифлис является “прихожей”, “притвором” Армении”.** ეს ამონარიდია, მაგრამ წყაროს არ უთითებს. აშკარაა, რომ უყოყმანოდ იზიარებს. ამიტომ, ვეკითხები, როდის წარმოადგენდა თბილისი სომხეთის კარიბჭეს?!

ალბათ, იგი გულისხმობს დიდი ხნის წინ ილიას **“ქვათა ღაღადში”** საფუძვლიანად მოთხრილ და უარყოფილ ხუდაბაშოვის, ეზოვის, პატკანოვისა და სხვათა ავადმყოფურ აკვიატებას, იდეფიქსს – თითქოს თბილისი იყო სომეხთა სასაზღვრო ციხე-სიმაგრე, შემდეგ ქართველთა დედაქალაქად იქცაო. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწის ნათქვამი,– სომხებს ავადმყოფური ისტორიზმი სჭირთო. მას თავის დროზე ვუწოდე **“მურადიანიზმი მეცნიერებაში”.** ამ საკითხით თუ ვინმე დაინტერესდება, ვურჩევ ივანე ჯავახიშვილის შრომები წაიკითხოს. განსაკუთრებით 1919 წელს გამოცემული **“საქართველოს საზღვრები”**. ეს წიგნი კარაპეტიანების, მურადიანების, აივაზიანებისა და მათ მსგავსთა გონზე მოსაყვანად არის დაწერილი. თუმცა უნდა ვადიარო, რომ დიდი მეცნიერი ამაოდ დაშვრა...

ამას მოსდევს XIX საუკუნის თბილისის არაეროვნული ბურჟუაზიის ქება-დიდება, რომელმაც თურმე **“თბილისი წაართვა არა ქართველებს, არამედ სპარსელებს, თურქებსა და გერმანელებს. ეს გააკეთეს არა ყაჩაღურად, ბნელ ღამით, არამედ “Честным трудом” და “Честными деньгами” – დღისით, მზისით, ფხიზელი გონებით”.** ხედავთ, რა სიკეთე გაუკეთებიათ მანთაშოვებსა და არამიანცებს უბედური ქართველებისთვის?

სომხური ბურჟუაზია თუ როგორი **“Честным трудом”** და **“Честными деньгами”** შეეცილა მკვიდრ ქართველებს, ამას მოწმობს XIX საუკუნის პერიოდიკაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. მოვიტანთ მრავალთაგან ერთ-ერთს. აკაკი წერეთელი წერდა: **“...სალდათებს აუღიათ თავი და ყაჩაღურად შეიარაღებულნი დაიარებიან თფილისში, ვაი, იმ მუშა ქართლელის და იმერელის ბრალი, რომელიც მათ შეხვდებათ. იჭერენ, მიათრევენ სადღაც მღვიმეში, რომელსაც კანტორას ეძახიან და სანამ თვითო მანეთს არ წაგლეჯენ, არ უშვებენ. თუ ფული არ აქვს, ჩოხას ხდიან და სამუშაო იარაღს ართმევენ... ერთი სიტყვით, იმერლებისა და ქართლელებისთვის თფილისში აღა-მაჰმად ხანი მობრუნდა. აღა-მაჰმადხანური ქცევა ჩვენ არ გვაკვირვებს ქალაქის გამგეობის მხრით, რომელიც საკუთარი სომხურისგან არის შემდგარი. ჩვენ ამაებს ჩვეული ვართ მათგან; მაგრამ ის კი ვერ გაგვიგია, თუ რა მიზეზია, სომხის ახალგაზრდობა ამაზე ხმას არ იღებს და არ ჰკიცხავს თავის მამების და უფროსი მომმეების ბოროტებას... დალოცვილი სომხები, როცა მათთვის მოსახდენია ყოველთვის ძმობა-ერთობაზე ჰყვირიან და როცა აღარ ეჭვივრებათ, მაშინ ბატონობაზედ ხელს არ იღებენ”** (“დროება”, 1875).

აკაკი სომეხ ახალგაზრდობაში გრიგორ არწრუნსა და მის მიმდევრებს გულისხმობდა, მაგრამ ისინი სომხურ ბურჟუაზიას უკმევდნენ გუნდრუკს და ხალხის ინტერესები ნაკლებად აღელვებდათ. მით უმეტეს, ქართველი გლეხის ყოფა სულ არ ენაღვლებოდათ. თუ ქართველ გლეხს თბილისში შემოსვლა ეზღუდებოდა და გადასახადი უნდა გადაეხადა, სომხეთის პროვინციებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ უპოვარი სომეხი გლეხები, ყოველგვარი ბეგარის გარეშე. მეტიც, ისინი არათუ შემოჰყავდათ, არამედ ამკვიდრებდნენ და თან გაჰყვიროდნენ, თბილისი სომხების დედაქალაქიაო.

სომხური ბურჟუაზია თბილისში სწორედ არა **“Честным трудом”** და არა **“Честными деньгами”** იყო გამდიდრებული, არამედ ქართველი გლეხის ძარცვა-ყვლეფით.

სამველ კარაპეტიანი დახელოვნებულია დემოგრაფიული ცხრილების მოხმობაში, მაგრამ მონაცემებს მეცნიერული ანალიზი სჭირდება. მაგალითად, თბილისში სომხების რაოდენობა 1864 წლის მოსახლეობის აღწერით 47%-ს შეადგენდა. შემდეგ მოჰყავს 1821 წლის მონაცემები, როდესაც თბილისში 87,6% იყო სომეხი ეროვნების მცხოვრები. მონაცემი კი მოაქვს, მაგრამ კომენტარს არ აკეთებს – რატომ იყო სომეხი მოსახლეობა 87,6 % 1821 წელს.

ეს მომეტებული რაოდენობა სომხებისა, თბილისში 1821 წელს გამოწვეული იყო იმ დიდი ტრაგედიით, რომელიც აქაურ მოსახლეობას დაატყდა თავს სულ რაღაც ორიოდე ათეული წლის წინ, აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების გამო (1795 წელს). ვინც ქალაქიდან გასვლა ვერ მოასწრო, დახოცეს, ვინც ცოცხალი გადარჩა, სპარსეთის შორეულ გზას გაუყენეს სპარსმა ურდოებმა. თბილისელ სომხებს შედარებით ნაკლებად შეეხო მტრის მახვილი. უმთავრესად ქართველთა თავზე დატრიალდა სისხლიანი კალო. ისიც უნდა ითქვას, რომ ვინც დროზე გაიქცა ქალაქიდან, უკან ვეღარ დაბრუნდა, თავშესაფარი აღარ ჰქონდათ. ამ დროისთვის ქართული ეკლესიის რიცხვიც შემცირდა, ხოლო სომხებისა გაიზარდა. თბილისში 1805 წელს 39 სომხური ეკლესია იყო, ქართული კი – 17. საქართველოს სომხურმა ეპარქიამ ამ ტრაგედიით ისარგებლა და მოისაკუთრა თელეთის, შავნაბადას, წავკისის ქართული ეკლესიები. მაგრამ უბედურება ამით არ მთავრდებოდა: როცა სომეხი სასულიერო პირი ეშმაკური ხერხებით ქართულ ეკლესიას სომხურად აქცევდა, მერე იწყებდა მისაკუთრებული ქართული ეკლესიის ქართველი მრევლის ათასნაირი ხრიკით გასომხებას.

ქართული მიწისა და ქართველი გლეხის ძარცვა-ყვლეფით გამდიდრებული სომხები, რომელნიც შიშველ-ტიტველნი ჩამოვიდნენ ზანგეზურის, არარატის, სისაკანისა და სხვა სომხური პროვინციებიდან, კარაპეტიანისვე სიტყვებით, მხოლოდ **“Честным трудом”** და **“Честными деньгами” გამდიდრდნენ”.**

ისტორიის ირონიაა – მათი ხელიდან **“გამოგლეჯილ”** თბილისს თავიანთ დედაქალაქად აცხადებდნენ. დედაქალაქზე გამახსენდა, სომხურ სკოლებში მოსწავლეებს ასწავლიან – სომხეთს 22 დედაქალაქი ჰქონდაო: თბილისი, ბაქო, როსტოვი, არმავირი და სხვ. აქ კი აკაკი მოგაგონდება, – სადაც კი სომეხს არშინი შეუტანია, ყველა **“ჰაისტანი”** ჰგონიაო, – წერდა ირონიით.

როცა 1907 წლის 29 ოქტომბერს სრულიად სომეხთა კათალიკოსი ხრიმიანი აღესრულა, ამ დღეს დანიშნული ქალაქის დუმის სხდომა კათოლიკოსის პატივსაცემად გადადო თბილისის თავმა ვასილ ჩერქეზიშვილმა...

დიმიტრი ყიფიანი ქალაქისთავად არჩეული იყო 1875-1879 წლებში. საკრებულოს ერთ-ერთმა ახალარჩეულმა წევრმა ფიცის დადება სომხურ ენაზე დაიწყო. დიმიტრი ყიფიანმა მისცა შენიშვნა, – ყველასთვის გასაგებ – რუსულ ან ქართულ ენაზე ბრძანეთო. სამწუხაროდ, საკრებულოს სომეხი ეროვნების წევრებმა ამ სამართლიანი მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადეს. დიმიტრი ყიფიანი პროტესტის ნიშნად გადადგა!

კარაპეტიანი, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის ჟანდარმერიის გავრცელებულ ყალბ ვერსიას იმეორებს და წერს: – ყიფიანი გაძარცვის მიზნით მოკლეს სტავროპოლში. მას არ აინტერესებს მკვლელობის ნამდვილი მიზეზი – ყიფიანმა უშიშრად დაიცვა ქართველი ხალხის ღირსება და ამიტომ მოუსწრაფეს სიცოცხლე ცარიზმის აგენტებმა.

ვფიქრობ, სულაც არ არის გასაკვირი, ალექსანდრე ხატისოვის ქალაქისთავად არჩევის (1910) წინააღმდეგ რომ წავიდა ქართველი საზოგადოება. ამის შესახებ თვითონ ხატისოვი წერს: **“ბ-ნმა ხატისოვმა თუნდაც მზის სინათლით გაანათოს ღამე ქალაქი, მარმარილოთი მოაპირკეთოს თბილისის ქუჩები, სულერთია, მისი ქალაქისთავად არჩევის წინააღმდეგი ვიქნებით, რადგან იგი სომეხია”.** გამოხდა ხანი და აღმოჩნდა, რომ ქართული გაზეთები არ შემცდარან, ხატისოვმა სომხეთის დაშნაკურ მთავრობაში პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. სწორედ ის იყო ორგანიზატორი და შემდგენელი დაშნაკთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი წამოყენებული ტერიტორიული პრეტენზიებისა. ხატისოვი და მისი მთავრობა მოითხოვდნენ თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას სურამის მთაგრეხილამდე, დედაქალაქის ქუთაისში გადატანას და სხვ. ამ უნამუსო მოთხოვნაზე, რა თქმა უნდა, უარი მიიღეს, მაგრამ გული არ გაიტეხეს და ის, რაც მოლაპარაკებით ვერ მიიღეს, ომით სცადეს მოპოვებინათ – მუხანათურად დაესხა დაშნაკთა ჯარი საქართველოს. ინგლისი რომ არ ჩარეულიყო, ქართული ჯარი ერევანს აიღებდა... ზოგიერთ სომეხ ისტორიკოსს დღეს ჰყოფნის თავხედობა და ამ ომში დაშნაკებს გამარჯვებულად აცხადებს! თუმცა რა არის გასაკვირი. გასული საუკუნის 90-იან წლებში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა შექმნეს ე.წ. ბაგრამიანის სომხური ბატალიონი. მათ შეიძლება ითქვას, საქართველოს ზურგში დანა ჩასცეს. თუმცა ბაგრამიანის ბატალიონის ბოევიკები უფრო **“მამაცურად”** მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას **“ებრძოდნენ”**, ვიდრე ქართულ ჯარს. სახლ-კარს უწვავდნენ და სადისტურად აწამებდნენ ქართველებს.

ვიმეორებ – ისტორიული სომხეთი თბილისამდე არასდროს ვრცელდებოდა. ეს დაშნაკების მონაჭორია... სამველ კარაპეტიანი წერს, – საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში თბილისის ქართველმა მერებმა – XIX საუკუნის სომეხი ეროვნების მერების საფლავები მიზანმიმართულად გაანადგურესო. ამას წერს მეცნიერი-ისტორიკოსი, ყოველ შემთხვევაში, ამის პრეტენზია აქვს. ამიტომ უნდა სცოდნოდა, რომ ბოლშევიკთა აგრესიულ ათეისტურ პროპაგანდას შეეწირა ქართული და სომხური ეკლესიები და სასაფლაოები. სწორედ ამ კამპანიის დროს აიღეს არა მხოლოდ სომეხთა, ქართველების საფლავებიც. ბოლშევიკებმა მრეწველისა და ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის საფლავიც არ დაინდეს.

სამწუხაროდ, კარაპეტიანის წიგნი, Мэры Тифлиса (Тбилиси) არის ტიპური მაგალითი ისტორიის მრუდე სარკეში დანახვისა და ნამდვილად არ წაადგება საქართველო-სომხეთის შემდგომ ურთიერთობას.

ბონდო არველაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲡᲘᲠᲩᲘᲜᲣᲔ

სირჩინუქქ ქმმოტყობუ,
ნანა, ნანა მუში მანწარა,
თეშა გურქუ ვამაჩინ
მუნერო გორ ჩქიმდა შარა.
სუმენეჩიში მეულაშა
ჟამი ვემურც შურო ჩქარა,
უკული თეში მებურსანს,
ითამ უღუდას კუნტა შარა.
ირფელს ეკვახაბარკუქუ,
განთხის ვამიღუ ბრელი ძალა,
სირჩინუე მუში მანწარა,
თენა ყოფე კოჩიში ჭყალა.
გურიში ცანცალი ქიდომიჭყ,
ონდეთ მეულ, მივოქანცა,
ყუჯის მანგარო მიმოკორდ,
შხუ ხონარით მიღვარანა.
ბრელი მიღუ ოჭარალი,
მარა მუჟამიშა ბჭარა,
მარძგვანი ხე მაცანცალ,
ტანს ვამიღუ მეტი ჭყანა.
ღვინი ჩქიმო არძართიდ,
ჩე ორდკო დო ვარი ჭითა,
ბრელი ყანწი ეშამღუზუ,
ასე მობაღ სუმი ჭირქა.
დონთხაფაშა მოშქურუ დო,
შარას წყნარას მივოცაცა,
ბიგას დიო ვაფშქიდულე,
ითომ ჯგირო მივოკვანწა.
მუჟამს ღურუ ქიმურცინი,
ვადოღურენი ვარე შარა,
არძა თევრენი მავლარირე,
ქუჩურია დო დუდი ხვარა
ოთახს ირო ვამლახუნე,
მოკო ბძირე ბჟა დო ჩხანა.
ვეტერანებს უნჯღვეერქ დო
თექირენა ჩქიმ მახანა.
ბრელი სინწარეს ქოძირინქ,
ქიგარძენი ოში წანა,
ოხვამეშა ვაგაზარენს,
ართი კოცი სქანი მახანა.
ნიტეთ ვორეთ ურძღაფელა,
ღურას იბთხინთ ვემნარღენთ,
მარა მუთუნი ფარაშა.
სირჩინუეს ვემნატრენთ.
სირჩინუეს ქუახუტოლი,
მუშო მოკო ვებირძღენი,
შარას ვაიხვად, ვაძირინქ,
ეჩხუპე დო ენირზენი.
ქართალებს აკას ვავოკოთ,
ვართი ბაღანა, ვართი რჩინი,
ნამ ჯიშიში ორენანი,
სოთინ ვარე თეში შინი.
პროფესორი კოჩი ვორექ,
ვავორექ მიდგა-მუდგა,
მარა ჩქინი მთავრობაქ,
პენსია დამნიშნ აკაბურცხა.

მირიან ჯალაღონია

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲘ

მთვარე შეცურდა ოთახში ფრთხილად,
და მოაფრქვია სხივები მძივთა,
შეეხო არეს, შეეხო კუნჭულთ,
და ყური უგდო წარსულთა სუნთქვას.
ძველი წარსულის წვრილი ნამსხვრევი,
რომელიც აჩნდა გულს კვალად ჩრდილთა,
მოჰქონდა ნიავს შორეულ გზიდან,
და კვნესად ჟღერდა სიცოცხლის ჰანგი.

დალი ცხაკაია

ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘ

ხელნაწერში სიტყვა **“მარგალი”**-დან ამომავალი შინაარსის გათამაშებით მიმთავრდება **“საბაღანო ემუორეფი”.** ორგვარი აზრია შიგ:

1. **ᲯᲘᲨᲐᲓ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘ;**
2. **ᲛᲠᲒᲕᲔᲚᲘ ᲜᲔᲠᲒᲘᲡᲐ.**

ამგვარი გაგება მითაუამურზეც ადრინდელია ხალხში და ადვილად ასახსნელია ბავშვებისათვის. ენათმეცნიერული ეჭვებიც ვერსაიდან მიუდგება. მაინც მისდგომია **“უბრალო კაცი”**-ს სახელით დარჩელელი **გურამ კორკელია** თავისი **“ბრრრ”**-უთი. მისეული ხედვა სუსტია და მისსივე ნათქვამს ჩემსავით გაიმეორებს არაერთი მკითხველი: **“დამტკიცების გარეშე არავითარი აზრი არა აქვს არავის შეხედულებას”.** ამიტომ, ხუმრობით და, ჩემი **“საბავშვო გამოცანები”**-დან რიგით **“26”**-სს ვერ გადავუსვამ ხაზს და ბავშვებზე ადრე ბატონ გურამს წავაკითხებ:

ღირ, ჯიშო მარგალი:
ნერგეფიშ მარგალი,
დო, ხურეკობაშა:
ოშ ეჩ-ეჩ წანაშა,
ემშირდან ფართალი.
მარგალურს მი წონენს?
გეირდუქ,– დორეფი.
გურცუჯო მომრჩქილე
ხომ ემუორეფი?
საგამოთ გისხუნი,
ათეშიც გამა ცი,
ქორექი გვარო-და
კურცხეში გამნარყი:
თე სიტყვა “მარგალი”
მუს მოშინაარსენს?
ჟირნერო გაგებას
კინტორი ვაგარზენს?
თე ჩქიმი, თე ლერსიც
ზეფურო ვამგართვენს?
ა, შორშე დორხვამი
გომხვადუქ მითუნი,
დო თითო ფოსვამი
ხესქანშე დირგუნი,
დო მოთანც მიწიენს,
გემოშა გეთიენს,
ბჯერს, ვეგმიჯიშუნი,
დო ჯიშის დაიცვენს
სახელო გერძუნი.

(ენწყუმა 26. მოხილე ნერგიში დინმარგუალი; ჯიშო, ნაციურო მარგალი)

ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ

ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ!

სულითა და გულით ვუერთდები ბატ. ალექსანდრე ჭაჭიას მხარდამჭერთა დიდ არმიას, მის დიდ აღიარებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოხატა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბატ. ვლადიმერ პუტინმა და ქართველი პოლიტიკოსი დააჯილდოვა რუსეთის ფედერაციის **“საპატიო ორდენით”.** ქართველი ხალხი, ბატონო ალექსანდრე, ამ მაღალ ჯილდოს აღქვამს თქვენს დიდ დამსახურებად რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისათვის გზების ძიების საქმეში. უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა გულანთებული მამულიშვილები, რომლებიც ქვეყნის გარეთ ისეთივე დესპანები იქნებიან, როგორც თქვენ ბრძანდებით. ამ ძნელბედობის ჟამს უდიდეს საქმეს აკეთებთ, რომ აღდგეს ჩატეხილი ხიდი ქართველებსა და რუსებს შორის, ხიდი რომელიც მრავალი საუკუნეების წინათ გაიდო, რომელსაც ვერ შეცვლის ვერც ამერიკა, ვერც ევროპა და ვერც **ნატო**. ქართველი ხალხი გამოდვიძებულია, შიშის სინდრომი გამქრალია, ერი ადვილად არაფერს დათმობს. 17 წლის წინათ თქვენს მიერ ნათქვამი ფრაზები კვლავ აქტუალურია: **“თუ საქართველოში ჯერ კიდევ რამე დარჩა კულტურიდან, რაიმე წმინდა, ყველაფერი წაიშლება ევროპასთან მიახლოებისას... გახსოვდეთ, პოლიტიკოსი, რომელიც მიზნად ნატოში შესვლას ისახავს, ვერასოდეს გაამთლიანებს საქართველოს, უფრო კი სხვა რეგიონსაც დაკარგავს”.**

ქართველებო! აი, ასეთი საშიშროების წინაშე ვდგავართ დღეს. ასე აზროვნებდა მაშინ და ასე იბრძვის დღეს ალექსანდრე ჭაჭია – პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი, აკადემიკოსი, ნიჭიერი ანალიტიკოსი, სამშობლოს დიდი პატრიოტი.

დღეს ჩვენ ვდგავართ ბეწვის ხიდზე. გადარჩენისათვის საჭიროა მიზანმიმართული, კარგად გათვლილი, სწორი პოლიტიკის გატარება. შეცდომის დაშვება კატეგორიულად გამორიცხულია. ხელისუფლება კი მკითხავის როლში გამოდის, არ შესწევს უნარი უშეცდომოდ მართოს ქვეყანა. ამიტომ, თითოეული ჩვენგანი ფხიზლად და ფრთხილად უნდა ვიყოთ!!

ᲚᲔᲝᲜᲢᲘ ᲑᲘᲬᲐᲫᲔ,
80 წლის პენსიონერი, გაზეთ “ილორის” ავტორი

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-258

ვ. მოლოტოვი, ცოლის პოლინა ჟემჩუჟინას გოლდა მეირთან (ისრაელი) კავშირის გამო განთავისუფლებულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან; ასევე ა. მიქოიანსაც, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პოსტი დაატოვებინეს.

ლ. ბერია ხედავდა, რომ ი. სტალინის პირადი საიდუმლო სამსახურიდან განსაკუთრებული მეთვალყურეობა ჰქონდათ დაწესებული ახლობლებს – მერკულოვს (უშიშროების ყოფილი მინისტრი), ძმებ ქობულოვებს, ცანავას, დეკანოზოვს, მეშიკს – მათ ეუბნებოდა: **„ვიღაც ცდილობს სტალინის წინაშე გამთათხოს, რომელსაც ალალად ვემსახურებოდი და ვემსახურები“: უაღრესად ფრთხილად იყავით, შეიძლება ითქვას, დანის პირზე დავდივართ, ერთი მცდარი ნაბიჯი და ყველა დავიღუპებით“.** (ვლადიმერ ვახანია, ტერორი და შეთქმულებანი რუსეთში (XIV-XXIსს), იხ. გაზ. **„ასავალ-დასავალი“**, 2008, 5-11 ოქტომბერი, №18, გვ. 30.)

ი. სტალინის პირადი საიდუმლო სამსახურიდან გენერალმა ა. ჯუღამ ი.სტალინს ნებართვა სთხოვა ლ. ბერიას დაპატიმრების შესახებ, რაზედაც უარი მიიღო. ამით უკმაყოფილო ჯუღამ მიიღო გადაწყვეტილება თავიდან მოეშორებინა ლ. ბერია თვითმკვლელობის ინსცენირებით. ეს გაიგო ლ. ბერიას თანაშემწე სარქისოვმა და პირდაპირი სატელეფონო კავშირით აცნობა ი. სტალინს. განრისხებულმა სტალინმა ჯუღას უთხრა: ჩემს დაუკითხავად გადაგიწყვეტია ბერიას ლიკვიდაცია – თანაც ასეთი ბანდიტური ხერხით? ნუთუ მართლა არ გესმის, რომ პოლიტბიუროს წევრთა ლიკვიდაცია არ შეიძლება სასამართლოს გარეშე, თანაც, მხოლოდ ეჭვების საფუძველზე? რომ სწორედ ბერიას ხელმძღვანელობით შეიქმნა ატომური ბომბი!

ვ. მოლოტოვი ამბობდა: **„სტალინი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა. იგი მოწამლა შეთქმულთა ჯგუფმა – ბერია-მალენკოვი-ხრუშჩოვი“.**

ნ. ხრუშჩოვი აშშ-ის მოსკოველ ელჩთან ჰარიმანთან საუბარში ამბობდა: **„ერთადერთი კაცი, ვისაც სტალინის სიკვდილი სურდა, ბერია იყო“.** ხრუშჩოვი ამბობდა: ბერია დარწმუნებული იყო სტალინის სიკვდილი აუცილებლობაში **„მეგრელთა საქმის გამო“. აბაკუმოვმა შეაგროვა მასალები რუხაძესთან ერთად და წარუდგინა სტალინს „მეგრელთა შესახებ“,** რომ ისინი თურქებთანაც იყვნენ დაკავშირებული. ხრუშჩოვი აგრძელებს: **“ბერია, როგორც მეგრელი, შევიდა სტალინთან და დაიძვრინა თავი და თვითონ დაიწყო „მეგრელთა საქმის“ გამო ანგარიშის გასწორება და „ეს საწყლები“ მაშინ ისე მიჰყავდათ სასაკლაოზე, როგორც ცხვრები“, სტალინმა დაადო რეზოლუცია: „საქართველოში წმენდის ჩატარების ნებას ვრთავ“.** მზადდებოდა ბრძანებულება მეგრული წარმოშობის ქართველთა ქვეყნის შორეულ რაიონებში გასახლების შესახებ.

ი. სტალინს მეგრელების შორეულ მხარეში გადასახლების პროექტი ჰქონია, რომლის განხორციელებაზე ი. სტალინს ლ. ბერიამ ათქმევინა უარი – იმ დროს სსრ კავშირისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ატომური იარაღის შექმნის საქმეს ბერია ხელმძღვანელობდა.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა ატომური ბომბი პირველად გამოსცადა, 1949 წლის 29 აგვისტოს, სემიპალატინსკში.

ი. სტალინმა თავისი პირადი საიდუმლო სამსახური 1952 წლის დეკემბერში დაითხოვა. როგორც ა. ჯუღა ამბობდა, მაშინ ი.სტალინს დასაყრდენი ძალა არ ჰყავდა, მას არ ჰყავდა კაცი, რომელსაც **„დაეყრდნობოდა“** და XIX ყრილობის შემდეგ არჩეულ პრეზიდიუმს **“პოლიტიკურ შპანას“** უწოდებდა, რომელთა ნახევარს მოდალატეები შეადგენდნენ – წერს ვ. ვახანია.

საქართველოს ისტორია მარტო შუღლისა და შინაგანი წინააღმდეგობების ისტორია არ არის. საქართველო არის მადალი ზნეობის, უდიდესი და უსაზღვრო კეთილშობილების ქვეყანა. საქართველო არის ურთიერთთანადგომის, მეგობრობის, სიყვარულის, მოყვასისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის ქვეყანა, საქართველო არის ზეამაღლებული ვაჟკაცობისა და გმირების ქვეყანა. ამისათვის ორიოდე მაგალითიც საკმარისია წარსულიდან.

დავით ეჯიბი ამირსპასალარ ავაგ მხარგრძელს გაჰყვა მონღოლთა **„ოქროს ურდოში“.** არა უწყოდნენ, რა მოელოდათ – პატივი თუ სასჯელი. დავითი არწმუნებდა ავაგს: ყაენის წინაშე მე წარვდგები, ვითარცა ბატონი და შენ – როგორც ჩემი ყმა. თუკი ყაენი შენს მოკვლას ინებებს, ხელთ მე შევრჩები. შენ კი გადარჩები და ქვეყანას ჩემზე მეტად გამოადგებიო... სახიფათო ვიზიტი მშვიდობიანად დამთავრდა და ბათო-ყაენს მერედა გაუმხილეს სიმართლე. უზომოდ განცვიფრებულმა მონღოლმა ხოტბა შეასხა მას და მის მშობელ ხალხსაც.

უფრო განცვიფრდებოდა, რომ შეეტყო შემდეგი: დავითის მამა, ივანე ახალციხელი, გარნისის ომში (1225წ.) დაიღუპა სწორედ ავაგის მამის, ივანე მხარგრძელის ღალატის გამოისობით.

დავით აღმაშენებელს მხოლოდ დიდგორის ომის მოგებით არ მოუხვეჭია სახელი. დილაადრიან ქისას ფულით რომ აავსებდა გლახაკთათვის დასარიგებლად, სიხარული აღავსებდა, როდესაც საღამოთი ცარიელდებოდა. მაგრამ ჭმუნვა შეეპარებოდა. თუკი მთლიანად დაცლას ვერ მოასწრებდა. მისი განკარგულებით აგებულ ქსენონს ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე, რათა ომში დაჭრილთა თუ სნეულთა მოვლა-მკურნალობის პირობები შეემოწმებინა. ყოველ მათგანს მოიკითხავდა, ეამბორებოდა, ანუგეშებდა.

ამჟამად ავტოქტონი მოსახლეობა საქართველოს გარდა შემორჩენილია ირანში, ავღანეთში, ანატოლიაში (საერთოდ თურქეთში), კავკასიის ალბანეთში და სხვაგან. სოფელი ნოვოივანოვკა სტავროპოლის მხარის კურსკის რაიონში მდებარეობს, რომელიც ქართველებითაა დასახლებული. ის რაიონის ცენტრიდან სტანიცა კურსკაიადან ოციოდე კილომეტრითაა დაშორებული. სტანიცას ჩაუდის მდინარე კურა. XX ს.-ის 70-იან წლებში სოფელში 600-700 ქართველი ცხოვრობდა. სოფელში მეცხოველეობაა განვითარებული, მოჰყავთ ხორბალი, კარტოფილი, სიმინდი, ბოსტნეული, გაშენებული აქვთ ხეხილის ბაღები, ვენახიც. სოფელში ფ.მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა მოწინავე ყოფილა მთელ რაიონში. ნოვოივანოკელი ივანე წამალაიძე ომამდე ამავე რაიონის პარტიის რაიკომის მდივანი იყო, რომელიც ომში დაიღუპა. მრავალ წლის განმავლობაში სოფლის სკოლის დირექტორი იყო იოსებ წამალაიძე. ესპანეთში და საფრანგეთში ცხოვრობენ ქართველების მონათესავე ბასკები. ქართველთა (კოლხთა) მონათესავეებად ითვლებიან აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი თეთრკანიანები – ბერბერები, რომლებიც ცხოვრობენ ალჟირში, მაროკოში და აფრიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში (ამ მოსახლეობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი დამახინჯებული მეგრულით ლაპარაკობს). ბერბერი მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტი მშობლიურ ბერბერულ დიალექტზე მეტყველებს, დანარჩენს ენა დავიწყებული აქვს, მაგრამ შენარჩუნებული აქვს ეროვნული თვითშეგნება, იციან, რომ ეროვნებით ბერბერები არიან. უკანასკნელ პერიოდში მოპოვებული მასალებიც ადასტურებენ ქართველებისა და ბერბერების ისტორიულ ნათესაობას. (ნათელა ფოფხაძე, პრეისტორიული კოლხეთი, გაზ. **„დიოსკურია“,** 2004, სქტქემბერი, №15.)

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის დამდეგს ალჟირის ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომელიც მუსულმანებს სხვა რწმენაზე გადასვლას უკრძალავს, რადგან მიაჩნიათ, რომ ქრისტიანული გაერთიანებები ქვეყნის კანონებს პატივს არ სცემენ და მკვიდრ მოსახლეობას – ბერბერებს ქრისტიანობა ამბოხებისაკენ მოუწოდებს. ბერბერები ალჟირის 33 მილიონიანი მოსახლეობის თითქმის მეხუთედს შეადგენენ. ბერბერები საკუთარი ენისა და ეროვნული კულტურის ერთგული დამცველები არიან. (იხ. გაზ. **„ალია“,** 2006, 11-12 აპრილი, გვ. 7.)

1897 წელს ჟურნალ **„მოამბეში“** გამოქვეყნებულ მიმოხილვაში **„ჩვენსა და სხვაგან“,** აგრეთვე იმავე პერიოდის გაზეთ **„ივერიისა“** და **„ცნობის ფურცელში“** გამოქვეყნდა მასალები, რომელიც მოუპოვებია ცნობილ რუს მოგზაურს, საქართველოში ნამყოფ მეცნიერებათა დოქტორს, ანთროპოლოგს ა.ვ. ელისევს იმის შესახებ, რომ აფრიკაში, საჰარის უდაბნოს პირას ქალაქ უარგლაში (ვარგლაში) უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ და ამჟამადაც ცხოვრობენ ქართველები, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. დოქტორ ა.ვ. ელისევმა ეგვიპტეში, ეთიოპიაში, ტუნისში, ალჟირში, საჰარაში მოგზაურობის შედეგები და შთაბეჭდილებები საინტერესოდ აღწერა წიგნში **„По белу свету“.**

ჟურნალ **„მოამბის“** მიმომხილველი მიუთითებს, რომ მოგზაური და მეცნიერი ელისევი, რომელიც იცნობს საქართველოს, შემთხვევით არ დაწერდა აფრიკის უდაბნოში მცხოვრებ ქართველების გუგუნავების, ჭანუყვაიას (თუ ჭანუყვაძის) შესახებ, უბრალოდ, ყურმოკრული მასალებით ვერ იხელმძღვანელებდა რომ მას ქართული საუბარი აფრიკაში თვითონ აქვს მოსმენილი და ჩაწერილი.

აღნიშნულ საკითხზე გაზეთ **„ახალგაზრდა კომუნისტში“** 1939 წელს მასალები გამოაქვეყნა ჟურნალისტმა გიორგი კუტუბიძემ, აფრიკაში, ნავსადგურ ალჟირში ნამყოფ ქართველ მეზღვაურის სიორიძის მონათხრობის მიხედვით (აგრეთვე ჟურნალისტ მ. მოსულიშვილთან საუბარში) და აღნიშნა რომ აფრიკის ნავსადგურში იხილა, თუ ფრანგი კოლონიზატორი, როგორ მათრახით უსწორდებოდა შავკანიან ზანგ აფრიკელებს, რომლებიც მძიმე ყუთებით ტვირთავდნენ გემს. სიორიძემ და მისმა მეგობრებმა ქართველ მეზღვაურებმა) ვერ გაუძლეს ამ საშინელებას და შესძახეს ფარნგს დამუქრებით: დიპლომატიური სკანდალისა რომ არ მეშინოდეს ცხვირპირს ამოგიმტვრევდით, შე არამზადაო. ეს სიტყვები, რომ გაიგო ერთ-ერთმა ზანგმა, **„ძირს დადო მძიმე ყუთი, ჯიქურ მოგვეჭრა და აქლოშინებულმა ქართულად მოგვაყვირა: „ბიჭებო ქართველები ხართ?“**

ჩვენთვის უფრო აღვილი დასაჯერებელი იქნებოდა, ეს ზანგი რადაც სასწაულით უცებ რომ გათეთრებულიყო, ვიდრე მისი ქართული ლაპარაკი. რამდენიმე წუთს გაშტერებული შევცქეროდით შავკანიანს, რომელსაც სახე უღიმოდა და თეთრი კბილები უჩანდა.

– ჩვენ ქართველები ვართ, მაგრამ შენ, შავკანიანმა, საიდან იცი ქართული? – თითქმის ერთხმად მივაძახეთ ორივემ.

– მეც ქართველი ვარ, თქვენისთანა! ხომ ხედავთ, ჩვენს ენაზე ლაპარაკი არ დამვიწყებია; აქ ბევრი ქართველი ცხოვრობს, რამდენიმე სოფელი გვაქვს, ძველი დროიდან აქ ვსახლობთ... ენა და ქართველობა თუ აქამდე შევინარჩუნეთ, ეს იმის წყალობით, რომ სხვა ერის კაცებს ჩვენს ქალს ცოლად არ ვატანთ, არც თვითონ ვირთავთ უცხო ტომის შვილებს...

– შავკანიანმა მტვირთავმა რომ ნახა, მისმა ქართველობამ ჩვენში ეჭვი გამოიწვია, გვითხრა: არა გჯერათ, რომ ქართველი ვარ? აი იქ, ყუთებს რომ ეზიდებიან, ჩემს გარდა ათი ქართველი მუშაობს, ყველა ერთი სოფლიდან ვართ, აქ უჯდასთან (მაროკოს საზღვრისპირა ქალაქი) ქართველების რამდენიმე სოფელია, მოსახლეობის მეტი წილი გუგუნარის (ე.ი. გუგუნავას) გვარს ატარებს... მეტისმეტად ღატაკურად ვცხოვრობდით, ჩვენი ბავშვები ჩამოგლეჯილი და ფეხშიშველები დარბიან.

მეზღვაური სიორიძე და მისი მეხომალდე მეგობარი მიუთითებენ, რომ მათ ვერ გაიგეს ქართველი ზანგების სოფლის სახელწოდებები და მათი წინაპრების წარმომავლობა, რადგან ფრანგმა ზედამხედველმა ქართველ **„ზანგს“** შეაწყვეტინა ჩვენთან საუბარიო.

ვერც ჟურნალ **„მოამბეს“** საუკუნეზე მეტი ხნის წინ ვერ დაუდგენია თუ როდის და როგორ მოხვდნენ ქართველები აფრიკაში და როდის მოხდა ეს. პლინიუსი თავის ბუნებრივ ისტორიაში წერს: **“ვარონი გვარწმუნებს, რომ იბერნი და სხვა ხალხი დასახლდნენ მთელ ესპანეთში და ესპანეთიდან აფრიკაში გადასვლა ხომ ადვილზე უადვილესია.“** მაგრამ ჟურნალ **„მოამბეს“** ეს ჰიპოთეზად მიაჩნია და მოჰყავს მოსაზრება განის წიგნიდან **„უძველესი მწერალთა ცნობარი კავკასიის შესახებ“.**

1972 წელს ქართული პრესა კვლავ დაუბრუნდა **„აფრიკელი ქართველების“** საოცარ ისტორიას, გაზეთ **„სოფლის ცხოვრება“** (დ. ფაშტიანი, საიდან მოხვდნენ აფრიკაში? გაზ. **„სოფლის ცხოვრება“,** 1972. 21 ივნისი.) წერს: რამდენი ხანია ქართველი საზოგადოებრიობას აინტერესებს და აწვალებს კითხვები: **„საიდან?“** და **„როდის?“.** მისი აზრით ქართველთა გადასახლება უძველეს ხანას ეკუთვნის და საინტერესო ვარაუდს გამოთქვამს: **„ხომ არ არიან ისინი გვერდითი შტო იმათი ვინც შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო გაიარეს...“** და მიუთითებს ორ საუკუნეზე ადრინდელ პერიოდზე – საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ შავბნელ პერიოდზე – მაჰაჯირობაზე, როცა ქართველი ფეოდალები ქართველებს ჰყიდდნენ უცხოეთში – მამლუქების პერიოდიდან, რომ ამ დროიდან ქართველები აფრიკის მცხუნვარე მზეში ვერ გახდებოდნენ შავკანიანები.

პროფესორი ილია ტაბაღუა 1964 და 1967 წელს – ორჯერ იყო ალჟირში, მაგრამ ვერ დაადგინა ქართველი (მეგრელი) **„ზანგების“ „გაზანგების“** საკითხი. (**„ქართველი ზანგების“** შესახებ მასალა ძირითადად მითითებული მაქვს გიორგი მახარაძის წიგნიდან **„არდავიწყება მოყვრისა“,** რომელშიც არის ასეთი თავი **„აფრიკის ანუ უარგლელ-უჯდელი ქართველები“,** თბ., 1976, გვ. 42-50. გიორგი მახარაძის აღნიშნული ნაშრომი და რევაზ ერისთავის წიგნი **„მზის შვილები“** მოგვაწოდა უსინათლო მკვლევარმა, მრავალი შრომის ავტორმა, უგანათლებულესმა, უნიჭიერესმა ერუდიტმა, უაღრესად კეთილშობილმა პიროვნებამ, ქართველმა რაინდმა, მურთაზ ჯანჯღავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.).

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის **„საქართველოს ისტორიის“** სახელმძღვანელოში ნათქვამია: **„უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, ხეთურ-იბერულ გვარტომებს, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს, ვრცელი მიწა-წყალი ეჭირა აზიაში და აგრეთვე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში“** (სახელმძღვანელოში ეს თავი ს. ჯანაშიას მიერაა დაწერილი).

დღეს საშიშროება ემუქრება მთელ საქართველოს – ქართლ-კახეთის, გურიაიმერეთის, სამეგრელო-სვანეთის, აფხაზეთრაჭა-ლეჩხუმის, მესხეთ-ჯავახეთის, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს – ერთიან ეროვნულ ტრადიციებს, მსოფლიო გლობალიზაციისა და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო. ქართველმა ხალხმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თავის უძველესი, ისტორიული ტრადიციების შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას.

საქართველოს საფრთხე ემუქრება (ასეთმა საფრთხემ შეიძლება მუდმივად იარსებოს) ზოგიერთი მეზობელი ქვეყნისაგან. არ უნდა დაგვავიწყდეს ცნობილი ფაქტი, რომ სკკპ ცკ-ის პირველ მდივანს ნ. ხრუშჩოვს განზრახული ჰქონდა ქართველების ერთიანად აყრა და გადასახლება, ყაზახეთში, აკმოლინსკის უდაბნოში დასახლება. ეს ამბავი ვ. მჟავანაძემ გაიგო, თავზარდაცემულმა მაშინვე მოსკოვს მიაშურა. (იხ. ნინა მჟავანაძის საუბარი ეკა კახაძესთან – **„რატომ მისწერა ჭაბუა ამირეჯიბმა მამაჩემს – ვასილ მჟავანაძეს ისტორიული „დანოსი“?!,** გაზ. **„ასავალ-დასავალი“,** 2005, 1-7 აგვისტო, №31.) მაგრამ იცოდა, ნიკიტა ხრუშჩოვი მთვრალი იქნებოდა და არ ღირდა მასთან მისვლა. ქართველთმოძულე რუსს, ფხიზელს ვერ შეასმენდა ადამიანურს და გალეშილს რაღას შეაგნებინებდა. გადაწყვიტა მის ცოლს ნინა პეტრეს ასულს ხლებოდა. დაუჩოქა თურმე იმ დედაკაცს – ნუ დავღუპავთ ქართველებსო.

განრისხებულ ნინო პეტრეს ასულს – სულ ფეხები უბაკუნებია ქმრისათვის – როგორ გაბედე ქართველების გადასახლება, ახლავე გააუქმე ეგ შენი იდიოტური ბრძანებაო... დამფრთხალმა ნიკიტამ გააუქმა ბრძანება.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲘᲑᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

29. რაც ასონიშან **გიმელის** თვისებად არის ებრაელი ბრძენის მიერ წარმოდგენილი და თვისებად აქვს ადამიანს, იბერიულ ენაზე ასონიშან (გ)-თი აღნიშნული ბგერა-სიტყვა **გ**,-შია ასახული. მაგ., „მარდი გინა-**გ**,“ (მადლი მი-**აგო**); „პატიოსანი კოჩიქ ვალი დროულო გინი-**გ**,“ (პატიოსანმა კაცმა ვალი დროულად გადა-**იხადა**); „ჭკვერი კოჩიქ მუში თურიშო მტკიცე ნერჩი და-**გ**,“ (ბრძენკაცმა შთამომავლობისათვის მტკიცე საფუძველი და-**აგო**). ბგერა-სიტყვა **გ**, რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: აგო, ანუ ააშენა, აგო მადლი, აგო, ან იგო საქმე (ორთა ბრძოლა), აგო ქარქაშში ხმალი და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ბგერა-სიტყვა **გ**,-ში უმეტესწილად გულმოწყალების თვისებაა ასახული და ეს თვისება ღვთიურია და დადებითი, მაგრამ უარყოფითი თვისების გამომხატველიცაა.

გ ბგერის აღმნიშვნელი ასონიშნის (გ), სახელდებით გან, ქარაგმაგახსნილ მდგომარეობაში „გ[,] ან[ც]“ (აგო ცაში), გრაფიკულ მოხაზულობაში, რაღაც მარტივი ნაგებობის კვეთაა გამოსახული, რომელიც მიწის ზედაპირს ზემოთ, ანუ ცაშია აგებული.

მოკლედ, იბერიულ ენაზე ბგერა-სიტყვებში **გ**, და **დ**, ასახულია ადამიანში არსებული ღვთით დადგენილი კანონზომიერებანი: ალტრუისტული (უანგარო გაცემის) და ეგოისტური (თავისთვის მიღების) თვისებები, ხოლო ებრაულ ენაში ეს თვისებები კაბალისტების მიერ შექმნილ შესაბამის ასონიშნებისთვისაა მიწერილი.

30. შევიდა შემოქმედთან ასონიშანი ბეთ-ი [ב(ბ)] და უთხრა: <<სამყაროს შემქმნელო, კარგია ჩემით სამყაროს შექმნა, რადგან ჩემით განგადიდებენ შენ მაღალნიც და მდაბალნიც, ვინაიდან ბეთ-ი – ეს ბრახაა – კურთხევაა>>. უპასუხა მას შემოქმედმა: <<რა თქმა უნდა, შენით შევქმნი მე სამყაროს, და შენ იქნები სამყაროს საწყისი!>>

ასონიშანი ბეთ-ი წარმოადგენს თვისებას სიბრძნისა, უფრო სწორად, გულმოწყალებას სიბრძნეში, წერტილს სასახლეში, რადგან გულმოწყალების ნათელი – ეს სასახლეა სიბრძნის ნათელისათვის. და ის წარმოადგენს კურთხევას. ეს ნათელი სულაც არ მცირდება ყველა სამყაროების გავლისას შემოქმედიდან უმდაბლესი სამყაროს ბოლო საფეხურამდე.

მაგრამ როგორიცაა ეს ნათელი ყველაზე მაღალ საფეხურზე, მის მიმღებ უსასრულო სამყაროდან, ისეთია იგი მთელ თავის სიდიდეზე, დიდება და ძალა უმაღლეს სამყაროში, ასევე უმდაბლეს სამყაროს ბოლომდე. და სულაც არ უხეშდება და არ სუსტდება ზევიდან ქვევით ყველა ეკრანების გავლისას.

ამიტომ ასონიშანი ბეთ-ი პრეტენზირებდა, რომ მისი თვისებებით შეიძლება სამყაროს შექმნა, რადგან კურთხევის ნათელი ერთნაირია ზევითაც და ქვევითაც, და არავითარ ეკრანს არ შეუძლია შეასუსტოს იგი, არავითარ უხეშ სურვილებს არ შეუძლიათ ავნონ მას.

ამიტომაა გულმოწყალების ეს თვისება ყველაზე შესაფერისი სამყაროს შესაქმნელად, რადგან არ იქნება მასში არავითარი მიწოვა არაწმინდა ძალებისა, იმიტომ რომ არაწმინდა ძალებს მიწოვა შეუძლიათ მხოლოდ იქ, სადაც ნაკლოვანებებია, ხოლო რამდენადაც გულმოწყალების თვისებაში არავითარი ნაკლი არ არის, ამიტომ არავითარი კავშირი არა აქვს მას არაწმინდა ძალებთან.

შემოქმედი დაეთანხმა მას იმაში, რომ მისი თვისება სრულიად შესაფერისია სამყაროს შენობის შესაქმნელად. როგორც თქმულია, სამყარო აშენებულია გულმოწყალებით, რადგან შემოქმედმა დაადგინა, რომ ეს თვისება სრულიად საკმარისია ზუსტად განისაზღვროს და გამოიყოს წმინდა არაწმინდისგან.

ხოლო თუ მიიზიდება კერპისკენ შემოქმედის მაგივრად, მაშინ არ ჩამოდის მასში კურთხევა, რადგან ის გამოდის მხოლოდ შემოქმედისგან. ამიტომ შეიძლება განვსაზღვროთ ვინაა მართალი და ვინაა ცოდვილი, ვინ მუშაობს შემოქმედისთვის და ვინ თავისთვის, რადგან სამყარო გულმოწყალებითაა შექმნილი.

მაგრამ შემოქმედს არ განუსაზღვრავს გულმოწყალების ნათელისათვის ებატონა სამყაროში, არამედ განაკუთვნა მხოლოდ კარგი დასაწყისისათვის, როგორც საკმარისი სამყაროს საყოველთაო სრულყოფაში მოსაყვანად, ხოლო მიზეზი ამისა ისაა, რომ გულმოწყალების ნათელი – არასრული ნათელია და არასაკმარისია ახალ სამშვინველთა დაბადებისათვის, მათი შეხამებისა და გამრავლებისათვის, რადგან არცერთ სხეულს, არცერთ სულიერ ობიექტს არ შეუძლია დაბადოს, სანამ არ მიაღწევს სიბრძნის სრულ ნათელამდე, რომელსაც ეწოდება თავი, ხოლო ამის მიღწევამდე სხეული იმყოფება არასრულყოფილ მდგომარეობაში.

ჩვეულებრივი მდგომარეობა, რომლის ქვევით არაფერი არსებობს, არამედ მხოლოდ ზევითაა, განისაზღვრება ბეთ-ის თვისებით, რაც საფუძვლად დაუდო შემოქმედმა სამყაროს შექმნას. ე.ი საფუძველი მდგომარეობისა – ეს ისეთი მდგომარეობაა წმინდა სხეულისა – ობიექტისა, რომელსაც ვერაფერი შეუშლის, რომელსაც უკვე ვერაფერი შეამცირებს.

ასეთ შემთხვევაში სიბრძნის ნათელის დამატება გულმოწყალების ნათელზე, აუცილებელზე ახალი სხეულის დაბადებისათვის, უკვე არ ითვლება ძირითადად და აუცილებლად, არამედ განისაზღვრება არაუმეტეს, როგორც დამატება, ე.ი. დამოკიდებულია მხოლოდ მდაბალთა კეთილ ქმედებებზე... ხოლო ძირითადი არასოდეს იქნება ნაკლულებაში” (იქვე, გვ. 344).

ებრაელ ბრძენთ არ შეეშლებათ ადამიანთა ბუნება და თვისებები, მათ შეუძლიათ უშეცდომოდ და ზედმიწევნით ზუსტად ჩაწვდნენ ადამიანის ფსიქიკას, მათს ნიშანთვისებებს და ნება-სურვილებს. ამიტომაც აღწევენ ისინი წარმატებებს და კეთილდღეობას ამქვეყნიურ ცხოვრებაში. მაგრამ დავბრუნდეთ უკან და ებრაელი ბრძენის მიერ წარმოდგენილი **ბეთ**-ის ეს თვისებები შევადარით იბერიულ ენაზე ბგერა-სიტყვა **ბ**,-ში ასახულ მნიშვნელობას, რომელიც ადამიანისა და სამყაროს სრულყოფისათვის უმთავრეს თვისებას წარმოადგენს. აღმოვაჩინეთ, რომ ადამიანის ის თვისებაა **ბ** ბგერის აღმნიშვნელი ასინიშნით [ב]**ბეთ**-ი წარმოდგენილი, რომელიც ველური ორფეხა ცხოველის ადამიანად ჩამომყალიბებელი თვისებაა და, სახელდობრ, იბერიულ ბგერა-სიტყვა **ბ**,-შია ასახული და არა რომელიმე სხვა ბგერა-სიტყვაში.

ბგერა-სიტყვას **ბ**, აქვს შემდეგი მნიშვნელობები: ა) **ასხა**. მაგ., „წყარი გეგნა-**ბ**,“ (წყალი გადა-**ასხა**); ბ) **ისხა**. მაგ., „წყარი ქიგნი-**ბ**,“ (წყალი გადა-**ისხა**), ე.ი. **ბ**, **ასხა**-საც ნიშნავს და **ისხა**-საც, ზოგადად კი **სხმა**-ს; და კიდევ, გ) **ბმული**ა. მაგ., „ჩხოუ ბოსელც **ბ**,“ (ძროხა ბოსელში **ბმულ**ია); დ) **კიდია**. მაგ., გუდა ჯას ქიმკი-**ბ**,“ (გუდა ხეზე ჰ-**კიდია**); ე) **ეკიდა**. მაგ., ჩიტიქ კუჩხით ქიმკი-**ბ**,“ (ჩიტი ფეხით ჩამო-**ეკიდა**). ასევე შეგვიძლია ვთქვათ: ნაფურა ჭერზე **ბმულ**ია, ნაფურა ჭერზე **კიდია**, ნაფურა ჭერზე **ეკიდა**. სამივე შემთხვევაში **ბმა, კავშირ**ია განხორციელებული.

ბმა, კავშირი უმთავრესი თვისებაა ადამიანისა. ურთიერთ კავშირის გარეშე ვერ იარსებებდა ადამიანი და, საერთოდ, **სამყარო**.

ელემენტარული ფიზიკის მცოდნეს რომ ჰკითხოთ: რას უჭირავს სამყარო? გიპასუხებთ: თვალით უხილავ კავშირს – მაგნიტურ ძალას და მარადიულ მოძრაობას ყველა ციური სხეულისა, უცვლელი ორბიტის სპირალურ გზაზე. უზენაეს შემოქმედს ყველაფერი ზუსტად აქვს დარეგულირებული: ციურ სხეულთა შორის მანძილი ისეთია, რომ მათ შორის მიზიდულობის ძალა გაწონასწორებულია მოძარაობის დროს წარმოშობილი ცენტრიდანული ძალითა და შესაბამისი სიჩქარით.

ადამიანთა ურთიერთ კავშირი შეუძლებელია ურთიერთ პატივისცემისა და ერთმანეთის ინტერესების, ჭირისა და ლხინის სიყვარულით გაზიარების გარეშე. ყველაფერი ამის საფუძველი კი გულმოწყალებაა, რომელიც შემოქმედისგან ეძლევა ადამიანს. ამიტომ ის წმინდა თვისებაა; მას ვერ ეკარება არაწმინდა ბოროტი ძალა, რადგან ის ღვთიურია; ეს თვისება ძლიერია მაშინ, როცა ადამიანი ღმერთთან კავშირშია; ამ თვისებამ იმარჯვა ჩვენს უძველეს წინაპართა სულიერ სამყაროში, როცა იბერიულმა ცივილიზაციამ მოიცვა, თითქმის, მთელი ნახევარსფერო, ე.ი. მაშინ, როცა ჩვენი წინაპარი ღმერთთან კავშირში იყო. ამიტომ გვერქვა **იბერი**, რომელიც ნაწარმოებია უძველესი, არქაული ხანის წინადადებისგან თ, ბ, რ, (თ, ბ, რ,→ თიბერე→თიბერი→იბერი), რაც თანამედროვე, ახალ იბერიულ ენაზე ნიშნავს: **[უზენაეს] ნათელთან კავშირში არის**, ანუ **უზენაეს ნათელთან კავშირის მქონე**-ს, ან კიდევ, **უზენაეს ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს**. სწორედ, ამ კავშირის უძლეველმა ძალამ მოგვიყვანა დღემდე იბერთა მოდგმა. ხოლო გულმოწყალება არასაკმარისია, ანუ არასრულყოფილია, თუ მისი აუცილებლობის რწმენა შეგნებულად, ცნობიერებით, ცოდნით, ანუ სიბრძნით არ იქნა გაჯერებული. ე.ი. ადამიანის სულიერი ამაღლება და ზრდა აქტიურად მიმდინარეობს მაშინ, როცა გულმოწყალებისა და სიბრძნის ნათელი ერთდროულად ეფინება მას.

კუკური ᲨᲘᲨᲘᲐ,
„ფაზისისა” და „აიას” საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ 15 ᲬᲔᲚᲘ

გაგრძელება მე-3 გვერდიდან

არ აჯობებს, ვუთხრათ მათ, რომ ლაზური ენა ქართული ენობრივი ოჯახის განუყოფელი ნაწილია?!

როგორ აუხსნით იმ ევროსტრუქტურებს, რომლებშიც გაერთიანებას ასე ცდილობს ხელისუფლება, რომ მეგრული და სვანური ენები უნდა აიკრძალოს მაშინ, როდესაც ესპანეთში არსებობს კატალონიური ენა ბრწყინვალე ლიტერატურით (მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები ესპინასი, ტორესი), არსებობს გალისიური ენა და ლიტერატურა (კასარესი, ვალესა) და ყოველივე ეს ესპანური ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია. იგივე შეიძლება ითქვას ბრეტონულ და კორსიკულ ენებზე საფრანგეთში. ანალოგიური მდგომარეობაა იტალიაში, სადაც დიალექტებიც კი ისწავლება სკოლებში. ვის და როგორ აუხსნით, რომ ის, რაც ევროპულ ქვეყნებში ერის კონსოლიდაციას ემსახურება, საქართველოს დაშლით ემუქრება?

და ბოლოს, შევახსენებ ჩემს ოპონენტებს, რომ პოლიტიკოსთა და ვაიმეცნიერთა დაუღალავმა მტკიცებამ, თითქოს არც აფხაზური ენა არსებობს, არც აფხაზური ლიტერატურა და კულტურა, აფხაზეთის სახით ერთი მშობლიური კუთხე უკვე დამაკარგვინა!!!”

* * *

დროა ყველამ შეიგნოს, კიდევ ერთხელ გადახედოს საქართველოს ისტორიას, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ნაშრომებსა და წერილებს, ისინი ვერსად აღმოაჩენენ სეპარატიზმის კვალს როგორც მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე, ასევე იმ 15-წლიან პერიოდში, რაც დაფუძნებულია სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”**. მისი ლიდერის მუდმივი საფიქრალი და ტკივილი იყო ერთიანი საქართველო, ამიტომ ებრძოდა ის შევარდნაძეს, მის მოქალაქეთა კავშირს, ამიტომ აკრიტიკებდა სააკაშვილს და მის **“ნაცებს”**, დღესაც მკაცრად აკრიტიკებს ხელისუფლებას, ყოველთვის უთითებდა და მიუთითებს მათ იმ მცდარ გზაზე, საითაც მიყავდათ მათ საქართველო.

წაიკითხეთ, ბატონებო, ბატონ ალექსანდრეს ნაშრომი **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა”**. წაიკითხეთ მისი ახალი შრომა, დიახ თამამად შეიძლება იმ ინტერვიუს, რომელიც ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ მისცა **გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“, შრომა ეწოდოს. ყველგან ჩანს, რომ მას სტკივა სამშობლო, მას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე საქართველო საქართველოდ არ მიაჩნია, ამას ვინც ვერ ხედავს და ძალით იბრმავებს თვალს,,,...ან ჭკვიანი მტერია, ან უგნური მოყვარე“. ასეთი მტრებისა და მოყვრების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მეგრელებში სეპარატიზმის გრძნობა მაშინ არ დაბადებულა, როცა შევარდნაძე ებრძოდა მათ. დიახ ებრძოდა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს სამეგრელოს ხუთგზის დალაშქვრას. მან მშვენივრად იცოდა, ჯერ სამეგრელო უნდა გაენადგურებია, რადგან ისე ვერ გაყიდდა აფხაზეთს. მას კარგად ახსოვდა, ვოვა ვეკუას სიკვდილზე რა რეაქცია ჰქონდათ მეგრელებს. რაც უნდა ძნელი წასაკითხი იყოს, მაინც უნდა შევახსენო ზოგიერთებს, რა გადაიტანეს მეგრელებმა: „დიალოგი მეგრელებთან არ შეიძლება, რაზე უნდა ელაპარაკო მათ... უბრალოდ, უნდა ამოწყვიტო და იმ მიწაზე სხვები დაასახლო“ (ჯაბა იოსელიანი). „მე მინდოდა, ყველა დამეხვრიტა, გამეწმინდა საქართველო“ (ანზორ ბალუაშვილი). „ისინი უნდა აილაგმონ, უნდა დავიჭიროთ... მე თვითონ ავიღებ დანას, დავსერავ და მარილს ჩავაყრი ჭრილობაში“ (ედუარდ შევარდნაძე). ამ გამონათქვამებში ხომ აშკარად ჩანს, რომ შევარდნაძე და მისი დამქაშები ებრძოდნენ არა კრიმინალებს ან თუნდაც მათთვის მიუღებელ პიროვნებებს. არა, ისინი ებრძოდნენ მთელ რეგიონს, დიდსა და პატარას. ამიტომ, ვინც გადარჩა, მათ მოუშალეს ბუდე და გაფანტეს მთელ საქართველოში. ასეთი ბოროტების ჩადენის, ასეთი სითამამის მიზეზი ისიც იყო, რომ ვერც ეკლესიამ, ვერც მწერალთა კავშირმა, ვერც მეცნიერებათა აკადემიამ და საერთოდ, მცირედი გამონაკლისის გარდა, მთელმა ინტელიგენციამ ვერ შეასრულა თავისი მისია ერის წინაშე, ვერ ჩადგა ძმებს შორის, პირიქით, აქეთ-იქით გადანაწილდნენ და დაუწყეს ერთმანეთს ტყვიების სროლა, ზოგმა ავტომატიდან, ზოგმაც ავტოკალმიდან. მაგონდება მამა ზენონის ერთი ინტერვიუ. ჟურნალისტის შეკითხვაზე: ეკლესია რატომ არ ჩადგა სამოქალაქო ომში გამშველებლის როლშიო, პასუხობს: „ჩვენ არ გვქონდა გარანტია, რომ არ გვესროდა ან ერთი, ან მეორე მხარეო“. რა ჰქვია ამას? ინტელიგენციის ერთ-ერთ წარმომადგენელს, პროფესორ ნოდარ ლომოურს ეკუთვნის ეს სიტყვები: „ზვიად გამსახურდია ცოცხალი რომ იყოს, დღესაც ვესროდიო“. მათთვის მთავარი იყო, შევარდნაძეს არ მიკარებოდა ცივი ნიავი, სამშობლოს კი ვინ დაგიდევდა. ასეთმა ხალხმა და ამგვარმა მიდგომამ დაღუპა საქართველო, დაუკარგა ტერიტორიები.

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელომ“** თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე დაამტკიცა, რომ იგი არის ის რეალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა, რომელსაც ენდობა და მხარს უჭერს არა მარტო სამეგრელოს მოსახლეობა; მოძრაობას გააჩნია დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის დასტურიცაა თუნდაც მოძრაობის ლიდერის ბატონ ალ. ჭაჭიას მიერ შექმნილი პოლიტიკური ნაშრომი **„საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა“** და მას შემდეგ გამოქვეყნებული ინტერვიუები.

მას არასოდეს ჰქონია საქმიანი ურთიერთობები არც შევარდნაძის კორუმპირებულ ხელისუფლებასთან და არც მის მემკვიდრე სააკაშვილთან და მის ნაციონალურ სექტასთან. უანგარო დახმარებას უწევს ჭეშმარიტ მამულიშვილებს.

ალბათ ყველას ახსოვს 2012 წლის არჩევნების წინ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოწოდება: **„არცერთი ხმა ფაშისტებს“,** იმდენად იყო იგი შეძრწუნებული ციხის კადრების ხილვით.

საზოგადოების მუდმივი დევიზი იყო და არის: **„მამული, ენა სარწმუნოება“** მისი წევრები და მომხრეები ყოველთვის იცავდნენ ამ ღირებულებებს და ითხოვდნენ სხვებისგანაც, რადგან ყველაზე შეუპოვარ ათეისტს, საზოგადოებრივი ინოვაციების ყველაზე აქტიურ მხარდამჭერს უნდა ესმოდეს, რომ მართლმადიდებლობა ჩვენი ერის ტრადიციული ღირებულებების საგანძურში უდიდესი პლასტია, რომელიც ქართველი ერის იდენტობას განსაზღვრავს, ხოლო ტრადიცია ერის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. სიახლეები ხელს უწყობს პროგრესს მხოლოდ ტრადიციასთან ურთიერთქმედებისას, მხოლოდ მასთან ორგანული შერწყმისას. სიახლეებს, რომლებიც აძევებენ და ანაცვლებენ ტრადიციას, ერის დეგრადაციისა და გადაგვარებისაკენ მივყავართ.

„უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხს ხელისუფლების შეცვლა იმისათვის უნდოდა, რათა საქართველოში არ ჩატარებულიყო გეი-აღლუმები, ტელევიზიებს არ გაერყვნა ახალგაზრდობა, სახელისუფლებო სტრუქტურებს დაეცვათ ტრადიციული სულიერი ღირებულებები, მორალური ნორმები, მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხის სოციო-კულტურული თვითმყოფადობისათვის, მისი სპეციფიკური თავისებურებებისათვის და სწორედ ამით იქნებოდა უზრუნველყოფილი ერის შენარჩუნება.

„ქართული ოცნება“ ამას დაგვპირდა, ისევე, როგორც დაგვპირდა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის აღდგენას, **რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ჯერჯერობით ხალხი მოლოდინის და იმედის რეჟიმშია.“** (ა.ლ. ჭაჭია).

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“,** მის ლიდერს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ შიდაპოლიტიკურ გაუმართლებელ მიდგომებთან ერთად, რეგიონის განვითარებას აფერხებს ხელისუფლების მიერ არჩეული არასწორი საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი, რომელიც დამღუპველად აისახება როგორც სამეგრელოს, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასევე აშკარად ჩანს და ნათელია, რომ სამეგრელოს მოსახლეობას ახალმა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გაუცრუვა იმედი, ხალხი კიდევ ერთხელ დარჩა ცარიელი დაპირებებისა და ფარისევლური ქათინაურების ამარა.

ზაურ ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲐ,
სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მთავარი საბჭოს წევრი

კოლხეთის ისტორიის ასპექტები

საქართველოში **“მთავრობა”** თუ **“მეცნიერება”** გარე მტრული ძალების მიერაა დასმული და მართული. ამიტომ, ეს გარეწრები, მდინარე **“ეგრის წყალს”**, რომელიც იყო ეგრისის სამეფოს საზღვარი, ნათლავენ ხან მდინარე ღალიძგად და ხან ენგურად. სინამდვილეში **“ეგრის წყალი”**, როგორც ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთით არსებული სასაზღვრო ტერმინი თავდაპირველად ერქვა მდინარე ყუბანს, მაგრამ ვინაიდან ეს ტერიტორიები რუსეთმა მიიტაცა ამ საკითხს განსაკუთრებული ტაბუ დაედო.

– ფსევდო ლეონტი მროველის ცნობაში ეგრისის საზღვრად დასახელებულია **“მდინარე მცირისა ხაზარეთისა”**: **“ხოლო ეგროსს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა (ყურისა!) და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ლიხი, დასავლით ზღუა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა”** – ესე იგი ჩრდილო საზღვარი იყო მდინარე ყუბანი და არა კავკასიის ქედი. ქართულ წყაროებში მოხსენიებული **“ეგურის მდინარე”**, რომელიც ეგრისის საზღვარია ასევე ყუბანია და არა ენგური, რადგან თუ იმავე პერიოდში ეგრისის დედაქალაქი იყო ბედია და ენგური ეგრისის საზღვარი რანაირად იქნებოდა? და თუ **“ეგურის მდინარე”** ეგრისის საზღვარია ის იგივე **“მდინარე მცირისა ხაზარეთისა”** არ გამოდის? თავად ხაზარულად ყუბანს ერქვა **“ვარ-ზანი”** (ვარ-ვათერ-ვასერ-ვადა) ანუ ზანების (მეგრელების) წყალი-მდინარე.

– ცნობილია რომ, ისტორიულად, მდინარე ყუბანი ზღვაში ჩასვლამდე ორად იყოფოდა, ერთი აზოვის ზღაში ჩადიოდა, მეორე შავ ზღვაში, ხოლო მათ შორის დარჩენილი სივრცე კი ქმნიდა კუნძულს. ბუნებრივია ორივე ამ გაშტოებას თავისი სახელი ექნებოდა; ბერძნული წყაროებიდან დგინდება რომ ერთ-ერთს ერქვა **“ჰიპანისი” (“ჰიპოსი”)** რაც ნიშნავს ცხენის წყალს და ეს სახელი ზოგჯერ მთლიანად ყუბანსაც მიემართებოდა. ჰეროდოტე გვაწვდის ცნობას სკვითური ტომის **“გეროსების”** შესახებ, რომლებიც მოსახლეობენ მდინარე **“გერის”** განაპირას და მათ ქვეყანასაც **“გერი”** ქვია (გეროს-ეგერია-გეორგია-გურჯისტანი ეგრისის – საქართველოს სახელებია). ეს მდინარე **“გერი”** მისი თქმით სკვითო-გეორგების ქვეყანაზე მიედინება და ზღაში ჩასვლამდე ორად იყოფა – ერთერთ მათგანს ეწოდება **“ჰიპაკირი”**. რუს-უკრაინელი მეცნიერები შეეცადნენ ჰეროდოტეს მიერ ნახსენები ეს მდინარე **“გერი”** მდინარე დნეპრის რომელიღაც შენაკადად წარმოეჩინათ, მაგრამ შესაბამისი მონაცემების შენაკადი ვერ აღმოაჩინეს და დაასკვნეს რომ ის გაქრა, რაც უბრალოდ სასაცილოა. პტოლემაიოსის ცნობით ეს მდინარე **“გერი”** ჩაედინება აზოვის ზღვაში, იგივე პტოლემაიოსი ყუბანს ამასთანავე უწოდებს **“კორაქს”**, კოლხური ტომის **“კორაქსების”** სახელიდან გამომდინარე. V საუკუნის უცნობი ბერძენი ავტორი **“დედამიწის აღწერაში”** მეოტიდის მახლობლად ასახელებს მდინარე **“სანგარიას”** რომელიც შავ ზღვაში ჩაედინება.

– დიოდორე სიცილიელი ყუბანს აღნიშნავს სიტყვით **“ფაზ”-”ფატ”**, რაც ასევე სახელდება **“ფაზისად”**. ესე იგი ბერძნულ სამყაროში ყუბანი ცნობილი იყო აგრეთვე როგორც **“ფაზისი”**, ამიტომ იგივე ჰეროდოტე სხვაგან აღნიშნავს, რომ **“ფაზისი”** კოლხეთის საზღვარია კავკასიის ქედამდე, მის იქით სარმატიაა – ამის გამო ერთი წითელი **“მღვდელ-მეცნიერი”** აცხადებს, რომ ბერძნები **“სარმატიაში”** სამეგრელოს გულისხმობდნენო, ასევე გამოთქვამს **“აზრს”**, რომ ფაზისი არაქსია და იაზონი არაქსში შეცურდა, ხოლო აიეტის კოლხეთში იგულისხმება ჰაიკების სასომხეთი. აი ასეთ მეგრელოფობიაზეა აგებული დღეს **“ქართული მეცნიერება”**, ანუ ანტიმეცნიერება. ქართველმა ხალხმა კარგად იცის თუ რისთვის შექმნა დამპყრობელმა საქართველოში **“წითელი სამღვდელოება”** და **“წითელი მეცნიერება”**, მაგრამ ეს წითელი **“მღვდელ-მეცნიერება”** რაღაც ახალია. მრთალია ბერძნები **“ფაზისს”** ეძახდნენ სულ ცოტა ოთხ მდინარეს: ყუბანს, რიონს, ჭოროხს და არაქსს, მაგრამ არგონავტების შემთხვევაში არაქსი ნამდვილად არაფერ შუაშია. ძველბერძნულ წყაროებში აზიისა და ევროპის საზღვრად მიჩნეულ მდინარესაც **“ფაზისი”** ეწოდება, კოლხეთს კი ყოველთვის აზიას მიაკუთვნებდნენ, ესე იგი თუ ამ **“ფაზისში”** რიონს გულისხმობდნენ გამოდის რომ სამეგრელო და აფხაზეთი კოლხეთი არ ყოფილა, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია. ცხადია რომ ბერძნების მიერ აზიისა და ევროპის საზღვრად მიჩნეული ფაზისი ყუბანია.

– ამდენად **“ფაზისი”** მართლაც ერქვა ყუბანს და კოლხეთში მოსული არგონავტები სწორედ მასში შეცურდნენ და არა რიონში. აპოლონ როდოსელი ამბობს: **“აია-კოლხეთი ზღვისა და მიწის დასალიერში მდებარეობს (დასალიერში!)... და აი უკვე გამოჩნდა პონტოს უკიდურესი ყურე (ყურე!) და კავკასიის მაღალი მთებიც აღიმართნენ” (სადაც წასწვდება წვერი კავკასიისა)”**. ჰომეროსი კოლხეთის აიას კუნძულად მოიხსენიებს, ხოლო იქვე მდებარე ყირიმის ნახევარკუნძულს კირკეს (აიას მეფის დის) კუნძულ **“აიაიედ”**. სტეფან ბიზანტიელის ცნობით **“აია კოლხეთის ქალალია, რომელსაც ორი მდინარე ჩამოუდის “ჰიპოსი” და “კვინეოსი” რომლებიც კუნძულს ქმნიან”**. **“კვიტი” – “კუტი”** ასევე მდინარე ყუბანის ერთერთი სახელია. მოსე ხორენაცი მდინარე ყუბანს მოიხსენიებ სახელით **“კუტ(ქუთ)”**, **“კუტ”**-ფორმა დღემდე გვხვდება ყუბანის ქვემო წელის რეგიონის ტოპონიმებში, ამდენად ქალაქი **“აიას”** სახელის ფორმად **“კუტაიონი”** არ იქნებოდა მოულოდნელი. ესე იგი **“კიტაია”-”კვიტაია”** ერქვა არა დღევანდელ ქუთაისს არამედ ყუბანისპირა ქალაქ-კუნძულს – თუმცა, გამორიცხული არაა ქუთაისსაც ასე რქმეოდა, რადგან ხშირად ერთი მოდგმის ხალხი ერთნაირ ტოპონიმებს იყენებენ სხვადასხვა ადგილებში. სატახტო ქალაქის ქუთაისში გადატანის ტრადიცია კი შუასაუკუნეებშიც არსებობდა (ახლახანს **“სტეკლოს”** პარლამენტი გადაიტანეს). თუმცა არსებობს მოსაზრება რომ ქალაქი **“კიტაია”** არის იგივე **“კირკაია”** – კირკეს სახელიდან.

– პომპონიმუს მელა, რომელიც ემყარებოდა უფრო ძველ ცნობებს, გვამცნობს: **„იქ, სადაც მთავრდება ბოსფორიდან მომავალი სანაპირო ხაზი (ანუ ქერჩის სრუტე) და იქიდან დაწყებული სანაპირო კლაკნილი წარმოქმნის პონტოს ყველაზე ვიწრო კუთხეს, ცხოვრობენ კოლხები. აქ ჩაედინება მდინარე ფაზისი მთების ძირში”** – რა თქმა უნდა, ეს ფაზისი რიონი არაა, რადგან მას ბოსფორის (ყირიმის) სანაპირო ხაზიდან ასეულობით კილომეტრი აშორებს და თან ის ადგილი, სადაც რიონი ზღვას უერთდება, ვაკე ადგილია და მთები იქიდან ძალზე შორსაა. პომპონიმუსის ცნობას, რომ მდინარე ფაზისის შესართავი ზღვასთან მთების ძირში ყოფილა, ამტკიცებს არგონავტიკის თქმულების შემდეგი ადგილიც: **“როცა არგონავტები მდინარეზე ცოტათი აცურდებიან და არესის ჭალას გაუსწორდებიან, დაინახავენ, თუ როგორ სხედან მდინარის ახლო ფერდობებზე კოლხები და უცქერენ მას... როცა არგონავტებმა თავიანთი არგო, არესის მინდორს გაუსწორეს, აიეტი უკვე ელოდა მათ, ხოლო მთის ფერდობზე კოლხები მოგროვილიყვნენ.”** აქაც ცხადია რომ ყუბანის იმ შტოზეა ლაპარაკი, რომელიც შავ ზღვაში ჩაედინებოდა კავკასიონის მთების დასასრულში. პლინიუს უფროსის ცნობით ქალაქი **“აია”** ფაზისის ზღვის შესართავიდან 15 მილზეა (24 კილომეტრი). ფსევდო სკილაქს კარიანდელის ცნობით: **“მდინარე ფაზისის და ელინური ქალაქი ფაზისის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა“** – 180 სტადიონი 33 კილომეტრია, ქუთაისსა და რიონის შავი ზღვის შესართავს შორის კი 95 კილომეტრია – ამდენადაც, ცხადია, რომ ქუთაისი არაა მედეას ქალაქი **“აია”** და არც ფოთია კოლხეთის ქალაქი **“ფაზისი”**. ამასთანავე მოსაზრება რომ თითქოს მაშინ შავი ზღვის ნაპირები ქუთაისამდე აღწევდა აბსურდულია, რადგან ცნობილია რომ შავი ზღვა უკანასკნელი გამყინვარების შემდეგ ფაქტიურად ტბა იყო და მან გაფართოება იწყო დათბობის შემდეგ (12 ათასი წლის წინ), რასაც ადასტურებს შავ ზღვაში ჩაძირული ათასწლეულების წინანდელი ნამოსახლარები, ამდენად შავი ზღვა უკან კი არ იხევდა არამედ პირიქით შთანთქავდა ნაპირებს. ზემოხსენებული ქალაქი ფაზისის და აიას სტრატეგიული ფუნქცია შემდგომში გადავიდა ქალაქ **“ფანაგორიაზე”** და **“გერმონასაზე”**. პომპონიმუს მელას ცნობით ქალაქი **“ფაზისი”** იგივე **“თემისთაგორაა”** ვინმე თემისთაგორას მიერ დაარსებული და ის უნდა იყოს იგივე **“ფანაგორაც”** საბერძნეთის ქალაქ **“თეოსიდან”** გადმოსახლებული ვინმე **“ფანაგორის”** სახელის მიხედვით წოდებული. ეს ქალაქი **“ფანაგორა”** სავარაუდოდ სწორედ იქ მდებარეობდა, სადაც ყუბანი შავ ზღვაში ჩაედინებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ფაზისის თემისთაგორას თუ ფანაგორას მიერ დაარსება გაბერძნებულ პონტოელთა თუ პელეპონესელ ოკუპანტთა ვერსიაა და სინამდვილეში ეს ქალაქი თემისთაგორამდე თუ ფანაგორამდე დიდიხნით ადრე იქნებოდა დაარსებული კოლხების მიერ. შესაძლოა, პონტოს სამეფოს სატახტო ქალაქი **“პანტიკაპეაც”** პირდაპირ კავშირში იყოს კოლხეთის სატახტო ქალაქ **“აიასთან”**. ამ მიდამოებში პირველად სტრაბონის მიერ დასახელებული **“ძიხები”** (ზიხები) რუფუს ავინიუსის **“დედამიწის აღწერაში”** არიან პელაზგების სამეფოდან გადმოსახლებულები და ამდენად ისინი კოლხებად უნდა ჩავთვალოთ და არა ადიღურ ტომად. **“ზიხების”** ქალაქს ბერძნულად ერქვა **“ძიხოპოლისი”**, რაც დღევანდელი ქალაქი **“გელენჯიკა”** უნდა იყოს.

“ზიხებს” ქართულ წყაროებში ერქვათ **“ჯიქები”**, რაც ცხოველ ჯიქს კი არ უკავშირდება არამედ ციხის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვას **“ჯიხას” – “ჯიქები”** ნიშნავდა მეციხოვნეებს. ქართული წყაროების ჯიქეთი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასაც მოიცავდა. ეს ტერიტორიები შუასაუკუნეებში ჯერ კიდევ დადიანების ხელში იყო: ბატისტა აგნესის 1544 წელს შედგენილ რუკაზე **“მეგრელია”** მოთავსებულია ყუბანისპირეთში. 1559 წელს დიეგო ჰომემის მიერ შედგენილ შავი ზღვის რუკაზე სამეგრელოს ჩრდილო საზღვარი მთავრდება იქ, სადამდეც ყუბანი ერთვოდა შავ ზღვას. ცნობილი ევროპელი მეცნიერი და მოგზაური გერბენშტეინი ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში XVI საუკუნის დასაწყისში. მან დაგვიტოვა იმდროინდელი რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნების აღწერა, სადაც ვკითხულობთ: **“ყუბანის იქით არის მინგრელია”**. რუსეთის მიერ გამოდევნილი ადიღური ანუ თათრული ტომებიც თავდაპირველად დადიანებმა შეიფარეს, შემდგომ მათი დიდი ნაწილი თურქების მხარეზე გადავიდა, დღეს რუსეთს ეკასალებიან.

– ყუბანს ადიღურად ქვია **“ფსიში”**, ყაბარდოულად **“ფსიჟი”**, არსებობს სახელწოდება **“ფსაროსიც” – “აფსაროსი”**. საქართველოში სხვაგანაც არის **“აფსარა”** იგივე **“სუფსა”** (გონიოსთან), მას **“სუ”** თურქული ზეგავლენით აქვს დართული – ძირია **“ფსა”-”ფას”-”ფს”**, რომელიც ქართველური ძირია და ის ზოგადად მდინარეს აღნიშნავდა: **“ს”** ბგერა გამოხატავდა წყალს და არამხოლოდ გეორგიანულში, არამედ ჰომოსაპიენსის ენის, ანუ კაცთამოდგმის საერთო ხმაბაძვითი ენის ნაშთი უნდა იყოს, ამდენად შესაძლოა მისი პარალელური ფორმები იყო **“ფ”** და **“ჭ”** საიდანაც მივიღეთ **“ს”-”ფ”** და **“ზ”** ფორმები: აქედან გეორგიანული სიტყვები **“სუელი”-”სობელი”-”შოლირი”**, **“სმა”-”შუმა”**, **“სკური”**, **“წყარი”**, **“წვიმა”-”ჭვემა”**, **“წვეთი”**, **“ჭა”**, წყლის ჭურჭლის სახელი **“სურო”**, **“ჭიქა”** და ა.შ. თათრულად წყალს ქვია **“სუ”**; გერმანულად **“ვა-ს-ერ”**. **“ფ”**, **“ბ”** **და** **“ვ(ა)”** თავსართები კი დაერთო წყლის მოძრაობის აღსანიშნავად: **“ფა”** მეგრულად ნიშნავს **“ტალღას”**, **“ფაზას”** და უშუალოდ **“ფა”**-ს (ერთი ფა, ორი ფა, სამფა). ამდენად **“ფას”-”ფაზ”-”ფს”-”ბზ”** ზოგადად დინებას-თხევას აღნიშნავდა – ნებისმიერი სითხის და გამდნარი მეტალისაც. **“ფას”**-ძირს შეესაბამება ბასკური **“ბას”**. ლათინურად კი დნობა-შედუღება აღინიშნება სიტყვით **“ფუზ”** (=ფზ=ფაზ). დამდნარ-მოდუღებულ გუდრონს ქვია **“ფისი”**. **“ფს”**-ძირისაა სიტყვები: **“ფშანი”**-”ფშატი”, “ფსელი”, “ფსკერი” ისტორიულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებობს მდინარეები სახელად **“ფასი”**, **“ფაზარი”**, **“აკამფსისი”**, **“კობზა”**, **“აბაშა”-”აბაზა”** და ა.შ. პროკოფი კესარიელი ფაზისის (ყუბანის) სათავესთან ასახელებს **“აფსილიონს”**, რომელიც ლაზებს ეკუთვნითო, იმის ჩრდილოეთით **“აბაზგიას”**. ამდენად **“აფსარა”** და **“აბაზა”** (აბაშა) უნდა რქმეოდა ყუბანსაც და მის საათავეებთან არსებულ რეგიონსაც, სადაც მოგვიანებით ჩამოსახლებულ და ადგილობრივ მეგრელებთან შერეულ მომთაბარე თათრულ ტომებს ამ ტოპონიმების მიხედვით **“აფსუები”** და **“აბაზები”** ეწოდათ, მანამდე კი მათ ერქვათ **“ასები”** (ქ’ასოგები-კ’აზაკები) ისევე როგორც ყველა სხვა თათრულ ტომს.

– მდინარე ყუბანს გენუელები უწოდებდნენ **“ლო-კოპარიოს”**, ხოლო მის პირას (აზოვის ზღვის მახლობლად) არსებულ ქალაქს ერქვა **“კოპა”** (კოფა) და ხან **“კაპა”-”კაპლუ”** (კაფა), თურქები მას უწოდებდნენ **“ენიკოპილს”**. სწორედ ეს უნდა იყოს ქალაქი **“ნიკოფსია”**, რომელიც იყო საქართველოს სამეფოს სასაღვრო ქალაქი. ამ ისტორიული ქალაქის სახელში **“ფს”** კომპონენტის არსებობა იმას უნდა მიანიშნებდეს რომ ის იყო ამავე ძირის მქონე სახელწოდებიანი მდინარის მახლობლად აგებული ქალაქი. ქართული წყაროს **“ბიჭვინთის იადიგარის”** ცნობით საქართველოს ეკლესიის უფლებამოსილება ჩრდილო-დასავლეთით ვრცელდებოდა **“კაფამდე”**, ანუ ქართულ ტრადიციაშიც **“ნიკოფსიის”** პარალელურ სახელად არსებობდა **“კაფაც”**. სხვა ქართულ წყაროში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დასახელებულია **“ნიქოზის”** ეკლესია, რომელიც ვახტანგ გორგასალს საეპარქიოდ უქცევია.

– ძალზე ჰაეროვანი, მაგრამ მაინც იმედია, რომ საქართველო ოდესმე მაინც აღადგენს თავის ისტორიულ საზღვარს მდინარე ყუბანამდე და ქერჩის სრუტემდე.

ბაკურ მორგოშია

დახვრეტილი ფეხბურთელები და “სიკვდილის მატჩად” წოდებული ფაშისტური შურისძიება

უკრაინაში მიმდინარე დრამატულმა პროცესებმა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ექსტრემისტული ძალები, გერმანული ფაშიზმის პერიოდის ერთი მოვლენა წამოატივტივა მეხსიერებაში, რომლის თაობაზეც ხშირად სწერდა ომისშემდგომი საბჭოთა პრესა.

ამბავი კი მართლაც შთამბეჭდავი და გულშიჩამწვდომი გახლავთ!

მეორე მსოფლიო ომის ისტორიის მცოდნე ადამიანების, ან უბრალოდ ფეხბურთის მოყვარულებისთვის 1942 წელს კიევში ჩატარებული საფეხბურთო მატჩის ლეგენდა კარგად არის ცნობილი. ე.წ. **“სიკვდილის მატჩიდან”** უკვე 70 წელზე მეტი გავიდა მაგრამ ამ თამაშის მიღმა დამალულ დეტალებს ისტორიკოსები დღემდე განიხილავენ და სიმართლის დადგენას ცდილობენ.

1942 წლის ზაფხულში ფაშისტების მიერ ოკუპირებულ უკრაინაში გერმანული **“ფლახელფისა”** და კიევის **“სტარტის”** საფეხბურთო მატჩი დაინიშნა. ნაცისტებმა **“ფლახელფის”** გამარჯვების ბრძანება გასცეს, არავინ იცის რა პასუხი მიიღეს მათ **“სტარტის”** მოთამაშეებისგან, თუმცა ფაქტია, რომ თამაში უკრაინელი ფეხბურთელების დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა.

საბჭოთა ისტორიკოსებისა და სპორტული მემატიანეების გადმოცემის თანახმად გერმანელები დამარცხებას ვერ შეეგუნენ. სასიკვდილო მატჩიდან რამდენიმე თვის შემდეგ კი, 1942 წლის 18 აგვისტოს **“სტარტის”** მოთამაშეები ნაცისტებმა ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი დახვრიტეს.

ვლადლენ პუტისტინი (კიევის **“სტარტის”** ფეხბურთელის ვაჟი): მამა მიყვებოდა, როგორ მოხდა ეს ყველაფერი. პურის ქარხანას სადაც სტარტის ფეხბურთელებს ნაცისტები ამუშავებდნენ მანქანა მიადგა. სალდათებმა ახსნა-განმარტების გარეშე ამოიკითხეს 9 ფეხბურთელის გვარი და გესტაპოში წაიყვანეს. მათ შორის იყო მამაჩემიც. 23 დღიანი პატიმრობის შემდეგ ნაცისტებმა ხუთი მათგანი დახვრიტეს, ხოლო ისინი ვინც ძირითად შემადგენლობაში არ თამაშობდა სიკვდილს გადაურჩნენ.

გამარჯვებისთვის დახვრეტილი ფეხბურთელები – ეს დაღუპული ფეხბურთელების ისტორიის საბჭოთა ვერსია გახლავთ. სტარტის მოთამაშეების ამბავს სულ სხავგვარად გვიამბობენ სხვა ისტორიკოსები.

ვალენტინ შარბაჩოვი (სპორტის ისტორიის სპეციალისტი): იმ პერიოდის უკრაინაში იყო თამაშების სერია, რომლებიც გერმანული გუნდების დამარცხებით დასრულდა, რის გამოც კიევის კომენდანტმა ფეხბურთი საერთოდ აკრძალა, რადგან ეს გერმანელების ავტორიტეტს სერიოზულ ზიანს აყენებდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ერთი კონკრეტული მატჩის გამო არ მიუღიათ, ეს გერმანელი ფეხბურთელების რამდენიმეჯერ დამარცხების შემდეგ გადაწყდა. რაც შეეხება სიკვდილის მატჩის ამბავს, მე ის რეალურად არ მიმაჩნია.

ისტორიკოსთა ნაწილი ფეხბურთელების დახვრეტასა და ე.წ. სასიკვდილო მატჩს ერთმანეთს არც კი უკავშირებს. მათი განცხადებით ფეხბურთელებს შპიონაჟში დასდეს ბრალი რაც მათი დასჯისთვის საკმარისი მიზეზი გახლდათ. ვინ იყვნენ ისინი გმირები თუ მოღალატეები – ამ კითხვის პასუხს ისტორიკოსები აგერ უკვე 70 წელია რაც ეძებენ, მაგრამ კიევის **“სტარტის”** მოთამაშეების ტრაგედია მაინც საკამათო საგნად რჩება და დანამდვილებით ვერავინ ამბობს, რომ ისინი მოღალატეები იყვნენ.

ასე რომ, ვინ ვინ, მაგრამ უკრაინელებმა სხვებზე კარგად უნდა იცოდნენ, თუ რას ნიშნავს ფაშისტური ძალების აღორძინება!

ასეთი საშინელი წარსული ნამდვილად არ უნდა განმეორდეს!

საკ ინფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ამ წიგნზე მუშაობას დიდი დრო და ენერგია დაჭირდა (იგი ახლაც არაა ბოლომდე დასრულებული). 1997 წლის შემოდგომაზე ჩემთან სტუმრად მოსულ პაატა ქურდოვანიძეს ვუთხარი: დედით დადიანი ბრძანდებით და დადიანების ყველაზე თვალსაჩინო ბანოვანთან, ქალბატონ ბაბო დადიანთან უნდა წამყვეთ, იქნებ ჩვენს დაუნდობლად განადგურებულ არისტოკრატიაზე რაიმე გვიამბოს და მათი იშვიათი ფოტოსურათები ცოტა ხნით გვათხოვოს-მეთქი.

მეორე დღეს, დადიანისავე ქუჩის ძველი შენობის მეორე სართულზე ვინახულეთ თითქმის ას წელს მიღწეული დიდებული პიროვნება. ასაკს თავისი დაღი დაეტყო, მაგრამ თვალებში სხვანაირი, მოუსვენარი სხივი უკრთოდა. სინანულით გვითხრა — ის გარემო და ის ადამიანები, რომელთა შორის სრულიად ახალგაზრდას (მალე ყველაფერი განადგურდა) მე მიწევდა ცხოვრება, სამუდამოდ ჩავლილია, არასოდეს განმეორდებაო.

რამდენადაც შეიძლებოდა, მორიდებულად ვთხოვე, პაატა ცალკე ემუდარებოდა საყვარელ ბაბუდას (ასე ეძახდა საალერსოდ), თხუთმეტიოდე წუთით, ასლის გადასაღებად, თავისი კოლექციიდან რამდენიმე ძველი ფოტოსურათი ეთხოვებინა (მუშნი და ოთარ დადიანის, ძმები ვიტგენშტეინების, სხვებისაც), მაგრამ ჩვენი თხოვნა ახლოსაც არ გაიკარა: ეს სურათები, გადასახლებულს, ლეიბებში მქონდა ჩაკერებული, ჩეკისტებს რომ არ მიეგნოთ და წაერთმიათ, მთელი შუა აზია, ყაზახსტანი, ამათთან ერთად შემოვიარე და ასე როგორ გაგატანოთო. მივხვდით, ხვეწნას აზრი აღარ ჰქონდა.

საუბარში გაიხსენა თავისი ადრეული ქალიშვილობა — მე და მელიხან ლორთქიფანიძე, მხატვარ ზურაბ ლეჟავას დედა ერთად ვიყავით კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში, ჩიტაძის ქუჩაზე. ხმა დაირხა (ეს 1914 წლის შემოდგომაზე იყო), საქართველოში ჩამოსული იმპერატორი ნიკოლოზ მეორე უნდა გვეწვიოსო და საზეიმოდ გამოგვაწყვეს. ნიკოლოზს ნაცრისფერი ჩოხა-ახალუხი სცმია და ხელში ასეთივე ფერის ბოხოხი ეჭირა. გოგონებს სულმა წასძლია და იმ ქუდს ხელი შეავლეს. იმპერატორს უმალ გაუწოდებია, თუ მოგწონთ, დაათვალიერეთო. **„მოგონებათა დღიურში“** ქალბატონი ბაბო მელიხან ლორთქიფანიძის ნაცვლად, გვერდში მყოფად უფროსი კლასის მოსწავლეს ნინო ჩიკვაიძეს იხსენიებს. იმპერატორის ბოხოხიდან ბეწვი ამოუცლიათ (**„დიდხანს ვინახავდით მე და ნინო მეფის ბოხოხის ბეწვს სამახსოვროდ...“**). ყველაზე მეტად ბავშვები იმას გაუხარებია, რომ ლამაზ კოლოფებში ჩაწყობილი შოკოლადი დაურიგებიათ თვითეული მათგანისთვის. მეფის წასვლის შემდეგ სასწავლებლის დირექტორს გოგონები დაუტუქსავს, ისეთ საპატიო სტუმარს ხელიდან ქუდი როგორ გამოგლიჯეთო. რამოდენა დრო იყო გასული იმ სასაცილო შემთხვევიდან და ქალბატონ ბაბოს ყოველი წვრილმანი ახსოვდა.

მხიარულ გუნებაზე დადგა, თვალებიც უფრო აუკიაფდა. გრაფ ოლდენბურგელზე აგრაფინა ჯაფარიძის გათხოვების გახმაურებული ამბებიც თავისებურად მოგვიყვა. გაიხსენა, რომ ჯვრისწერამდე ქალს ტიტულოვანი, გრაფის შესაფერისი გვარი უნდა მიეღო და ორი ვარიანტი შეეთავაზებინათ — **„ზარნიკაუ“** და **„ბოზი“**. რომელიღაც ჩვენს არისტოკრატ მამაკაცს (გვარი აღარ დამახსომდა) ეთქვა — ჩემო აგრაფინა, არ გაბრიყვდე, მეორეზე არ დათანხმდე, თორემ თავი მოგეჭრება, მასეთი გვარით საქართველოში აღარ დაგედგომებაო. აგრაფინა, ულამაზესი და ჭკვიანი ქალი, ვისაც ქუთაისში ამდენი მოშურნე ჰყავდა, რა ჩიტი იყო, რომ ასეთი რამე შეშლოდა.

ყოველთვის ვწუხდი, რომ უმშვენიერესი აგრაფინა ჯაფარიძის გარშემო უხამს ჭორებს ავრცელებდნენ და ძალზე გამეხარდა, როცა ახლახან ჟურნალმა **„ჩვენმა მწერლობამ“** გამოაქვეყნა სამაგალითო მეცნიერის, მისი სისხლისმიერი ნათესავის, გოჩა ჯაფარიძის უაღრესად საინტერესო და მართალი წერილი **(„აგრაფინა კისკისაო..., თავგადასავალი ერთი ქართველი ქალისა“),** რომელმაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი ამ პროვინციულ მითქმა-მოთქმას.

გოჩა ჯაფარიძე გადაჭარბების გარეშე, სამართლიანად დაასკვნის:

„აგრაფინას ცხოვრებას არ ჭირდება არც შელამაზება და არც დრამატიზება. ის ლამაზიც იყო და დრამატულიც. ხელმოკლე თავადის ასული, ტარიელ დადიანის მეუღლე, პრინც ოლდენბურგის ცოლი გახდა. მისი სახელი შესულია ევროპის სამეფოთა დინასტიების სიებში. მან ნახა დიდებული და უზრუნველი ცხოვრება პეტერბურგში, რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებსა და საფრანგეთში. აღზარდა კარგი შვილები. ბოლშევიკურ წნეხში მოქცეულმა ნახა გაჭირვებაც, განიცადა შვილების გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი და აღესრულა ქუთაისში“.

მუშნი დადიანი — სამშობლოს შეჯიერული რაინდი

ყველაზე ამაღელვებელი და ტრაგიკული ქალბატონ ბაბოს მონაყოლში ის იყო, როცა ავადმოსაგონარ ოცდაოთხ წელს, ძუძუთა ბავშვის პატრონი დაპატიმრებულ მეუღლეს მეტეხის ციხეში საჭმელს უზიდავდა და ამ დროს ჩვენი სამღვდელოების უმაღლესმა პირებმა კათალიკოსმა ამბროსი ხელაიამ და მიტროპოლიტმა კალისტრატე ცინცაძემ (ისინიც დაპატიმრებული ჰყავდათ ჩეკისტებს, საქართველოდან გენუაში საპროტესტო წერილების გაგზავნის გამო, მაგრამ მათთან საკანში შესვლა შეიძლებოდა), ურჩიეს 21 წლის გასაცოდავებულ ახალგაზრდა ქალს, ბავშვი აქაურობას გაარიდეთ, სადმე სოფელში წაიყვანეთ, რამე არ დაემართოს, თქვენ სულ ციხის კარებზე ხართო.

სხვა გზა არ იყო. პაწია თათული და ორი წლით მასზე უფროსი ძმა გიორგი ქალბატონმა ბაბომ და მისმა ძმამ დემნამ სოფელ ბანძაში წაიყვანეს. რაღაც განგებით, იმავე მატარებლით მიდიოდნენ მუშნი დადიანი და ნესტორ გარდაფხაძე, უდრეკი სვანი ვაჟკაცი, ნიჭიერი სამხედრო პირი, მეფის არმიის პოლკოვნიკი. მათ ხელისულების თავკაცებმა (ამ საქმეში გარეული იყო ყოვლად ვერაგი არსება, თვალთმაქცობაში დახელოვნებული საშა გეგეჭკორი) უთხრეს, რომ სვანეთიდან ჩამოეყვანათ ტყეში გავარდნილი მუშნის უმცროსი ძმა, უმამაცესი პიროვნება ოთარ დადიანი და აღუთქვეს, სამივეს შეიწყალებდნენ. ისინი ენდნენ გაიძვერა ბოლშევიკების სიტყვას, ოთარი ჩამოიყვანეს სვანეთიდან. ჩეკისტებმა, გათავისუფლების მაგივრად, სამივენი შეეყარეს უდანაშაულო ადამიანებით გადატენილ დილეგში და მალე სამივენი ერთად დახვრიტეს. თუ როგორ და რანაირ პირობებში განახორციელეს ჯალათებმა თავიანთი ბინძური განზრახვა, ამაზე ქვემოთ საგანგებოდ ვიტყვი.

გზაში მუშნი დადიანსა და ნესტორ გარდაფხაძეს ჩვილბავშვიანი ბაბო, გაუმხნევებიათ, რამე ხომ არ გჭირდებათო და მერე, სადგურ აბაშაში გადასულან მატარებლიდან, რათა ტყეში დამალული ოთარი მოეძებნათ. არ იცოდნენ, რა ჯოჯოხეთი ელოდებოდათ თბილისში დაბრუნებულებს.

ბაბო დადიანი და მისი ძმა, ბავშვებიანად მიდგომიან ახლობლის ოჯახს. ბაბოს უნახავს სიხარულით შეგებებული თავისი ძველი ძიძა, მინაია ჩიქობავა და ამჯერად ახალშობილი თათულის ძიძად აუყვანიათ ამ ქალის რძალი ბუცა სართანია, რომელსაც თავად ჰყოლია პატარა ბავშვი და თათულისაც მოაწოვებდა ძუძუს. საქმე მოგვარებულა. ყოველივე ეს დაწვრილებით და დიდი მღელვარებით აქვს აღწერილი თავის საუცხოო **„მოგონებათა დღიურში“,** რომლის რედაქტორი და მშვენიერი წინასიტყვაობის ავტორია ნინო ხოფერია.

მუშნი დადიანისაგან, რომელიც ჯალათებმა სულ მალე გამოასალმეს წუთისოფელს, გასაჭირში მყოფი ჩვილბავშვიანი უმწეო ქალისადმი ასეთი ყურადღება სრულებით არ არის გასაკვირი, მაგრამ ალბათ ღვთის ნება იყო, რომ ეს იშვიათი მზრუნველობა და სითბო ბაბო დადიანს თავის თავზე გამოეცადა.

ცნობილია, ადამიანთა, რეალურ პიროვნებათა როგორი სხარტი და ზუსტი დახასიათება იცოდა გრიგოლ რობაქიძემ, რა ოსტატურად ხატავდა მათ გარეგნობას და სწვდებოდა სულის იდუმალ მოძრაობას. კომშმარულ კომუნისტურ სასაკლაოს განრიდებულმა **„გველის პერანგის“** ავტორმა, ემიგრაციაში მყოფმა, ეტყობა, თან გაიყოლა უბადლო რაინდის დაუვიწყარი სახე, თორემ ასე ცოცხლად, ამაღლებულად ვერ დაწერდა:

„მუშნი დადიანი — ნამდვილი ძმა მედეასი; სილამაზით, ნაკვთიერებით, ელვარით — ისეთი მორიდებითი კოცნით ჩამოართმევდა ხელს რომელიმე მანდილოსანს და თანავე ისეთი გულავსილობით, რომ ეს შნო თვით მეფისწულსაც შეეხარბებოდა“.

თუ როგორი ღრმა განცდით და პოეტურად წერდა თავის **„დღიურს“** თავად ბაბო დადიანი, ამის ნათელსაყოფად ორიოდე აბზაცს მოვიტან, სადაც გაცოცხლებულია ის დღე, როცა სოფლიდან ქალიშვილი ჩამოუყვანეს. აქ თვითეულ სტრიქონს ჟრჟოლა გასდევს:

„მახსოვს, ერთი წლის მანძილზე იძულებით მოშორებული, გაძიძავებული თათული როგორ ჩამოიყვანეს ჩემმა ძვირფასმა ადამიანებმა ნანა მინაიამ და მორდუმ — მოსე სართანიამ, ბუცაცამ, მათმა რძალმა აწოვა ძუძუ პატარა თათულის.

ეტლი რომ გაჩერდა ჩვენს სახლთან და თათული დავინახე, კანკალი დამაწყებინა, არ ვიცოდი, რა მექნა სიხარულისგან. მაშინ 21 წლის ვიყავი. თათული მზით გაშავებული, ჩაფსკვნილი, ცეცხლივით თვალებით, ცელქი, ცელქი... გიორგი უკვე 3 წლის იყო... იჯდა ნოხზე და გარშემო ეწყო სათამაშო ცხენები, ძროხები და ქათმები...“

შემოდგომის იმ დღიდან ორი წელი გავიდა და მეოცე საუკუნის დამლევს, 1999 წლის ნოემბერს, სანთლებით გადაბრიალებული სიონის საკათედრო ტაძრის თაღქვეშ, პაატა ქურდოვანიძე და მე დამწუხრებულები ვიყავით, რათა უკანასკნელ გზაზე გაგვეცილებინა დიდებული, ვალმოხდილი ქალბატონის ნეშტი. გარდაცვლილის შვილების — თათული და გიორგი მასხარაშვილების გვერდით ჭირისუფლად იდგა ჩემი სიყრმის მეგობარი, საუკეთესო პოეტი თამარ ჯავახიშვილი, ვისი გულისდამწველი **„გამოსათხოვარი“** ხურავს **„მოგონებათა დღიურს“.** რამდენიმე სტრიქონი ამ **„გამოსათხოვარიდანაც“** უნდა მოვიხმო:

„ეს იყო გიორგობისთვის მიწურულს. დიდი სიონის ტაძრის თაღებქვეშ ყვავილებში ჩაძირული ესვენა საუკუნის მანდილოსანი, დიდებული ქალბატონი ბაბო დადიანი, ძვირფასი დეიდა ბაბო, უსაყვარლესი ბაბლი... ის ვინც თითქმის საუკუნესთან ერთად დაიბადა და მის დამლევს აღესრულა; ის, ვინც იგემა მეოცე საუკუნის საქართველოს ტკბილ-მწარე ხვედრი და იყო ჩვენი სამშობლოსთვის ლამაზი, ტანჯული და გაუტეხელი. მოწამეობრივი ცხოვრება წინაპართაგან დაებედა დიდი მიხეილ შარვაშიძის შვილთაშვილს. ჩეკისტებმა მოუკლეს ახალგაზრდა მეუღლე ალიოშა მასხარაშვილი, არაერთხელ აჰყარეს და მთელი ოჯახით გადაასახლეს; მაგრამ ბამბის კრეფაში ნატკენი თითებით ის მაინც პირჯვარს იწერდა, ღვთის სიყვარული და სასოება ასულდგმულებდა, არასოდეს დაუკარგავს სულიერი მთლიანობა, არასოდეს შეყოყმანებულა არანაირი არჩევანის წინაშე. მან მხოლოდ ერთხელ აირჩია — ძველი ქართველი მორწმუნე მანდილოსნების დარად. ამ არჩევანმა მიანიჭა ძალაც და გამძლეობაც. ასე მივიდა სიცოცხლის ბოლომდე სულით და ხორცით მშვენიერი, დიდებული და ღირსეული“.

„ტანჯული და გაუტეხელი“ შემთხვევით არ არის მისადაგებული ბაბო დადიანის შეუდრეკელ პიროვნებასთან. სულით ხორცამდე ვიყავი შეძრული, ჟრუანტელი მივლიდა, როცა ვკითხულობდი მის მიერ აღწერილ შესვლას ბერიას კაბინეტში, **„ლუბიანკაზე“** და ათასი სიავის ჩამდენ ურჩხულთან მის უკიდურესად სახიფათო დიალოგს. თბილისიდან მოსკოვში მასთან ერთად წასულა გულისხმიერი ებრაელი ქალი ნადია კეიგლუხი, ვისაც ქალბატონი ბაბო, გაწეული სიკეთის გამო, **„უახლოეს და ერთგულ მეგობრად“** იხსენიებს; ისიც ორი დაჭერილი ძმის ამბის გარკვევას ცდილობდა. ჩაწერილან ბერიასთან შესასვლელად და მოხდა სასწაული — ბაბო დადიანმა და დანარჩენებმაც, საქართველოდან ჩასულებმა, თანხმობა მიიღეს. ბაბოს იმ თავზარდამცემ უწყებაში ცინუკი დადიანი გაჰყოლია. ბერიას უერთგულეს ხელქვეით ბახჩო ქობულოვს ხელი მოუმართავს, რომ ძნელ სათხოვარზე მისული ქალი შეფთან რამდენადმე დაუბრკოლებლად შესულიყო. კაფკასეულ კოშმარებს გავს, რაც იქ ქალბატონ ბაბოს უხილავს: **„ვზივარ ცარიელ ოთახში, ირგვლივ წიგნების კარადები, უცბად გაიღო ერთი წიგნის კარადა და კარებიდან გამოვიდა კაცი, ქაღალდებით ხელში, ეს იყო პეტრე შარია, ბერიას მარჯვენა ხელი. ასეთმა შენიღბვამ ცოტათი შემაშინა“.**

ხანგრძლივი, გულის შემაღონებელი ლოდინის შემდეგ მდივანი ქალი, ქართველი, ვარდო მაქსიმელაშვილი, მიღებაზე მოსულს ბერიას კაბინეტისკენ წაუძღვება, ორ ოთახს გაივლიან და პირველი უსიამოვნო შთაბეჭდილებაც იქვე იკვეთება („მაგიდას უჯდა სათვალეებიანი გველი“).

დაუჯერებლად თამამი და ღია, თავისუფალია ქალბატონ ბაბოს დიალოგი ამ ხორცშესხმულ ბოროტებასთან. პირდაპირ ეუბნება ბერიას, რომ იგი მეუღლის და ძმის, ბონდო დადიანის ამბის გასაგებად ჩამოვიდა.

ბერია (რაღა თქმა უნდა, რუსულად) პასუხობს, რომ მისი ქმარი ინგლისის შპიონია და ამ საქმეში ჩვენ ვერ დაგეხმარებითო.

ქალი დაუყოვნებლივ და მკაცრად მიახლის: **„ინგლისის შპიონად“** იგი კაციჭამია ლატვიელმა გამომძიებლებმა (ორივეს გვარს უსახელებს) აქციესო. ბერია არ იყო ჩვეული ასეთ ჯიქურ შემოტევას.

იმასაც ეუბნება, ბინიდან გამოგვყარეს და ორ ბავშვთან ერთად შვიდმეტრიან უფანჯრებო კორიდორში შეგვაგდესო (ბაბო დადიანს, სიცივეში, აივანზე ეძინა). ბერია ძაღლივით ერთგულ ბაღჩო ქობულოვს მიუბრუნდება: **„დაუკავშირდი რაფავას და მისი ბინა დაუბრუნონ“.**

ბერიას აინტერესებდა ემიგრაციაში წასული ბაბოს მამის, კოკი დადიანის, ორგანიზაცია **„თეთრი გიორგის“** წევრის და ემიგრანტული ჟურნალის რედაქტორის საქმიანობა (ყოველნაირად ცდილობდა მისი და სხვა ემიგრანტების, ავი განზრახვით, საქართველოში ჩამოტყუებას) და მის წინ მჯდომს ეკითხება: **„კოკი — მამათქვენი, რას აკეთებს იქ?“ ქ-ნი ბაბო მშვიდად პასუხობს: „მე საიდან მეცოდინება“.** დაკითხვის გუნებაზე დამდგარი ბერია არ ცხრება: **„როგორ, თქვენი ძმებიდან რომელიმე რომ შემოიპაროს ჩვენ ქვეყანაში, ხომ თქვენთან მოვლენ, თქვენ რას იზამთ?“**

ამ გველურ შეკითხვაზე შინსახკომის ყოვლისშემძლე შეფი, ვისაც ჟოზეფ ფუშესაც ადარებენ, ირონიულ პასუხს იღებს: **„სანამ ჩემამდე მოვლენ, ალბათ თქვენ უფრო ადრე გაიგებთ, განა ჩვენი საზღვრები ამისთვის არ არის კარგად დაცული?“**

ძნელი გასაგები არ გახლავთ, როგორი რეაქციაც ექნებოდა ლავრენტი ბერიას ასეთ პასუხზე და იგი სხვა ილეთს მიმართავს, ფულად დახმარებას შესთავაზებს მოსაუბრეს. ის კიდევ დაჟინებით, თავისი მეუღლისა და ძმის ამბის გაგებას მოითხოვს (მეუღლე, ყოვლად უდანაშაულო, საინჟინრო საქმის საუკეთესო მცოდნე, ალექსანდრე მასხარაშვილი იმხანად დახვრეტილი ჰყავდათ).

ემზარ კვიტაიშვილი,
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„კოლხეთის რიტორიკული სკოლა"

„კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა, კოლხეთის აკადემია, ფაზისის მახლობლად I-VI საუკუნეებში არსებული უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი იყო. კოლხეთის რიტორიკული სკოლა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი საგანმანათლებო დაწესებულებაა. კოლხეთის აკადემიის შესახებ ცნობები შემოგვინახეს ბერძენმა ფილოსოფოსებმა: ლიბანიოსმა (314-393წწ.), თემისტიოსმა (317-388წწ.), პროკოპი კესარიელმა (507-562წწ.), აგათია სქოლასტიკოსმა (536-582წწ.) და სხვებმა. კოლხეთის აკადემიაში სწავლობდნენ როგორც კოლხები, ისე უცხოელები. იმ დროს განსწავლა ათენშიც შეიძლებოდა, მაგრამ სპეციალური რიტორიკული სკოლა მხოლოდ კოლხეთში არსებობდა. ამ სასწავლებელში განუყოფელი იყო ფილოსოფია და მჭერმეტყველება. კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში მიიღო განათლება ბერძენმა ფილოსოფოსმა თემისტიოსმა ასევ როგორც თემისტიოსის სიტყვიდან ჩანს კოლხეთში განათლება მიიღო მამამისმა ევგენიოსმა რომელიც ასევე ფილოსოფოსი იყო.

თემისტეოსის სიტყვა სადაც ის საუბრობს კოლხეთის რიტორიკულ სკოლაზე, მიმართულია ერთი პროვენციელი ახალგაზრდისადმი რომელსაც მისთვის უთხოვია, დამეხმარე რათა დავაღწიო თავი ამ პროვინციას და განათლება მივიღო სატახტო ქალაქშიო. სწორედ მის საპასუხოდ წერს თემისტეოსი: **„მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან წამოსულმა დაისადგურა, რასაც პოეტნი გაკვირვებით მოგვითხრობენ და ცას იგი აღიტაცა იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი და თემისკვირი და, აი, ისეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც კოლხების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისრის ტყორცნას და ოროლთა სროლას, ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწრთვნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდნენ დღეობებზე. მართალია, თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ეხლავე, თუ დავძენ შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა, საკუთარი მისწრაფებებით და გადაწყვეტილებებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნება შენ ის სრულად დამგმო იმისთვის, რომ თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა."**

თემისტიოსის ამ ცნობის შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერს: **„თემისტეს სიტყვებისგან ჩანს, რომ ელინური სწავლა-განათლების ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილა კოლხეთში და თუ მას დავუჯერებთ, ქვეყანა ელინური კულტურისა და „მუზათა სადგურად" უქცევია. ცხადია, ასეთი ნაყოფის ქვეყანა ერთი ბერძენის მოღვაწეობით, თუნდაც ძალიანაც თავგამოდებული ყოფილიყო, იგი ვერასდროს გამოიღებდა ნაყოფს, თუ კოლხეთის მკვიდრნი თავისთავადაც და წინათაც კულტურულად მაღლა არ მდგარიყვნენ."** აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი კი აკადემიის ადგილმდებარეობის შესახებ წერს: **„კოლხეთში ფაზისის მახლობლად არსებულა რიტორიკული სკოლა, სადაც განათლება მიუღია თემისტიოსს. თუ რომელი იყო ეს ქალაქი, ჩვენ არ ვიცით. ოტტოზეკი ფიქრობს, რომ ეს სინოპი იყო, მაგრამ თვით თემისტიოსის განსაზღვრა ამ ქალაქისა (ფაზისის მახლობლად) და მის მიერვე დაკავშირება ამ ადგილისა არგონავტიკების ლაშქრობასთან, შეუძლებლად ხდის აქ სინოპი ვიგულისხმოთ Christscbimid-sishliu-ი. wilhelmi-ი არ ეთანხმებიან ზეკს: პირველნი პირდაპირ სწერენ, რომ ეს სკოლა რიტორიკისა და კოხების ქვეყანაში იყო, და კატეგორიულად ამტკიცებს, რომ აქ მხოლოდ კოლხეთის ფოთი შეიძლება იგულისხმებოდეს".** თემისტიოსის სიტყვით, ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ აქცია კოლხეთის ეს ადგილი მუზათა ტაძრად, მაგრამ ვინ იყო ის ერთი ადამიანი, თუ აქ მჭერმეტყველებისთვის დამახასიათებელ ხერხს იყენებს თემისტიოსი? თემისტეოსი ამ დებულების გაშლისას იყენებს ანალოგიებს და ისეთ გამოთქმებს როგორიც ნახმარი აქ ჰომეროსს, ლიბანიოსს და თვითონ თემისტეტესაც, ამრიგად, როგორც სიმონ ყაუხჩიშვილი ფიქრობს, ჩვენ ზედმეტადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ იმის ძიება თუ ვის გულისხმობდა თემისტეოსი ერთ კაცში. ზეკის მოსაზრებით კი თემისტეოსი იმ ერთ კაცში მამამის გულისხმობს ხოლო ე. ბორეტი და ფ. ვილჰემი ფიქრობენ, რომ თემისტიოსის მიერ მოცემული ახსნა უნდა იყოს ნაყოფი თვით თემისტეოსის რიტორიკული ხერხთხმარებისა, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, მაშინდელი საერთო ბერძნული კონცეფციისა, რომ **„ბარბაროსულ ქვეყანაში", თუ რამე იყო კარგი, ის უთაოდ ბერძენის ნახელავი იქნებოდა".** ამრიგად, თემისტეოსის მიერ მოყვანილი ერთი კაცი შეიძლება თამამად მის რიტორიკული მჭერმეტყველების ნაყოფს მივაკუთვნოთ. კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში იწრთობოდნენ ტანვარჯიშში, მჭევრმეტყველებაში, სწავლობდნენ ფილოსოფიას, სამართალს, მითოლოგიას, ისტორიის საფუძვლებს, პოეზიას, ლოგიკას, მეტაფიზიკას, ფიზიკას, მათემატიკას, ეთიკას, პოლიტიკას... იმართებოდა საჯარო შეჯიბრებები სამართლისა და პოლიტიკის საკითხების ცოდნაში. ბერძნულ წყაროებში აღნიშნულია, რომ ასეთ პაექრობებში ხშირად იმარჯვებდნენ კოლხები. რა ენაზე მიდიოდა სწავლა განათლება კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში? არავითარი ცნობა არ არსებობს ამის შესახებ, თუ რა პროგრამებით და რა ენაზე მიმდინარეობდა სწავლება ან ვინ ასწავლიდა. ჩვენი მოსაზრების სწავლა-განათლება უნდა ყოფილიყო კოლხურ ენაზე, თავიდან, შემდეგ კი როცა კოლხეთის რიტორიკულმა სკოლამ სახელი გაითქვა ელადაში და ის გახდა ინტერნაციონალური, სავარაუდოდ შემდეგ კოლხურ ენასთან ერთად აკადემიაში ისწავლებოდა ბერძნულად, რათა გასაგები ყოფილიყო სასწავლო მასალა იმ უცხოელებისთვის, რომლებიც სწავლობდნენ კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში, ხოლო თავის მხრივ ადგილობრივები სწავლობდნენ კოლხურ ენაზე. აგათია სქოლაქტიკოსის (536-582) საისტორიო თხზულებაში დაცულია ცნობა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების (აიეტი, ფარტაძი და სხვა) ბრწყინვალე ორატორული გამოსვლების შესახებ. ცხადია, ეს ცოდნა კი მათ თანმიმდევრულად და საფუძვლიანი სწავლით უნდა მიეღოთ. მათ ისტორიკოსთა მოსაზრებით სწავლა-განათლება სწორედ კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში უნდა მიეღოთ. მათი გამოსვლა ლაზთა კრებაზე რიტორიკის უმაღლეს საფეხურს უნდა მივაკუთვნოთ.

554 წელს რომაელმა სარდლებმა შეტყუებით მოკლეს ლაზთა მეფე გუბაზი,

555 წელს ხალხის თავკაცებმა ერთ ხეობაში დიდი საერო კრება მოაწყვეს. აქ ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა იმის თაობაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდგომში. კრების მეთაური აზნაურები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფის სათავეში აიეტი იდგა, რომაელების ძველი მტერი და სპარსელების მომხრე.

აიეტი ამტკიცებდა გუბაზის მოკვლა მხოლოდ დასაწყისია და რომაელებს ჩვენი მოსპობა აქვთ განზრახული, სპარსელები კი უფრო სანდობნი არიანო. **„გაქრა კოლხების ძველი ღირსება, – დღეიდან ჩვენ სხვებზე ვეღარ ვიბატონებთ... ჩვენ რომ ეს ბოროტმოქმედება უყურადღებოდ დავტოვოთ, რომაელები უკვე აღარ დაგვეხსნებიან და კიდევ უფრო გაგვაბახებენ ჩვენი უმოქმედობის წყალობით. რა თქმა უნდა, რომაელები იმათ უფრო თავხედურად ექცევიან ვინც ემორჩილება და ჩვეულებრივად ზევიდან ქვევით უყურებენ იმათ, ვინც მათ ემსახურება... მე მინდა რომ კოლხეთის სამეფოს ჰქონდეს თავისი ძველი დიდება, რომ მას არ სჭირდებოდეს უცხოელების დახმარება გარედან, რომ, როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს ის თავის ძალებს ეყრდნობოდეს. მაგრამ როცა ჩვენ ჯამთა ვითარების გამო, ან ბედის უკუღმართობის წყალობით, ან ორივე მიზეზის წყალობით ისე დავუძლურდით, რომ სხვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია ხელქვეითი ვიყოთ უფრო კეთილისმსურველის, ვინც დაურღვევლად იცავს კეთილ განწყობილებას თავისიანებთან და მოკავშირეებთან."**

აიეტის სიტყვამ ისე ააღელვა ხალხი რომ, ერთხმად იყვირეს სპარსელებს მივემხროთო. მაგრამ მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურმა ფარტაძმა, რომელსაც დიდი პატივისცემა და გავლენა ჰქონდა კოლხებში, შეაჩერა ხალხი. ფარტაძი ურჩევდა, საქვეყნო საქმის გულისთვის დაეკიწყათ ეს მწუხარება და წყენა და გონების ძალით საუკეთესო გზა აერჩიათ. **„გუბაზ მეფის მკვლელობა სტრატეგების საქმეა და აქ კეისარი არაფერ შუაშია. რომაელები მაინც უფრო მისაღებნი არიან, რადგან სპარსელები ვერასოდეს ვერ შეეგუებიან რომ ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვს. სასოწარკვეთილებას და გრძნობების ღელვას კი არ უნდა ავყვეთ და მონებივით კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ უნდა გავიმსჭვალოთ კოლხის თავისუფლების სურვილით, ვაუკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არავითარი უღირსი და მამაპაპური წესების შემბღალავი საქციელი. შევატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ვნახოთ, რა პასუხს მოგვცემს, თუ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უარყოფილი იქნა, მაშინ ვიფიქროთ სპარსელებთან კავშირზე".** აიეტს და ფარტაძს ხალხისთვის მშობლიურ კოლხურ ენაზე უნდა მიემართათ, რადგან მოსახლეობისთვის გასაგები ყოფილიყო მათ მიერ წარმოთქმული სიტყვა.

ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა, ბიზანტიის იმპერატორმა დასაჯა მეფის მკვლელები. აიეტის და ფარტაძის სიტყვიდან კარგად ჩანს თუ რა დონეზე მიდიოდა სწავლა განათლება კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში. მოგვიანებით კი, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში სწავლა-განათლება მიუღია მსოფლიო მნიშვნელობის ქართველ ფილოსოფოსს, მწერალსა და მოაზროვნეს მითრიდატე ლაზს (ბერად აღკვეცის შემდეგ იგი იოანე ლაზი გახდა). იოანე ლაზი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული მოღვაწის პეტრე იბერის (Vს.) აღმზრდელი და მასწავლებელი. ასევ კოლხეთის აკადემიაში უმოღვაწია იბერიის სამეფო გვარის წარმომადგენელს ბაკურს. ფილოსოფოს ლიბანიოსის ცნობით, იგი იყო ღირსეული რწმენით, სათნოებით, სიკეთითა და სულიერებით. მისთვის უცხო იყო ბოროტება, გახლდათ სამართლიანი და ზომიერების მოყვარული.

ბაკურის ნაწერები ქართულად არ შემორჩენილა, მაგრამ არსებობს ლიბანიოსის მისდამი გამოგზავნილი წერილი, საიდანაც ჩანს, რომ ბაკურს კოლხეთის აკადემიაში უმოღვაწნია და რიტორიკისა და საორატორო ხელოვნების დიდი მცოდნე და შემფასებელი ყოფილა. ამრიგად კოლხეთის რიტორიკული სკოლა იყო ერთ-ერთი წამყვანი საგანმანათლებო დაწესებულება იმდროინდელი მსოფლიოსი. სამწუხაროა, რომ ქართული საისტორიო წყაროები დუმან კოლხეთის რიტორიკულ სკოლაზე, თუმცა ეს არცაა გასაკვირი – ისტორიოგრაფია რომელიც ოფიციალურად ეფუძნება ნატყუარ **„ქართლის ცხოვრებას"**, არცაა დასაძრახი, რომ კოლხურ ცივილიზაციას და მის მონაპოვარს არ იხსენიებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეორგიკა, ტ.1 გვ 51 გამოცემის წელი 1961 წ.

2. ი.ჯავახიშვილი **„ქართველი ერის ისტორია"**, ტ.1 გვ 314 გამოცემის წელი 1979 წ.

3. f.wilhelm,zu themistios or 27: byz.nengr .neugr.jshbracher VI(1927–1928) 451–489.

4. O.SEECK,BRIEFE DES LIBANIOS 292

თემო სახურია

გიგა ბოკერიას გამდიდრებული ნათესავების სია

არასამთავრობო ორგანიზაცია **"ახალგაზრდა ადვოკატებმა"** საკითხზე: **"პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნესინტერესები"**, განხორციელებული მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. ამ ეტაპზე ორგანიზაციამ გიგა ბოკერიას, გიგი უგულავასა და გივი თარგამაძის ფინანსური ანგარიშები შეისწავლა. პრესა სამივე მათგანის ბიზნესინტერესებზე უკვე წერდა, თუმცა ბოკერიას შემთხვევაში ახალი დეტალები გამოიკვეთა.

აი, რა განცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია **"ახალგაზრდა ადვოკატების"** ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა:

– ჩვენ კვლევა დავიწყეთ 2013 წლის დეკემბერში. იქიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტაცია შრომატევადია, ამ მონიტორინგის ფარგლებში გამოვაქვეყნეთ არა მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები და მათი შესაძლო ფარული ინტერესები ბიზნესთან და სამეწარმეო საქმიანობასთან, არამედ მოქმედი ხელისუფლების საქმიანობაც. ჩვენ პერიოდულად, 2014 წელს გამოვაქვეყნებთ ასეთ მასალებს, საზოგადოებას მივაწვდით ინფორმაციას, რა ქონებას ფლობენ ესა თუ ის მაღალჩინოსნები და მათი ოჯახის წევრები.

უკანონო არაფერია, როცა კომპანიები იღებენ მოგებას, მაგრამ როცა თანამდებობის პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას რაიმე ფორმით... შეგახსენებთ, რომ ამას გადააჭოლეს ვალერი გელაშვილი და სხვებს რატომ არ მოეკითხათ? მაღალი თანამდებობის პირს ხომ ეკრძალება მსგავსი საქმიანობა. როცა ადამიანები პოლიტიკაში გასამდიდრებლად მოდიოდნენ, ოჯახის წევრებს ჰქონდათ წარმატებული ბიზნესები.

– მონიტორინგის თანახმად, გიგა ბოკერიას რა ქონება აქვს?

– მასთან დაკავშირებულ ფირმებს, არსებული მასალების მიხედვით, 45 მლნ ლარამდე შემოსავალი აქვთ მიღებული. კერძოდ, საჯარო ინფორმაციის თანახმად, გიგა ბოკერიას ფარული ბიზნესინტერესები უნდა დავინახოთ მამის, მეუღლის, მეუღლის დისა და სიძის ბიზნესსაქმიანობაში.

გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერია წარმოადგენს სამშენებლო ფირმა შპს "ლებოს" (ს/ნ 205172999), რომლის 100%-იანი წილის მფლობელიცაა. კომპანიის შემოსავალი შეადგენს 2 363 606 ლარს. ლევან ბოკერია, აგრეთვე, ფლობს 20%-იან წილს სამშენებლო ფირმა შპს "არქსტუდიაში" (ს/ნ 211326867), რომლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 26 523 662 ლარს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ გიგა ბოკერიას ცოლისდა რუსუდან ჩორგოლეიშვილი არის სარემონტო ფირმა შპს "ოლივდიზაინის" დამფუძნებელი (ს/ნ 202351383), რომელიც ფლობს 50%-იან წილს. ორგანიზაციის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 14 621 734 ლარს. რუსუდან ჩერგოლეიშვილი, აგრეთვე, ფლობს 50%-იან წილს გალერეა შპს "ახალ გალერეაში" (ს/ნ 404399593), რომლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 161 474 ლარს.

ყურადღებას მივაქცევთ რუსუდან ჩერგოლეიშვილის მეუღლის, კახაბერ ნინუას საქმიანობასაც, რომელიც დამფუძნებელია შემდეგი ორგანიზაციების:

შპს "გალფ რეისინგი", რომლის ერთობლივი შემოსავალია: 324 487 ლარი (ს/ნ 404915320), წილი - 100%, საქმიანობა: ავტომობილებით მომსახურება); ააიპ "სამხედრო ოპერაციებში გარდაცვლილ მოსამსახურეთა და დაზარალებული ოჯახების დახმარების ფონდი "თანადგომა", რომლის ერთობლივი შემოსავალი იყო 1 552 873 ლარი. კომპანია 2012 წლის აპრილში იქნა ლიკვიდირებული (ს/ნ 204559245). კახაბერ ნინუას 2011 წლის 8 დეკემბერს შეძენილი აქვს 3025 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი წყნეთში (ნაკ. 111/033) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისგან. აგრეთვე, 2011 წლის სექტემბერში, 1000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე. შესყიდული ქონების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 400 000 ლარს.

რაც შეეხება საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიორგი ბოკერიას მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ დეკლარაციას, მის სახელზეა გაფორმებული უძრავი ქონება: ბინა პეკინის გამზირზე №2-ში, ფართობი 60.00 კვ.მ., ხოლო მეუღლის, თამარ ჩერგოლეიშვილის სახელზე გაფორმებულია მსუბუქი ავტომანქანა "ბემვე 120". საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან ბოკერიას, ხელფასის სახით, მიღებული აქვს 85.790.00 ლარი, ხოლო მეუღლეს, თამარ ჩერგოლეიშვილს, ჟურნალ "ტაბულას" მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან, 132.000.00 ლარი. დეკლარაციის მიხედვით, თამარ ჩერგოლეიშვილი აღნიშნული ჟურნალის აქციონერია. გიგა ბოკერიას არ გააჩნია ფასიანი ქაღალდები.

დეკლარაციის მიხედვით, გიორგი ბოკერიას სესხის სახით აღებული აქვს 27.000.00 ლარი, ხოლო მეუღლეს, თამარ ჩერგოლეიშვილს – 52.500.00 ლარი. მეუღლეს ეკუთვნის კიდევ ორი სასესხო ვალდებულების აღება, ერთგან 23.500.00 ლარის, ხოლო მეორე შემთხვევაში – 25.000 ლარის ოდენობით. აგრეთვე, თამარ ჩერგოლეიშვილის სახელზე, ფრანგულ ბანკში, საბანკო ანგარიშზეა 119.000.00 ევრო, ხოლო საქართველოს ბანკებში შემდეგი ფულადი დანაზოგი აქვს: 1.403.70 აშშ დოლარი ("თიბისი ბანკი") და 6681.00 ლარი ("ლიბერთი ბანკი"). თავად გიგა ბოკერიას ანგარიშზე, დეკლარაციის მიხედვით, 7.799.56 ლარი გააჩნია. ("თიბისი" ბანკი)

ჟ. ასანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი უღირსი და სამარცხვინო პუბლიკაციის კვალდაკვალ

„როცა კაცი სინდისისგან სულ მთლიანად გაშიშვლდება, ის ვერ შეძლებს სიმწრისაგან წამითაც კი გაწითლებას“
ხალხური

ბატონი თ. სიგუას დამოწმება კი ჩირადაც არ ღირს, ან რა ფასი აქვს იმ კაცის სიტყვას ვინაც ედუარდ შევარდნაძესთან, ჯაბა იოსელიანთან, თენგიზ კიტოვანთან და სხვა ეროვნულ ანტიგმირებთან ერთად დაამხო ეროვნული ხელისუფლება, ესროლა საკუთარ ხალხს, ტანკებზე ამხედრებული შემოვიდა სოხუმში და ვითომ, მის დასაბრუნებლად. მან და მისმა ავადსახსენებელმა მეგობრებმა **„წარმატებით“** იომეს აფხაზეთში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და ასეთივე წარმატებით **„მოაგვარეს“** აფხაზეთის პრობლემები, რის შედეგად დაიღუპა მთლიანობაში 30 ათასამდე ადამიანი, 300 ათასამდე დევნილად იქცა, აფხაზეთი კი სამარცხვინოდ გასხვისდა. სხვა თემაა და არ ღირს მსჯელობა მის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელმაც გააღატაკა და დაბეჩავა საქართველოს მოსახლეობა – რა სიმართლე უნდა თქვას ასეთმა კაცმა!

ფანტაზიის ნაყოფია ქალბატონ რაისას მტკიცება, რომ მას ჰქონდა ცალკე შეხვედრები თ. სიგუასთან, ან ე. შევარდნაძესთან და ესაუბრა აფხაზეთთან, კერძოდ კი გაგრასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს მხოლოდ მისი აქტიურობის, საზოგადო მოღვაწის იმიჯის ილუზიის შექმნის იაფფასიანი ცდაა და მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში შეიძლებოდა ასე მომხდარიყო (და ეს თუ ასეა, იმას უფრო ადასტურებს, რომ ომის დაწყების აუცილობლობაზე ინდივიდუალურადაც მოუხდენია მიუტევებელი გავლენა).

ქალბატონი რაისა, სხვა აურაცხელ უზუსტობასთან ერთად, იმასაც ამტკიცებს, რომ ბ-ნ გ. ლომინაძის კანდიდატურა მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე სავსებით მოულოდნელი იყო თვით გ. ლომინაძისთვის და სხვებისათვისაც, რაც ღიმილისმომგვრელია და ახლოსაც არ არის ჭეშმარიტებასთან. ის ურცხვად ამბობს: **„ქართული დეპუტაცია თქვენი კანდიდატურით უნდა წარმდგარიყო სესიაზე, ამიტომაც დაგავალათ ვ. არძინბამ გ. ლომინაძის კანდიდატურის წამოყენება სწორედ თქვენ და არა პრეზიდიუმის რომელიმე წევრს და სწორედ თქვენ დაასახელეთ სესიაზე მისი კანდიდატურა და არა გ. გვაზავამ. რაში დაგჭირდათ სიმართლის დამახინჯება და იმის, რაც თვითონ გააკეთეთ, სხვისთვის გადაბრალება?“**

რა დონის სიცრუეა ეს! ქართული დეპუტაცია თუ ჩემი კანდიდატურით უნდა წარმდგარიყო სესიაზე, ე.ი. ჩემი კანდიდატურა თუ დგებოდა დღის წესრიგში, როგორ დამევალებოდა მე სხვისი, კერძოდ, გ. ლომინაძის კანდიდატურის წარდგენა? სად არის აქ ლოგიკა? როგორც ხედავთ, ისე აებნა გზა-კვალი მას, თავადაც ვერ გარკვეულა, რა უნდა თქვას და მაინც ჯიუტად ამტკიცებს, რომ სწორედ მე წარვადგინე გ. ლომინაძე სესიაზე! იქვე აგრძელებს: **„ბატონ გ. ლომინაძის კანდიდატურა იმ სიაშიც არ იყო, რომელსაც კენჭი უყარა ქართულმა დეპუტაციამ, თუმცა თქვენს წიგნში ის ფიგურირებს, როგორც კანდიდატი თქვენთან ერთად“...** რა შეიძლება აქ ითქვას? ყველას კარგად ახსოვს, რომ შიდაფრაქციულ კენჭისყრაზე სხვებთან (ო.ზუხბაია, ვ. ყოლბაია, რ. სიჭინავა, მ. გობეჩია და ნ. მესხიასთან) ერთად იდგა სწორედ გ. ლომინაძის კანდიდატურაც და მან მიიღო მაშინ ორად-ორი ხმა. ამ ჭეშმარიტებას ურცხვად უარყოფს ქალბატონი რაისა და შავზე ამბობს, რომ ის თეთრია!

აღნიშნულზე მეტი სიცხადისთვის კიდევ ერთხელ განვმარტავ: ჩემი კანდიდატურა არ შეიძლებოდა დამდგარიყო კენჭისყრაზე არც იმ და არც სხვა დროს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მე კანდიდატურა მოვიხსენი კარგა ხნით ადრე; მეორე, როგორ უნდა დაევალებინა ვ. არძინბას ჩემთვის, რიგითი დეპუტატისთვის, როგორც ამბობს ეს ქალბატონი, გ. ლომინაძის კანდიდატურის წარდგენა, რადგან ეს, მხარეებს შორის ადრე მიღწეული შეთანხმების თანახმად, არ იყო არც ვ. არძინბასა და არც სხვა აფხაზი დეპუტატის პრეროგატივა? მით უფრო, რომ ის (და მთლიანად აფხაზური მხარე) კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ გ. ლომინაძის კანდიდატურის და მისი სახელის ხსენებაც კი არ უნდოდათ! ნუთუ არ ახსოვთ ან არ იციან, თუ ვინ წარადგინა იმ ავადსახსენებელ სესიაზე გ. ლომინაძის კანდიდატურა? ბოლოს და ბოლოს ჰკითხეთ თავად გ. ლომინაძეს, მასაც არ ახსოვს, თუ ვინ წარადგინა მისი კანდიდატურა – მე თუ ბატონმა გია გვაზავამ?!

სიმართლე ამ საკითხის ირგვლივ დღეს კარგად იცის ყველამ, მაგრამ სრული სიმართლე – მაინც მხოლოდ ვიწრო წრემ, მათ შორის ქართულმა დეპუტაციამ. ამიტომ, რადგან ქალბატონი რაისა შეეხო მთავრობის თავმჯდომარის საკითხს, აჯობებს ნათელი მოეფინოს ყველაფერს, რაც იყო დაკავშირებული ამ საკითხთან და რა ხდებოდა მის ირგვლივ.

ცნობილია, თუ რა ფარული პაექრობა მიმდინარეობდა კულისებში გ. ლომინაძესა და თ. ნადარეიშვილს შორის. სწორედ ამიტომ დააყენა ამ უკანასკნელმა, სხვა ხუთ კანდიდატთან ერთად, მისი კანდიდატურაც შიდაფრაქციულ ფარულ კენჭისყრაზე. ბატონ გ. ლომინაძის რეიტინგის გათვალისწინებით, გარდაუვალი იყო მისი კანდიდატურის ჩავარდნა. ეს ყველამ კარგად იცოდა, მათ შორის, პირველ რიგში ბატონმა თამაზმა და გამართლდა კიდეც მისი ვარაუდი! ამით, ბატონ თ. ნადარეიშვილის მოსაზრებით, გ. ლომინაძისა და სხვა უფრო რეალური კანდიდატურები მოიხსნა დღის წესრიგიდან, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ბატონ გ. ლომინაძეს მხარს უჭერდა **„მხედრიონი“**, კერძოდ, მისი ლიდერი ჯაბა იოსელიანი. სწორედ ამის გათვალისწინებით, იმ დღეს – 1992 წლის 17 მაისს, როდესაც სესიაზე იხილებოდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საკითხი, თ. ნადარეიშვილი იმყოფებოდა თბილისში, თითქოსდა შიდაფრაქციული კენჭრისყრით გამარჯვებულის (თქვენი მონა მორჩილის!) კანდიდატურის დასამტკიცებლად. სინამდვილეში კი **„გოსსაბჭოს“** მან წარუდგინა არა ჩემი, არამედ ბ-ნ გ. ლომინაძეს კანდიდატურა, რითაც ჩააგდო ქართული მხარის ინტერესები და დათვური სამსახური გაუწია თვით გ. ლომინაძესაც, რადგან მისი კანდიდატურა განწირული იყო კრახისთვის, ხოლო მას თავად ეხსნებოდა გზა სანუკვარი მიზნისკენ!

ქალბატონი რაისა კი ამბობს, რომ **„ბ-ნ თ. ნადარეიშვილს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა რომ სდომებოდა, ამას ნამდვილად მიაღწევდა ბ-ნ ზვიად გამსახურდიასთან, რადგანაც ამის ავტორიტეტი ჰქონდა და მისი კანდიდატურა უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზეც საქართველოს ხელისუფლებიდან მოდიოდა“**. ეს სავსებით სწორია: მისი კანდიდატურა დაკავებულ პოსტზე, პრეზიდენტის ბატალიონის მეთაურის, ზვიად ნადარეიშვილის ლობირებით მოდიოდა, მაგრამ ქ-ნმა რაისამ ან არ იცის, ან არ უნდა იცოდეს, თუ როგორ და ვისი ძალისხმევით იქნა მიღწეული აფხაზური მხარის მიერ მისი ძველი, **„გაგრის საქმეების“ „დავიწყება“** და მათი თანხმობა ბატონ თ. ნადარეიშვილის ვ. არძინბას პირველ მოადგილედ დანიშვნაზე. ეს იცის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობამ, მაგრამ ქ-ნ რაისასთვის და იმათთვის, ვინც ამას პირველად იგებს, იძულებული ვარ გავიმეორო თვით ბატონ თ. ნადარეიშვილის მიერ ჩემი მისამართით ნათქვამი სიტყვები: **„იმას, რაც მე გამიკეთეთ, გაუკეთებდა კაცს მხოლოდ მამა ან ძმა. მადლობელი ვარ თქვენი“!** ეს სიტყვები წარმოსთქვა მან თავისი სახლის კარებთან, როდესაც სესიის დამთავრების შემდეგ მივაცილეთ იგი, ჩემი ძმის მანქანით, ბატონ რაჟდენ ქარდავასთან ერთად. გალის სინდის-ნამუსად აღიარებული ბატონი რაჟდენი სიტყვა-სიტყვით გაიმეორებს ამას (ალბათ, ნებისმიერ დროს!).

ასე აირჩიეს ბატონი თამაზ ნადარეიშვილი ვ. არძინბას პირველ მოადგილედ. თუმცა აქ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ იმ დროს, როდესაც აფხაზური მხარე თანახმა იყო ნებისმიერ სხვა კანდიდატურაზე, გარდა ბატონ თ. ნადარეიშვილისა, შესაძლებელი გახდა მათთან კონსენსუსის მიღწევა და მათი დაყოლიება მათთვის აბსოლუტურად მიუღებელი კანდიდატურის თანხმობაზე. დიახ, თუ აფხაზური მხარე არ წამოვიდოდა ასეთ დათმობაზე, ჩვენ (ქართული დეპუტაცია) ვერ შევცვლიდით თ. ნადარეიშვილის კანდიდატურას, ვინაიდან იგი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ იყო რეკომენდირებული და ეს აღემატებოდა ჩვენს ძალებს, უნდა დაგვეტოვებინა უმაღლესი საბჭო და მაშინ ის დაიშლებოდა ისე, რომ არც კი შეუდგებოდა თავის საქმიანობას. ეს კი პოლიტიკურ კრიზისს და საზოგადოებრივ დესტაბილიზაციას ნიშნავდა, რაც შეიარაღებულ კონფრონტაციისკენ გვიბიძგებდა. ეს იყო მთავარი არგუმენტი. აფხაზურ მხარეს ეყო ჭკუა და დათმობაზე წამოვიდა, მაგრამ როდესაც, ომის თავიდან აცილების მიზნით, ვარწმუნებდი აფხაზურ მხარეს ბატონი თამაზის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშვნის მიზანშეწონილობაში, მაშინ, როგორც იტყვიან, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს! ასე რომ, მთლად ისე მარტივად არ იყო საქმე, როგორც ეს წარმოუდგენია ქალბატონ რაისას!!!

ეს მან მშვენივრად იცის, მაგრამ არ სურს იცოდეს, რადგან ყველაფერი ეს უკავშირდება ამ წერილის ავტორის სახელს!

ასე რომ, ამ მაღალი თანამდებობის და სხვა ბევრი თბილი სავარძლებისთვის ბრძოლას შეეწირა, გარკვეულწილად, ხალხისა და ქვეყნის ინტერესები!

უნდა შევეხო კიდევ ერთ სენსაციურ სიცრუეს, რომელსაც ქალბატონი ავრცელებს, თითქოს 1992 წლის 17 მაისს, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის არჩევის დღეს, ბატონი თამაზი ნადარეიშვილი იმყოფებოდა სოხუმში და ის ხელმძღვანელობდა ქართულ დეპუტაციას. აი, როგორ მომმართავს ქ-ნი რაისა თავის წერილში: **„თქვენ ცრუობთ მაშინაც, როცა ირწმუნებით, რომ ბატონი ნადარეიშვილი თბილისში იყო და იქიდან იძლეოდა დირექტივებს, დეპუტაციას კი მე ვხელმძღვანელობდიო. როგორ? თქვენ ხომ არც პრეზიდიუმის წევრი იყავით და არც არავინ გავალებდათ ამას, თუმცა დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ „მიუხედავად იმისა ვიყავი თუ არა არჩეული ოფიციალურად ფრაქციის თავმჯდომარედ, თამაზის არყოფნისას მე მიწევდა მემართა დეპუტაციის ქართული ფრაქცია“. ნუთუ გგონიათ, რომ ყველას ამნეზია დაგვემართა? თქვენ ხომ მშვენივრად იცით, რომ აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში ფრაქციები არ იყო ჩამოყალიბებული, პრეზიდიუმის წევრები კი იყვნენ გ. გვაზავა, ვ. ყოლბაია, ე. ასტემიროვა და თქვენთვის, რიგითი დეპუტატისთვის რატომ უნდა დაევალებინათ დეპუტაციის მართვა?! ვისთვის არის ეს გათვლილი? რატომ იბრალებთ, რომ დეპუაცია ჩაიყვანეთ სესიაზე და შ. ხეცურიანს ათხოვნინეთ შესვენების გახანგრძლივება, მაგრამ ვ. არძინბა არ დათანხმდა, სანამ თქვენ არ ჩაერიეთ და არ აუხსენით შესვენება რისთვის გჭირდებოდათ. არა, ბატონო ნაპო, ეს სრული სიცრუეა, რაც აფხაზებსაც კარგად ახსოვთ.**

აი როგორ იყო სინამდვილეში: ფოიეში საუბრის შემდეგ, როცა თქვენ შემოხვედით ბ-ნ თ. ნადარეიშვილთან, სადაც მთელი დეპუტაცია იყო თავშეყრილი, მოსთხოვეთ, მოეწვია ბ-ნი გ. ლომინაძე და მერე იტყოდით, თუ რა შემოგთავაზათ ვ. არძინბამ. როცა ბ-ნ გივის ვერ დავუკავშირდით და აშკარა იყო შესვენების დროში ვერ ვეტეოდით, ბ-ნმა თამაზმა გვთხოვა (!!! ნ.მ) და სხვებიც დაეთანხმნენ (!!! ნ.მ), ქ-ნ ე. ასტიმიროვა და მე წავსულიყავით ვ. არძინბასთან (!!! ნ.მ), თქვენ კი დაგვაბარეთ გვეთქვა მისთვის, რომ ვაგვიანებდით იმასთან დაკავშირებით, რაზეც გესაუბრათ. ჩვენ სწორედ მისგან გავიგეთ, თუ რა დავალება მოგცათ მან თქვენ“.

ეს თავიდან ბოლომდე მტკნარი სიცრუეა, თუმცა ციტირებული ვრცელი ამონარიდი აერთიანებს რამდენიმე ბრალდებას და ვფიქრობ, მათზე რეალობა სხვებმაც უნდა გაიგოს! ნუთუ ჭგონია ამ ქალბატონს, რომ ყველას ყველაფერი დაავიწყდა და მხოლოდ მას ახსოვს დეტალებში ყოველივე ის, რასაც სინამდვილეში ჰქონდა იმ დღეს ადგილი? რას ამტკიცებს ეს ადამიანი, თითქოს ბატონი თამაზი არ იმყოფებოდა მაშინ თბილისში, ადგილზე, სოხუმში იყო და ხელმძღვანელბდა ქართულ დეპუტაციას? სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, შეეკითხეთ თუნდაც თქვენს თანამოაზრეებს – ბატონებს ჯემალ გამახარიასა და თემურ მჟავიას. ისინი, დარწმუნებული ვარ, მიუხედავად ყველაფრისა, დაგიდასტურებენ, რომ სწორედ მათ ესაუბრა ტელეფონით ბატონი თ. ნადარეიშვილი და უთხრა, რომ ის მიემგზავრება თბილისს, თითქოსდა ჩემი კანდიდატურის დასამტკიცებლად, სთხოვა მათ, მისი თბილისიდან ზარის გარეშე არ შევსულიყავით სესიაზე, რაც სიტყვა-სიტყვით მოახსენეს ამ ბატონებმა დეპუტაციას (დეტალურად იხ. წიგნის ქართულ და რუსული გამოცემების 91 და 91, 93 გვ.). შეეკითხეთ თავად გ. ლომინაძესაც, დარწმუნებული ვარ, ისიც იტყვის, თუ სად იყო იმ დღეს ბატონი თ. ნადარეიშვილი და ვინ ხელმძღვანელობდა დეპუტაციას. ყველაზე აბსურდული კი აქ ქალბატონის მიერ იმის მტკიცებაა, თითქოს **„ბატონ თამაზის თხოვნით და ყველა დეპუტატის თანხმობით“** ის, ქ-ნ ე. ასტემიროვასთან ერთად, ეახლა ვ. არძინბას თხოვნით: გაეგრძელებინა შესვენება იმის გამო, რომ ადგილზე არ იმყოფებოდა ბ-ნი გ. ლომინაძე, რომლის კანდიდატურა, **„გოსსაბჭოს“**, კერძოდ, ჯაბა იოსელიანის რეკომენდაციით, უნდა წარედგინა იმ დღეს ქართულ დეპუტაციას. ეს გამაოგნებელი სიცრუეა! თქვენ არც ბ-ნ თამაზის (რომელიც ფიზიკურად არ იმყოფებოდა სოხუმში!) და არც ვინმე სხვას არ გაუგზავნიხართ არსად. ან როგორ გაგაგზავნიდით თქვენ ისეთ ადამიანებთან, რომლებთანაც არ გაგაჩნდათ არავითარი ავტორიტეტი და საქმიანი ურთიერთობა, მით უფრო ვ. არძინბასთან მოსალაპარაკებლად. აბა გაიხსენეთ, თუ როგორ მოგმართათ თქვენ და თქვენ დაქალ ე. ასტემიროვას მან, ერთადერთხელ ჩვენთან შემოსვლისას: „Молчи, дура!“. ისიც გაიხსენეთ, თუ ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელიც გამოგექომაგათ მაშინ თქვენ: «Как вы можете оскорблять женщин в нашем присутствии!». ვ. არძინბას პასუხი იყო: «Они дуры и вещи надо называть своими именами!». აი, ასეთ კაცთან გაგაგზავნათ თქვენ ადგილზე არმყოფმა ბატონმა თამაზმა შესვენების გასაგრძელებლად?! ეს ფანტასტიკური სიცრუე და წარმოუდგენელი სისულელეა!

თუ ეს ასეა, რას ეუბნებით მაშინ ბატონ დავით გვაძაბიას, ბატონ ჯემალ გამახარიას და ბატონ თემურ მჟავიას, რომლებიც, ჩემი თხოვნით, ორჯერ ეწვივნენ ვ. არძინბას, არა შესვენების გაგრძელების მიზნით, არამედ იმის დასადგენად, თუ რამდენად სანდო იყო მათი დაპირება ჩვენს მიერ წარდგენილი ნებისმიერი კანდიდატურის მხარდაჭერაზე, კონკრეტულად კი – გ. ლომინაძის კანდიდატურის რეალობაზე? შეეკითხეთ მათ და ისინი გეტყვიან სიმართლეს! გეტყვიან იმასაც, თუ სად იმყოფებოდა ბატონი თ. ნადარეიშვილი მაშინ და ვინ ხელმძღვანელობდა დეპუტაციას. შეეკითხეთ ასევე ბატონ შ. ხეცურიანს ვის და სად მიმართა მან სხდომის დაწყების კიდევ ერთი საათით გადავადების თხოვნით, რა უპასუხა ვ. არძინბამ მას და ვისი ჩარევის შემდეგ მოხდა სესიის დაწყების გადადება!

ახლა ბრალდების იმ ნაწილსაც მინდა შევეხო, სადაც დეპუტაციაში ჩემს ლიდერული პოზიციებია უარყოფილი. ოღონდ ოდნავ შორიდან მომიწევს ახსნა – საჭიროა იმ დროისთვის შექმნილი ვითარების გააზრება და მისი სწორი შეფასება. ეს საჭიროა, რათა გაირკვეს, თუ რაზეა აქ საუბარი.

სწორია, რომ მაშინ უმაღლეს საბჭოში ფრაქციები არ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ ქართულ დეპუტაციას ვუწოდებდით ფრაქცია **„დემოკრატიულ აფხაზეთს“** და როდესაც გამოვდიოდით პრესასა თუ ტელევიზიით, მოიაზრებოდა სწორედ ქართველ დეპუტატთა ფრაქცია ამ გაგებით. მეც ჩემს პუბლიკაციებში ამას ვგულისხმობ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ვერ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამაში ბრალი, უპირველესად, მის პრეზიდიუმს მიუძღვის. მან ვერ შეასრულა თავისი კონსტიციური მოვალეობა, ვერ უზრუნველყო შეთანხმებული საქმიანობა ვერც პრეზიდიუმში და ვერც კომისიებში. პრეზიდიუმის ქართული შემადგენლობა სამწუხაროდ, ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე: ისინი ხშირად არ ესწრებოდნენ პრეზიდიუმის სხდომებს, ბოლო დროს საერთოდ მიატოვეს იგი და არ ცდილობდნენ დაემყარებინათ აფხაზურ მხარესთან კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმი და საქმიანი ურთიერთობა, რითაც ხელს უწყობდნენ მხარეებს შორის არსებულ გათიშულობისა და დაპირისპირების პროცესის გაღრმავებას. ტოვებდნენ არა მარტო პრეზიდიუმის სხდომებს – გარბოდნენ სესიებიდანაც. როდესაც ვეუბნებოდი, რომ არ შეიძლებოდა დეპუტატის საქმიანობისადმი ასეთი მიდგომა, ყოველნაირად ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი ქმედებები – ამბობდნენ: **„ჩვენ რა გვინდა იქ, როდესაც თავმჯდომარის პირველი მოადგილე არ ესწრება პრეზიდიუმის სხდომებს?!“** ბატონი თამაზისგან კი არაერთხელ მსმენია: **„რა აზრი აქვს იმ შტერებთან ჯდომას და მათ მოსმენას, ისინი თავისას მაინც არ იშლიან“!**

ნაპო მესხია,
პროფესორი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ბექა ღვინიაშვილი – ფილტვების ანთებით მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატი

ახალგაზრდა და უკვე საკმაოდ ტიტულოვანი გორელი ძიუდოისტი ბექა ღვინიაშვილი გულშემატკივართათვის ცნობილი სპორტსმენია.

ორი წლის წინათ მან ჭაბუკთა შორის ასპარეზობისას ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოიგო, სადაც იასპარეზა. მერე გადატანილმა ოპერაციამ, სარეაბილიტაციო პერიოდმა და წონის შეცვლამ (81-დან 90 კგ-ში აინაცვლა) ერთი სეზონი ჩაუგდო.

სპეციალისტები ამ ფალავანს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ბექას გაზეთის მკითხველებისათვის განვლილი სეზონის შეჯამება ვთხოვეთ.

– დავიწყოთ საქართველოს ნაკრებში შარშანდელი სეზონის სტარტიდანვე შენსა და ლაშა ტაველურს შორის ძლიერი შიდა კონკურენციით. ჯერ სალონიკის ტურნირის ფინალში შეხვდით ერთმანეთს, შემდეგ ბერლინში.

– სალონიკში ორივემ დამაჯერებლად გავიარეთ ფინალამდე, სადაც ლაშამ მომიგო. შიდოთი ვიყავი დაწინაურებული, მაგრამ შემდეგ ჩემივე წამოწყებული ფანდი დამიხურა და დავეცი. ბერლინის ევროპის თასზეც ორივემ ყველა კონკურენტს დამაჯერებლად ვაჯობეთ და იქაც ფინალში გავედით. მე იქ წაგების უფლება არ მქონდა – ნაკრებში ადგილს დავკარგავდი, ვერც ევროპის ჩემპიონატს ვიჭიდავებდი, ვერც მსოფლიოს.

რევანში შედგა და მწვრთნელებმა ჩვენ წონაში ორივე დაგვაყენეს. წლის უმთავრეს შეჯიბრებებზე ჩემპიონობით კი პირველობა დავამტკიცე. ტაველური საკმაოდ ჭკვიანი მოჭიდავეა, ფიზიკურად ძლიერია, კარგი ჩავლებაც აქვს და ფანდების მრავალფეროვანი არსენალიც.

– ბერლინის შემდეგ გრძნობდი, რომ უმთავრესი შეჯიბრებებისთვის სათანადოდ იყავი მომზადებული?

– აბსოლუტურად მზად ვიყავი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე საჭიდაოდ. განწყობაც საჩემპიონო მქონდა და მჯეროდა, რომ არცერთი ეს შეჯიბრება არ უნდა წამეგო. საბედნიეროდ ასეც მოხდა!

– ევროპის ჩემპიონატზე როგორ მიხვედი ოქროს მედლამდე?

– თავიდან სამ შეხვედრაში ნამდვილად არ გამჭირვებია. უფრო წინააღმდეგობა პორტუგალიელმა ცელიო დიასმა გამიწია, თუმცა მაინც ორი ვაზარით დავამარცხე. ფინალში კი ჰოლანდიელ ქორელისთან ჯერ დავწინაურდი, შემდეგ შებოჭვით მოვუღე ბოლო.

– მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინა დღეს ნაკრების მწვრთნელმა გიგა გუგავამ ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ შენ სიცხიანი იყავი, თუმცა მაინც ოქროს მოპოვების უმთავრეს კანდიდატად მიგიჩნევდა.

– მწვრთნელს ვეუბნებოდი, რომ უბრალოდ, დაბალი სიცხე მქონდა და ექიმთან არ მივდიოდი. სლოვენიაშიც უშუალოდ შეჯიბრებაზე კი ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ შევძელი ძალების კონცენტრირება და მიზანს მივაღწიე. მომდევნო დღეს გუნდურ პირველობაზე გამოსვლა აღარ მინდოდა – მეტისმეტად შეუძლოდ ვგრძნობდი თავს. მაინც ვიჭიდავე, ყველა შეხვედრა მოვიგე და საქართველოს ნაკრების გუნდურ პირველობაში გამარჯვებაში წვლილი შევიტანე! მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ ფილტვების ანთება მქონია.

– ახალგაზრდების გუნდური პირველობა წლეულს პირველად ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მოგეწონა?

– სიმართლე გითხრათ, გუნდურ პირველობაში ჩემპიონობა უფრო გამეხარდა, ვიდრე ინდივიდუალურში. იმიტომ, რომ აქ ყველა ერთ მუშტად ვიყავით შეკრული და საკუთარი შედეგით ფაქტობრივად ერთმანეთს ზურგს ვუმაგრებდით. ასეთ დროს კი თავის დაზოგვა არ შეიძლება და გამარჯვებაც გაცილებით ძვირფასია!

– როგორი სტილის მოჭიდავეებთან უფრო მოგწონს შერკინება?

– შემტევი სტილის სპორტსმენებთან, ასეთები კი აზიელები არიან. ევროპელები ძალიან ფრთხილად და ჩაშლაზე ეჭიდავებიან მეტოქეს. არ არსებობს აზიელი მოწინააღმდეგე წელში მოხრილი წამოვიდეს და ძიძგილაობა დაიწყოს. ისინი გამართულად, მე ვიტყოდი ვაუკაცურად მოდიან და სასიამოვნოა ასეთ მოწინააღმდეგესთან პაექრობა.

– თვითონ ძალიან ხშირად დროზე ადრე იპონით იგებ შეხვედრებს. დროზე ადრე მოგებაზე გამიზნულად აკეთებ აქცენტს?

– მართლაც ძალიან იშვიათია, რომ შეხვედრა ბოლომდე მივიყვანო, ბრძოლის ჟინით სავსე გავდივარ ტატამზე და ალბათ ამიტომ ნაადრევად ვიმარჯვებ, თორემ წინასწარ არ ვგეგმავ, რომ მაინც და მაინც მცირე დროში უნდა მოვიგო.

– რომელი ცნობილი ძიუდოისტის ჭიდაობას შეადარებ შენს სტილს, ან ვინმე თუ არის ისეთი ვისაც გინდა რომ მიბაძო?

– გამიჭირდება პასუხი. არასოდეს მიცდია ვინმესთვის მიმებაძა, ისე კი ჩემი ჭიდაობა ალბათ უფრო ჯარჯი ზვიადაურის სტილთანაა ახლოს.

– ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლიტური ფალავანობაში ტიტულის მოპოვებამდე სულ ცოტა დაგაკლდა.

– გამოსვლას არ ვგეგმავდი. მირჩიეს და მეც წინა დღეს გადავწყვიტე. 90 კგ წონით კატეგორიაში გავიმარჯვე, მაგრამ აბსოლუტურ ფალავნობაზე ნახევარფინალში ქულით წავაგე გიორგი ნოზაძესთან. ეს შეხვედრა არ იყო წასაგები, მოწინააღმდეგემ დაწინაურების შემდეგ ყველაფერი გააკეთა დროის გასაყვანად და საიმისოდ, რომ საჭიდაო რიტმიდან ამოვვარდნილიყავი, შედეგად მესამე ადგილი მერგო. ფალავნობა ისეთი შეჯიბრებაა, რომ ამ ტიტულის მოპოვებას მომავალში აუცილებლად შევეცდები.

შარშან ფალავანი, იცით, მაინც ჩვენი გვარის წარმომადგენელი გახდა – ჩემი ბიძაშვილი და თანასოფლელი (რუისი) პაატა ღვინიაშვილი. ის ნამდვილად დირსი იყო ამ გამარჯვების. პაატა ძალიან კარგად ჭიდაობს ქართულს და ყველგან, სადაც გაიგებს რომ შეჯიბრება ტარდება აუცილებლად მიდის მონაწილეობის მისაღებად.

– შენს მწვრთნელებზე რას გვეტყვი?

– ჩემი პირადი მწვრთნელები ანზორ თენაძე და ნიკო ბიბილაშვილი არიან. მათ დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს სპორტსმენად აღზრდასა და დაოსტატებაში. დიდი მადლობელი ვარ ჭაბუკთა ნაკრებში ასპარეზობის დროს გიორგი ვახაგაშვილის, ისევე როგორც ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის გია გუგავასი, რომელიც აგრეთვე საკმაოდ მაღალკვალიფიციური მწვრთნელია, კარგად ხელეწიფება შეჯიბრების წინ სპორტსმენის საბრძოლოდ განწყობა.

წლეულს ჩემს მიერ მოპოვებულ ტიტულებში დიდი როლი ითამაშეს როგორც პირადმა მწვრთნელებმა, ისე ნაკრების თავკაცმა. არცერთ მწვრთნელს, ვისაც ჩემზე ამაგი მიუძღვის არ დავუვიწყებ ნაღვაწს და შევეცდები უფრო დიდი გამარჯვებებით ვასახელო.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ფედერაციაში ამ მიმართულებითაც მიმდინარეობს მუშაობა.

საკუთარი შეგირდის შეფასება პირად მწვრთნელს ანზორ თენაძესაც ვთხოვეთ: **“ბექას შემტევის სტილით გამოირჩევა, სასიამოვნოა მისი ჭიდაობის ყურება. მწვრთნელი თუ მაყურებელი ყოველთვის კმაყოფილი რჩება...”**

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322



“იარეთ ამ გზაზე... თქვენი ქუდით”

1919 წელს 23 წლის ლადო გუდიაშვილი პროფესიული ოსტატობის დასახვეწად მაშინდელ **“მხატვრების მექაში”** – პარიზში გაემგზავრა, სადაც 7 წელი დაჰყო. ეს იყო შემოქმედებითი თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო, თუმცა, ნახევრად შიმშილობის პერიოდი მხატვრის ცხოვრებაში.

“იგი აზროვნებს ისევე რთულად, ან შესაძლოა, ისევე სადად, როგორც ადამიანები მისი უძველესი ცივილიზაციის ქვეყნისა. პარიზული გემოვნების მაცდუნებელ მრავალფეროვნებაშიც სრულად შეინარჩუნა ეროვნული თავისებურებანი, დარჩა ქართველად მას შემდეგაც, რაც მსოფლიოს გამოჩენილ მხატვართა გამომსახველობით ხერხებს ეზიარა”, – ეს სიტყვები ერთმა ფრანგმა ხელოვნებათმცოდნემ დაწერა, როცა პარიზში გამოფენილი გუდიაშვილის ნახატები ნახა.

ერთ დღეს მონმარტრზე ნაქირავებ ერთი ციდა ოთახში, რომელიც ქართველი მხატვრისთვის სახელოსნოც იყო და საცხოვრებელიც, სახელგანთქმული ესპანელი მხატვარი იგნასიო სულოაგა ეწვია, რომელსაც გამოფენაზე მისი ნახატები ენახა. მან შეათვალიერა კედელზე მიყუდებული ტილოები, რამდენიმე მათგანი გამოარჩია და ამ მოულოდნელი სტუმრობით გაოცებულ მასპინძელს კიდევ უფრო გასაოცარი რამ შესთავაზა – ეს ნამუშევრები დამითმეთო. ლადომ, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა, ფულზე უარი თქვა და ყველა ნახატს გაჩუქებთო, უთხრა. მარტოოდენ კეთილი სიტყვით ვერ იცხოვრებთ, ფულიც გჭირდებათო, – უპასუხა ესპანელმა, ასიგნაციების მოზრდილი დასტა გაუწოდა, ნახატები აიღო, ქუდი დაიხურა და დაემშვიდობა.

ასეთი სტუმრობით გაბრუებული მასპინძელი ათიოდე წუთის შემდეგ მოვიდა გონს. ოთახს თვალი მოავლო და შენიშნა, რომ სტუმარს ლადოს შლაპა დაეხურა, თავისი კი დაეტოვებინა. გუდიაშვილი ძლივს დაეწია კარგა მანძილზე წასულ სულოაგას. მაესტრომ ღიმილით გაუცვალა ქუდი, მადლობა გადაუხადა და ასეთი სიტყვებით **“დალოცა”** თავისი ახალგაზრდა კოლეგა: **“მართალი გითხრათ, გაკვირვებული ვარ, ჯერ თქვენი საქციელით, ფულს რომ არ მართმევდით, ახლა კი ამ ქუდის დაბრუნებით. თქვენს ადგილზე ნებისმიერი ახალგაზრდა მხატვარი სახსოვრად დაიტოვებდა იგნასიო სულოაგას ქუდს, თქვენ კი ამდენი ირბინეთ მის დასაბრუნებლად. როგორც ჩანს, მართლაც გამორჩეული, თქვენი გზა გაქვთ და იარეთ ამ გზაზე ბედნიერად, თქვენი ქუდით”.**

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში საკმაოდ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ლადო გუდიაშვილი თბილისში დაბრუნდა და თან გენიალური ამადეო მოდილიანის ერთი ნახატიც ჩამოიტანა, რომელსაც ყოველთვის სათუთად ინახავდა.

გუდიაშვილი პარიზში ყოფნისას მეგობრობდა მოდილიანთან, რომელიც დღიური ლუკმის საშოვნელად რამდენიმე ფრანკად ბარის კლიენტების პორტრეტებს ხატავდა. მხატვარს თავისი სტილი ჰქონდა, რომელიც შორს იყო რეალიზმისგან. ერთ-ერთი ქალბატონის პორტრეტიც ჩვეული ხელწერით დახატა. ქალბატონმა ნამუშევარი დაიწუნა, ეს მახინჯი ქალი არ მგავსო, ნახატი მხატვარს დაუბრუნა და იმ რამდენიმე ფრანკის გადახდაზეც უარი განაცხადა. გამწარებულმა მოდილიანიმ მოურიდებლად მიახალა: **“მადამ, თქვენ იდიოტი ხართ!”** შემდეგ შემობრუნდა, ლადოს მაგიდასთან მივიდა, გაუწოდა ნახატი და დაღონებულმა, მშვიდად უთხრა: **“იმას არაფერი ესმის, აჰა, შენ გქონდეს ეს, სახსოვრად”.**

ლ.გოგუაძე



ზუსტად ერთი წელი გავიდა
ზურიკო შამათავას

ტრაგიკულად დაღუპვის ავბედითი დღიდან. ადრეულად შეწყდა ნიჭიერი, იმედისმომცემი ყმაწვილის მაჯისცემა. მარად გაუნელებელი გულისტკივილი დაუტოვა ზურიკომ მშობლებს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ნათელში იყოს სასუფეველში დამკვიდრებული ზურიკოს სული!

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge